

არსენალი

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 3 ლარი

კუთინი უკრაინელებს
პრაზიდიანდს
არ აარჩავინებს?

კიევური
„ჯავშანმუშტი“

უკრაინელმა
პილოტებმა
7634 ქართველი
ღვენილი
ბადაარჩინეს

ჰიდლერმა
ბეჟაურის შიშით
ლენინგრადის აღება
შეაჩერა?!

ქართული ფლოტის
კირველი სარდალი

მოსკოვი NATO-ს
თბილისური ბირთვული
რაკეტებით ემუქრებოდა...

სარჩევნი



8

4 კალეიდოსკოპი
სამხედრო სიხსლევები

8 საიდუმლო ფრონტი
მართვადი ეაუსი
ანუ ანეუსია რუსულად

10 კოლიტიკური ბერკეტი
კუთინი უკრანიელებს
კრეზიდენტს არ არჩევენებს?

11 „ცივი ომის“ არდლილი
მოსკოვი NATO-ს თბილისური
ბირთვული რაკეტებით ემუარებოდა...

12 კრიზისი
კიევიური „პავსანგუში“

14 უკრანიელები აფსაზეთის ომში
უკრანიელმა კილომებამ
7634 მართვადი დევილი გადარჩინეს

17 საზღვრო კოლიტიკა
შავ ზღვასში
დაპირისპირება იგრდება

20 ეროვნული წარმოება
რა შეივვლება
„დელთასთვის“

23 ევსკოფიცია
FIDAE 2014

26 რეგიონი
ფაქტები, მოვლევები, შემთხვევები...

31 ჯარისკაცის ბედი
აკლანეთში
შენყვითილი სიფოცხლე

32 ძველი საქმე
საქართველოს ეროვნული
არევის დარბუნების საიდუმლო

36 განათლება
სმდეტი და ვარი

38 ინოვაციური თქნოლოგიები
ინდივიდუალური დავკრვის
საშუალეები

44 საბრძოლო მანქანები
საზენით „შილა“
სახმლეთო ბრძოლებში



23



72



82



რედაქციისგან

ავიაცია 48

რეაქტიული
ფრენის ნავები

ფლოტის ნარსული 51

პირველი ფლოტის
პირველი სარდალი

მრადიცია 56

იმპერატორის
„მართა ლეგიონი“

საფორტო ნაგებობები 59

დიოსკური-
ხაბანდოპოლისი

პროფანია — სახედრო 62

მომზადებული
პროექტები

მეოფრები 64

500 ფართი მეოფრების ისტორიიდან

100 დიდი მხედართმთავარი 68

პაულ ფონ ჰინდენბურგი

ცხელი წერტილი 70

იარაგები

კოსმოსი 72

რობონავთები

შურნალისთები ოგები 75

სახედრო შურნალისთის
პარნიკაში

მოსაზრება 76

საინტერესო თუ არა
ოფიცირს ემიგრაციის ცოდნა?

სახედრო ისტორიები 78

ჰიტლერმა ბაშარის ჰიტი
ლინიინგადის ადამა შეაჩერა?

პროსპორტი 80

არსნაღობორები

ქალი ფორგები 81

ფორგონაწმყობისთვის

იარაღის გაღრება 82

პირველი პირველი პირველი
ფორგონისთვის

საინტერესო პარნიკაში
პირველი პირველი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საჯაროებო, გასაჯაროებს იმ კვლევის ნაწილს, რომელიც გენერალურმა შტაბმა 2008 წლის აგვისტოს ომის მიზეზების შესასწავლად ჩაატარა. გამოკითხვა რამდენიმე ათასი სხვადასხვა წოდებისა და თანამდებობის ის სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ცხინვალისა და კოდორის ხეობის მიმართულეებზე მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში.

ჩვენ მოუთმენლად ველოდებით, რა სახის მასალას გასაჯაროებს თავდაცვის სამინისტრო, თუმცა, გულისტკივლით დავმენთ, რომ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიას რამდენიმეჯგუფის დაპირებისა, არ ჩაგვრთეს ამ კვლევაში, მოუხედავად იმისა, რომ მოუკერძოებელი მოსაზრება ჩვენც შეგვედლო დეკლარაციისგანა.

მთავარი რედაქტორი ირაკლი ალასანიასი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ ჩაჩანიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მონაწილე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. N49

სარეკლამო განყოფილება:
თელ: (+995 32) 237-78-07
(+995 32) 238-78-70

პალიტრაში მისამართის ცხელი ხაზი:
თელ: (+995 32) 219-60-13
(+995 32) 219-60-53
Email: contact@palitra.ge

ყურადღება!
გამორეკლამეთ „არსნაღობი“ და მიიღეთ შიგ, თქვენი ერთხელ!
თელ: (+995 32) 238-26-74
(+995 32) 238-26-73

რედაქციის დაუკითხავად
შესაღების გადაცემის
პროცესში

გადაცემულია დასაბამად
28.04.2014

გაზეთ „პირის კალიტრის“
დაბამა ©



იბრძენი თაჰი ნინძა!

ალბათ, გსმენიათ ნინძების შესახებ — ფეოდალური ეპოქის იაპონიის ფარული მებრძოლი-აგენტების შესახებ, რომლებსაც ჯაშუშობაში, საბოტაჟის, დივერსიის მონაწილასა და პოლიტიკურ მკვლელობებში ბადალი არ ჰყავდათ. ჰოდა, თუკი ფიქრობთ, რომ დღეს ნინძები მხოლოდ ლეგენდებში არსებობენ, ცდებით.

იაპონიის პრეფექტურა მიეში ნინძიუცუს ტრადიციების აღდგენა განიზრახეს, ოღონდაც, მიზანი წმინდა ეკონომიკურია. ქალაქ იგასა და ნაბარიში, რომლებიც ნინძას სამშობლოდ ითვლება, სისტემატურად მართავენ ფესტივალებს, სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებს,

სადაც როგორც ადგილობრივები, ისე ტურისტები, ეუფლებიან „ბნელეთის მებრძოლთა“ ხელოვნებას. რა თქმა უნდა, საუბარია ელემენტარულ ილეთებზე.

როგორც ამბობენ, ბოლო დროს საწვრთნელ ბანაკებში ექსკურსანტების ტევა აღარაა. თანაც, ტურისტებისთვის საათნახევრიანი თავგადასავლებით „დახუნძლული“ ტური სულ რაღაც 12 ეკრომდე ღირს. მონაწილეებს ნინძას ტრადიციულ სამოსს აცმევენ და ასწავლიან „წყალზე გავლას“, კედელზე სიარულს, თოკით დაშვებას, „ვარსკვლავის“ სროლას. ტურში მთაში გასეირნება და ჩანჩქერთან რიტუალების შესრულებაც შედის.





პენდაბონმა უხმაურო მოდოსიკლეთი შეუკვთა



სპეციალური დანიშნულების ელიტური შენაერთი იჭრება მონიხალმდგვის ტერიტორიაზე სრულიად უხმაურო ელექტრონული მოტოციკლებით, რომლებსაც ხანგრძლივი სვლის მარაგი აქვთ... ასეთი შესაძლებლობის სინამდვილეში განხორციელება სურთ პენტაგონში და აშშ-ის თავდაცვის სფეროში შესპექტიული კვლევების სააგენტო DARPA-მ უხმაურო მოტოციკლების შესაქმნელად Logos Technologies-ს კონტრაქტი უმაღლესად კომპანიაზე უკვე შექმნა პიბრიდულ-ელექტრონული ძრავა, რომელიც სრულებით უხმაურო რეჟიმში იმუშავებს. საჭიროებიდან გამომდინარე, ის ხან ჩვეულებრივ სანავის მოხმარს, ხანაც — ბატარეებს. ახლა ამოცანა ძრავის მაღალი გამავლობის პლასტფორმასთან მისადაგებაა, რომელიც, თავის მხრივ, სხვა, პროექტის პარტნიორმა კომპანია BDR-მა დაამზადა.

ნიუიორკული ბარჩეხები



ნიუ-იორკის პოლიციისა და სახანძრო სამმართველოებს გასაყოფი რა აქვთ, ვერ გეტყვით, მაგრამ მთლად შეხმატებული ურთიერთობითაც რომ ვერ დაიკვივნიან, ფაქტია. ახლახან ამ სამსახურებს შორის ტრადიციული, ყოველწლიური საქველმოქმედო მატჩი გაიმართა ჰოკეიში და იქ ამბები დატრიალდა, სიკეთის ქმნას ვინ ჩიოდა, ნიუ-იორკის ყინულის სასახლეში ლამის სასწრაფო დახმარების ბრიგადების გამოძახება გახდა საჭირო. გულშემატკივრებით გადაჭედვით დარბაზში პოლიციელებსა და მეხანძრეებს შორის გუნდური ჩხუბი მატჩის მეორე პერიოდში დაიწყო და ნახევარ საათს გაგრძელდა. საბოლოოდ დაპირისპირებული, დაღურჯებულ-დალილაკებული მხარეები მაინც შეარიგეს და თამაშიც ჩაამთავრეს. ვინ აჯობა მუშტი-კრივში, ვერ გეტყვით, ჰოკეიში კი პოლიციელებმა იმარჯვეს და ძალიანაც გაიხარეს — თურმე ბოლო ხუთი წელი ზედიზედ მეხანძრეები იმარჯვებდნენ და ხომ წარმოგიდგინათ, სამართალდამცველებს რა ბოღმაც ახრჩობდათ.

„ბოინგი“ მომავალში

პერსპექტიული კვლევების სააგენტო DARPA ვერტიკალური აფრენა-დაშვების მქონე ექსპერიმენტული აპარატის კონცეპტზე მუშაობს და სხვადასხვა კომპანიის შთავაზუბებს განიხილავს.

სააგენტო წარმოდგენილი ვარიანტებიდან საუკეთესოს შერჩევს, რომლის საფუძველზეც დემონსტრატორი აპარატი შეიქმნება და პირველი საცდელი ფრენა, სავარაუდოდ, 2017-2018 წლებში შედგება. კონკურსში სხვებთან ერთად ისეთი ცნობილი კომპანიები მონაწილეობენ, როგორცაა „სიკორსკი“ და „ბოინგი“. სურათზე წარმოდგენილი შთამბეჭდავი კონცეპტი სწორედ ამ უკანასკნელს ეკუთვნის.

აქამდე შექმნილ ვერტიკალური აფრენა-დაშვების ყველა აპარატი კომპროზის სისწრაფეს, ფრენის მანძილს და ეფექტურობას შორის კეთილბოდა. DARPA-ს ნაწილზელი პროგრამა VTOL X-Plane-ის მიზანი კი სწორედ ისეთი მოდელია, რომელიც მასობაზურად სრულყოფილი იქნება.





ტილანდის 15-მილიონიანი დედაქალაქის ბანკოკის ქუჩებში ცნობილია თავისი გაუვალარი საცობებით. რა თქმა უნდა, ხალხმრავალ და გადატვირთული ქუჩების მქონე ქალაქში საქმე დალხენილად არც სამართალდამცველებს აქვთ, მაგრამ პრაქტიკაში აჩვენა, რომ საცობში „გაჭედოილ“ მოქალაქეებს არცთუ იშვიათად, ვინმესგან ან რაიმესგან დაცვაზე მეტად, დახმარება... მშობიარობაში სჭირდებათ.

ჰოდა, ერთ დღესაც ბანკოკის საგზაო პოლიციის თანამშრომლებს უჩვეულო ტრენინგისთვის ქალაქის სამშობიაროში უხმეს, რათა მათთვის სამედიცინო საქმე ესწავლებინათ.

ტრენინგში, სადაც „ტრენაჟორად“ სილიკონის მოდელები და რეზინის ჩვილები იყო წარმოდგენილი, ასამდე პოლიციელმა „გეინაფა“ ხელი. კურსის გავლის შემდეგ მან-პოლიციელებს ხელათამაზები და სტერეოლოგი ხელსახოცები დაურიგეს, რომელთა ტარება სამსახურის შესრულების დროს მუდმივად მოუწევთ.

მარმარილოს ამორძახლები

როტერდამისა და ამსტერდამის საგამოფენო დარბაზებში ერთობ პოპულარულია ცნობილი ბრიტანელი მოქანდაკე ტომ პაკის ნაშუქვერები – ქვაში გაცოცხლებული ამორძახლები, რომლებსაც დამთავლიერებლები არასდროს აკლია. მოქანდაკის მუზა რომ მიშველი ქალი იყოს, გასაკვირი არაფერია, მაგრამ ტომის შემოქმედებაში ნატიფი ქალური სხეულის სილამაზეს თან აუცილებლად იარაღი ერთვის და სწორედ ამის გამო დამისახურა მან ჩვენი ყურადღება. გემოვნებაზე არ ვიდავებთ, მხოლოდ ვაღიარებთ, რომ მარმარილოსგან ის მართლაც შედევრებს ქმნის.



3-ტონიანი სარუქარი მამიკოსბან



როდესაც ექვსი წლის ჩინელმა ბიჭუნამ თავის მამიკოს, ფლოტის ოფიცერ ცზიან ლინს სთხოვა, დაბადების დღეზე ტანკი მართეო, ამ უკანასკნელმა ვაჟიშვილის სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. ასე იყო თუ ისე, ფაქტია, მამიკომ შვილს დაუვიწყარი საჩუქარი გაუკეთა — დაბადების დღეზე თვითნაკეთი, მაგრამ მაინც ნამდვილი ტანკი მიუყვანა, რომელშიც ჯდება, დაღის და „ისერის“ (ოღონდ, არა ჭურვეს). 31 წლის ცზიანს ტანკის გასაკეთებლად ორ თვეზე მეტი დასჭირდა და 7 ათასი დოლარი დაუჯდა. თითქმის 2 მ სიმაღლისა და 5 მ სიგრძის, სამტონიან ტანკში ცზიანმა ტრანქტორის მუხლუხები და სატვირთო მანქანის ძრავა გამოიყენა. მთლიანობაში, საჩუქარი შთაბეჭედავი კი გამოვიდა, მაგრამ ერთი ეგაა, ობიექტის სტატუსის გარკვეული არაა — თუკი ის საბრძოლო მანქანად ცნეს, რადგან მისი შექმნა ხელისუფლებასთან შეთანხმებული არ იყო, ცზიანს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა დაემუქრება. სავარაუდოდ, ცზიანი „შედვრს“, როგორც უბრალო სატრანსპორტო საშუალებას, ისე დაარეგისტრირებს და პრობლემაც ამოიწურება.



უნიხემს-ყაზარმები




იმისათვის, რომ გენდერული ნიშნით განსხვავება მინიმუმამდე დაეყვანათ, ბოლო დროს ნორვეგიულ ჯარში მამაკაცებსა და ქალებს ერთ ყაზარმაში სძინავთ. როგორც ამ იდეის ავტორები აღნიშნავენ, გვერდიგვერდ თანაცხოვრებამ არმიში სექსუალური ძალადობის პროცენტი ნულამდე შეამცირა. საცდელი „უნიხემს-ყაზარმები“, რომლებშიც ოთხი მამაკაცი და ორი ქალია განთავსებული, ნორვეგიის ჩრდილოეთით, წლის დასაწყისში „გაიხსნა“ და ამ ექსპერიმენტმა უკვე მოლოდინს გადააჭარბა. „ამან ჩვენი გოგონები ნამდვილად გაუკაცბდა აქცია“, — ამაყად აცხადებს პროგრამის თანაავტორი. ექსპერიმენტის მონაწილე ერთ-ერთი ჯარისკაცი გოგონა კი ამბობს: „ჩვენ სულ მალე ვიქცეით ერთ გუნდად. ერთად ცხოვრება პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ურთიერთნდობის მოსაპოვებლად“.

სხვა რაღა ვითხრათ. შიშოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ნორვეგია NATO-ს პირველი ქვეყანაა, სადაც სამხედრო სავალდებულო სამსახური ერთნაირად ეხება როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს.

დახვეწა „რკინის გუმბათსა“ სჭირდება

კომპანია „რაფალი“ თავდაცვის რაკეტსაწინამდებეო სისტემა „რკინის გუმბათის“ დახვეწასა და გაუმჯობესებას აპირებს. კონკრეტულად, რა ცვლილებები იგეგმება კომპლექსის კონსტრუქციაში, უცნობია, თუმცა, ცნობილია, რომ მოდერნიზაციისას გათვალისწინებული იქნება იმ ჯარისკაცთა შენიშვნები, რომლებიც მასზე მუშაობდნენ. სხვათა შორის, როდესაც ისრაელში „რკინის გუმბათის“ გამოყენება დაიწყო, სამხედროებითი თვითგამოსროლილი რაკეტის საწინამდებეოდ კომპლექსის ორ რაკეტას უშვებდნენ. მოგვიანებით მათამ პრაქტიკაზე უარს თქვეს და თითოსაში ზნეზე თითოგ ზის გადაამჭრელის გაშვებას მიჰყვეს ხელი. ცნობისთვის: „რკინის გუმბათის“ ბატარეა მართვის ცენტრის, რადარისა და სამი გამშვები დანადგარისგან შედგება — თითოში 20 რაკეტით.



ფრონტელი ოთხფეხა მებობარი



ავღანეთიდან ამერიკელმა ჯარისკაცმა ჯესი ნოტმა სამშობლოში თან კატაც ჩაიყვანა, რომელსაც „ცხელ ნერტილში“ დაუმეგობრდა. გაგიკვირდებთ და, თურმე ქუჩის ამ მანანალა ცხოველმა, რომელიც არცთუ იმიჯითად ხდებოდა ადამიანებისგან უდიერად მოპყრობის მსხვერპლი, აშშ-ის არმიის ჯარისკაცს ომის საშინელებზე გადააბრუნა და სულიერი სიჯანსაღე შეუნარჩუნა. ჰოდა, რა გასაკვირია, ნოტმა მიზნად დაისახა, ომის ქარცეცხლიდან ცხოველიც გამოერიდებინა. „მე დაეკარგე თავის და ღმერთის რწმენა. და სწორედ მაშინ მოვიდა ჩემთან ეს კატა და მითხრა: „ეი, მეგობარო, ეს შენ ხარ“. ის დაქმნარა თავი დამელნია იმ აუტანელი მდგომარეობისგან, რომელშიც ვიყავი და გადავწყვიტე, თავადაც დაეხმარებოდი მას დედამიწაზე ყველაზე საშინელი ადგილიდან თავის დაღწევაში“, — ასე ხსნის თავის ქმედებას ჯესი ნოტი. ამჟამად ნოტი ვაშინგტონის შტატში მსახურობს, ახლო მომავალში კი სამხედრო კარიერის დასრულებას და მშობლიურ ორეგონში დაბრუნებას აპირებს, სადაც ელოდება კიდევ ერთგული ოთხფეხა „ფრონტელი მებობარი“.



მართვადი ქაოსი ანუ ანექსია რუსულად

უენევაში 17 აპრილს ოთხმხრივ შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, პრორუსული ძალები უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში დაკავებული რამდენიმე ქალაქს, აგრეთვე, ადმინისტრაციულ შენობათა დატოვებასა და უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა განიარაღებას მაინც არ აპირებენ. არის მცდელობა, რომ დაპირისპირებამ შეიარაღებული ხასიათი მიიღოს და მოსკოვს მოქმედებისთვის ხელ-ფეხი გაეხსნას.

ეჭვს არ იწვევს, თუ საიდან იმართება უკრაინის მოვლენები და მისი მიზანი — ე.წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“, „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის“, „სლობოჟანსკის ავტონომიური რესპუბლიკისა“ თუ სხვა მსგავს წარმონაქმნებში რეფერენდუმების ჩატარებით უკრაინისგან გამოყოფა და შემდგომ უკვე რუსეთთან მიერთება.

ოფიციალური მოსკოვის მრავალგზის უარყოფის მიუხედავად, მთელ ამ პროცესებში აქტიურად ჩართულია რუსული ძალოვანი სტრუქტურები. უკრაინის ტერიტორიაზე უკვე მოქმედებენ რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერუო სამმართველოსა და სხვა სამსახურების წარმომადგენლები. აქტიურად მუშაობს რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ახალშექმნილი სპეციალური ოპერაციების ძალების სარდლობა, რომლის შესახებაც სულ ორიოდე თვის წინ გახდა ცნობილი. მასში გაერთიანებულია სახმელეთო ჯარების, საჰაერო და საზღვაო ძალების, აგრეთვე, საზღვაო ქვეითთა სპეცდანიშნულების უკვე არსებული ქვედანაყოფები. მათი დანიშნულება სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მიზნებისთვის სპეციალური ამოცანათა გადაჭრაა.

სპეციალური ოპერაციების ძალები მოქმედებენ

დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებში, სადაც პოლიტიკური მოსაზრებებით მსხვილი შენაერთების გამოყენება რეკომენდებული არ არის ან ნაადრევიცა, ხოლო სწრაფი და ეფექტური მოქმედებისთვის პატარა, სწრაფი მობილური ჯგუფებია საჭირო. ასეთი ჯგუფები შეიმჩნევა უკრაინის იმ რაიონებში, სადაც განსაკუთრებით ძლიერია პრორუსული განწყობა.

როგორც ჩანს, მათი დანიშნულება პირველ ეტაპზე უკრაინის სახელმწიფო და ადმინისტრაციულ შენობებზე თავდასხმებში მონაწილეობით შემოიფარგლებოდა, სადაც რუსული სპეცდანიშნულების ჯგუფების შეიარაღებულ-ეკვიპირებული ათეულობით მებრძოლი ხალხის მასაში იყო არეული. შეტევისას სეცრაზმელები არც ბინძურ მეთოდებზე ამბობდნენ უარს და წინა ხაზზე ქალები, ბავშვები და მოხუცები ჰყავთ აფარებული, რომ უკრაინელ ძალოვანებს სწოლა არ გაეცდათ. მი-

ე.წ. „თავდაცვის“ რაზმები ძირითადად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით არის აღჭურვილი






ლიციალთა ფორმალური თუ არაფორმალური წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ სცენაზე მოსკოვის მომხრე ადგილობრივი აქტივისტები გამოდიან. იწყება იმის დემონსტრირება, რომ შენობა თითქოს მათ დაკავეს და იმავდროულად, ე.წ. „მოლაშქრეთა“ რაზმების ჩამოყალიბება მიმდინარეობს. „მწვანე კაცუნებად“ მონათლული რუსი სამხედროები ამდენს ვერ გაბედავენ ადგილობრივ სამართალდამცველებში მრავალრიცხოვანი მხარდამჭერი რომ არ ჰყავდეთ. მაგალითად, დონეცკის ოლქში უკრაინის ხელისუფლების მიმართ სამართალდამცველთა 30% ლოიალურად, 70% კი უარყოფითად იყო განწყობილი, თუმცა, სინამდვილეში ლოიალურობის მარცხენა კიდე უფრო ნაკლები აღმოჩნდა.

მეორე ეტაპზე რუსმა სპეცრაზმელებმა ორგანიზება გაუკეთეს შეიარაღებული წინააღმდეგობის კერებსა და „მოლაშქრეთა“ რაზმებს, სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად რუსეთიდან ჩამოსული „მოხალისეები“ გაერთიანდნენ.

ახლაგამოჩენილი „რევოლუციური“ რაზმების შეიარაღება კი საკმაოდ მრავალფეროვანია: „მოლოტოვის“ კოქტილიანი ბოთლები, 9 მმ-იანი მაკაროვის პისტოლეტები, 5,45 მმ-იანი AK-74M-სა და 7,62 მმ-იანი AK-103-ის მოდელის ავტომატები, 7,62 მმ-იანი ხელის ტყვიამფრქვევები (ППК), 64 მმ-იანი ტანკსანინა-აღმდეგო ყუმბარასატყორცნები (РПГ-18 Мыха), 5,56 მმ-იანი ამერიკული ნახევრადავტომატური შაშხანები (M16), 7,62 მმ-იანი შპაგინის სისტემის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები (ПШ-41), სანადირო თოფები, გაზის იარაღი და მრავალი სხვა.

მებრძოლთა ხელში ბევრი პისტოლეტი დარბული მილიციის და უშიშროების განყოფილებებიდან აღმოჩნდა, ხოლო ამერიკული M16-ები დონეცკის იარაღის მალაზიებიდან არის ნაშთებული, სადაც მისი ღირებულება 17 ათას გრივნას, ანუ დაახლოებით 1.550 დოლარს შეადგენს.

ჩანს, იარაღის ერთი ნაწილი რუს სპეცრაზმელებს აქვთ შემოტანილი, მეორე კი, ალბათ, წინასწარ იყო უკრაინის ტერიტორიაზე დასაწყობებული. ქალაქ სლავიანსკში „მოლაშქრებმა“ მშვიდობიანი მოსახლეობის დახმარებით უკრაინულ მედესანტეთა ექვსი საბრძოლო მანქანის ხელში ჩაგდებაც კი მოახერხეს. რადგან რუსეთისა და უკრაინის არმიები მეტწილად ერთნაირი შეიარაღებით არიან აღჭურვილი, ამიტომ განსაკუთრებით მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის წარმომავ-



უკრაინის ბევრ ქალაქს ვერ იხვე „ამშვენებს“ პროლეტარიატის ბელადის ძეგლი

ლობის დადგენა გაძნელებდა. რუსეთის ხელშეწყობით ორგანიზებული გამოსვლები, არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებები, გზებზე ბლოკოსტები თუ კრიმინალთა თავაშვებულობა უკრაინას ქაოსსკენ უბიძგებს. მოსახლეობაში მატულობს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ პროტესტის მუხტი და 25 მაისისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს ზოგიერთ რაიონში ჩაშლის საფრთხე ემუქრება, რასაც ახლა მოსკოვი ესწრაფვის.

ანტიუკრაინული ქმედებები რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ფონზე მიმდინარეობს, რომელიც უპირველესად რუსეთის მოქალაქეებზეა გათვლილი, რადგან სამყაროს დიდი ნაწილისთვის ყველაფერი ისედაც კარგად არის ცნობილი.

თამარ ჩაჩანიძე





მოსკოვი NATO-ს

თბილისური ბირთვული რაკეტებით ემუქრებოდა...

32 წელი ამერიკული ატომური ავიამფრინავის განადგურებას კრემლი თბილისის საავიაციო ქარხანაში დაგზავნილი ბირთვულუბიანი ფრთოსანი რაკეტებით გეგმავდა...

უკრაინასთან დაკავშირებული მოვლენების პარალელურად მსოფლიოში ცივი ომის აღდგენის პირველი ნიშნები გამოჩნდა, კერძოდ, რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების ავიაციამ მოუხშირა ფრენას NATO-ს წევრი ქვეყნების საჰაერო საზღვრების სიახლოვეს, ხოლო 23 აპრილს ორი რუსული სტრატეგიული ბომბდამშენი რაკეტაშიდი Ty-95MC ჰოლანდიის საჰაერო სივრცეშიც შეიჭრა.

ეს ყველაფერი ხდებოდა ათწლეულების წინ, როდესაც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ამ გზით ცდილობდა, დაემუქრებინა NATO, განსაკუთრებით კი მისი წევრი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალები, რომელთა საბრძოლო ხომალდები ატლანტიკურ ოკეანეში, ჩრდილოეთ, ბარენცისა და ნორვეგიის ზღვებში დატურავდა.

საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობა 1962 წლიდან 1994 წლის ჩათვლით (ბოლო სამი წელი უკვე დამოუკიდებელი რუსეთის თავდაცვის სამინისტრო) ამ მიზნით იყენებდა ხომალდნაწინააღმდეგო საავიაციო სარაკეტო კომპლექს Ty-16K-10-ს, რომელიც ბომბდამშენ Ty-16-სა და ხომალდნაწინააღმდეგო ფრთოსან რაკეტა K-10-ს აერთიანებდა.

NATO-მ საბჭოთა K-10-ი AS-2 Kipper-ად, ანუ „შეზღვეული თევზად“ მონათლა და ალიანსის საბრძოლო ხომალდების კაპიტნები ძალიან უფრთხობდნენ მას, რადგან 9,7მ სიგრძისა და 4,5 ტ მასის „შეზღვეული თევზს“, რომელსაც 940 კგ მასის საბრძოლო მუხტი ჰქონდა, NATO-ს ფრეგატების დაზიანება და ჩაძირვა 220-325 კმ-ის სიშორედაც შეეძლო.

იმ პერიოდში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბბინაში, სავარაუდოდ, არ იცოდნენ, რომ ასე საშიშ საბჭოთა „შეზღვეული თევზებს“ თბილისის საავიაციო ქარხანაში აწყობდნენ, რადგან ამის შესახებ თავად ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა უდიდესმა ნაწილმაც არ უწყობდა და თვლიდნენ, რომ მათი ქარხანა მხოლოდ MiG-21 ტიპის გამანადგურებელ თვითმფრინავებს უშვებდა.

ასეთი ვასაიდუმლოება იმით იყო განპირობებული, რომ K-10-ტიპის ფრთოსან რაკეტას ჩვეულებრივი ფუგასურ-კუმულაციური საბრძოლო ქობინის გარდა ბირთვული მუხტის გადატანაც შეეძლო, ხოლო საბჭოთა კავშირში ყველაფერს, რაც ბირთვულ შეიარაღებას უკავშირდებოდა, გრიფი „სრულიად საიდუმლო“ ედო.

თბილისის საავიაციო

ქარხნის გამოშვებული (სულ საბჭოთა კავშირში 1669 ცალი K-10 დამზადდა, რომელთა უდიდესი ნაწილი სწორედ თბილისში ააწყვეს) ბირთვულქობინიანი „შეზღვეული თევზები“, ძირითადად, ამერიკული ატომური ავიამფრინავების ჩასაძირად იყო გამიზნული, რადგან უზარმაზარ ავიამფრინავს ფუგასურ-კუმულაციური ქობინი ვერაფერს დააკლებს.

1980-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის შეიარაღებაში იყო 200-მდე Ty-16K-10 კომპლექსი, რომელთა ნაწილი ყირიმის ნახევარკუნძულზე იყო თავმოყრილი.

1962 წელს საბჭოთა საზღვაო ატომურ პოლიგონზე ახალ მიწაზე Ty-16K-10-იდან გაუშვეს ნამდვილი ბირთვული მუხტით აღჭურვილი „შეზღვეული თევზი“ მცურავი სამიზნის მიმართულებით და განისაზღვრა ბირთვული აფეთქების სიმძლავრე.

1964 წელს კი მოხდა ტრანეკომიკური შემთხვევა. საზღვაო პოლიგონზე გაშვებულმა K-10-ის რადიოლოკაციური დამიზნების სისტემამ სასწავლო სამიზნის ნაცვლად იაპონური თევზსაჭერი გემი „ჩაიჭირა“ და მის მახლობლად აფეთქდა. დაჭრილმა იაპონელმა მეზღვაურებმა არ უჩივლეს მოსკოვს, რადგან გულბრყვილოდ ჩათვალეს, რომ მათ გემთან საბჭოთა გამანადგურებელი თვითმფრინავი აფეთქდა (K-10 ძალიან ჰგავდა იმდროინდელ გამანადგურებლებს) და „დაღუპული“ პილოტის გამო სამძიმარიც კი გამოუცხადეს საბჭოთა კავშირს.

თბილისის საავიაციო ქარხანაში დამზადებული „შეზღვეული თევზები“ დღეს რუსეთის სამხედრო ავიაციის შემადგენლობაში აღარ არის, თუმცა რუსული რაკეტაშიდების ეკიპაჟები NATO-ს ხომალდებს იმავე ტექნიკით ემუქრებიან, რომელიც ათწლეულების განმავლობაში თბილისური K-10-ების სასწავლო-საბრძოლო ექსპლუატაციის დროს დახვენეს.

ირაკლი ალადაშვილი





კიევური

„სავშანბუშტი“

აღმოსავლეთ უკრაინის ხარკოვის, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში კვლავინდებურად შენარჩუნებულია ფეთქებადსაშიში მდგომარეობა. შესაბამისად, რუსული აგრესიის საფრთხის აღბათობა იმდენად მაღალია, რომ რუსეთ-უკრაინის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ განლაგებული უკრაინის არმიის შენერთები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან.

თუ რუსეთის პრეზიდენტი სუვერენულ ქვეყანაში შეჭრას გადაწყვეტს, მაშინ პირველი დარტყმის მიღება საზღვართან მყოფ მესაზღვრეებთან ერთად უკრაინის სახმელეთო ჯარების სატანკო და მექანიზებული ბრიგადებს მოუწევთ.

The Military Balance 2013-ის მონაცემებით უკრაინის სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში შედის: 2 სატანკო (1-ლი, მე-17) და 8 მექანიზებული (24-ე, 28-ე, 30-ე, 51-ე, 72-ე, 92-ე, 93-ე, 128-ე) ბრიგადა, ერთი მექანიზებული პოლი, აგრეთვე საარტილერიო, აერომობილური, საინჟინერო და სხვა სახის შენაერთები.

სატანკო და მექანიზებული ბრიგადები დაახლოებით 1100 ტანკით არის აღჭურვილი, რომლის დიდი ნაწილიც T-64-ებისა და T-72-ების სხვადასხვა მოდელზე მოდის.

გარდა ამისა, უკრაინულ ტანკისტთა განკარგულებაშია ხარკოვის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხანაში დამზადებული T-80UD ტიპის 165 ტანკი, ხარკოვის ქარხანაში მოდერნიზებული და შედგენითი თანამედროვე T-64BM Булат-ის ტიპის 76 ტანკი კი 1-ლი ცალკეული სატანკო ბრიგადის შეიარაღებაშია. ამ შენაერთის ქვედანაყოფები ერთ-ერთი

პირველი ვაიგ ზანა სახელმწიფო საზღვრის გასამაგრებლად, კიდევ უფრო თანამედროვე ათი T-84Y Опл-01-ით კი 72-ე მექანიზებული ბრიგადაა აღჭურვილი.

Опл-01-ს ახალი კომპურა, მომატებული სიმძლავრის ძრავა, ოპტიკურ-ელექტრონული უკუქმედების კომპლექსი (Штора-1), ცეცხლის მართვის გაუმჯობესებული და ახალი სანავიგაციო სისტემები აქვს. კომპურასა და კორპუსში მაღალი სიმტკიცის ფოლადის ფურცლებისა და კერამიკული მასალისაგან დამზადებული მრავალძირიანი ჯავშანია გამოყენებული, ხოლო ჯავშნის ერთგვარ „ჯიბეები“ ახალი თაობის დინამიკური დაცვის ელემენტებია ჩაშენებული.

2009 წლის მაისში ხარკოვის ქარხანაში ტანკის უახლესი მოდელის — T-84Y Опл М-ის დემონსტრირება შედგა. მოდერნიზებული „ოპლოტი“ ეროვნული და თავდაცვითი მრეწველობის დიდ მიწვევად შეფასდა და პრინციპულად ახალ ტანკად მოინათლა, თუმცა, სერიული წარმოების დაწყება დაუფინანსებლობის გამო არ მოხერხდა.

ინტერნეტი გავრცელებულ კადრებს თუ დაეჯერება, რუსებს უკრაინელთა წინააღმდეგობის დასაძლევად საზღვრებთან მეტწილად T-90-ის ტიპის ტანკებით აღჭურვილი სატანკო ბატალიონები გადაჰყავთ. რამდენად ეფექტურად შეძლებენ უკრაინელი ტანკისტები მოწინააღმდეგის აგრესიის მოგერიებას, ამას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს და მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატანკო ქვედანაყოფთა საბრძოლო მომზადების დონეა. როგორც უკრაინელმა სამხედროებმა აღიარეს, არმაში და

მათ შორის სატანკო-მექანიზებულ ქვედანაყოფებში საკმაოდ ბევრი ხარვეზი დაგროვდა. მართალია, ახლა თავდაცვის სამინისტრო ამის გამოსწორებას ცდილობს, მაგრამ სირთულეები საკმარისზე მეტია და თითოეულის დაძლევა დროს მოითხოვს.

პირველივე სირთულეები სახელმწიფო საზღვრისკენ გადაადგილებისას გამოჩნდა, როცა ქვედანაყოფებმა წინასწარ განსაზღვრულ რაიონებში საწყისი პოზიციების დაკავების ბრძანებები მიიღეს.

მშვიდობიან პერიოდში შესასრულებლად არცთუ რთულ ამოცანას ზოგიერთმა ქვედანაყოფმა თავი ვერ გაართვა, რადგან პრორუსულად განწყობილმა მოსახლეობამ სამხედრო კოლონებს გადაადგილების საშუალება არ მისცა — ჩაიკეტა სარკინიგზო და საავტომობილო გზები, ორგანიზებულად გამოყვანილი ქალები, ბავშვები და მოხუცები სამხედრო ტექნიკას ბლოკირებას უკეთებდნენ და ა.შ. ერთ შემთხვევაში კი კოლონიდან ჩამორჩენილ ტანკს სამოქალაქოებმა ავტომობილებით იძენი სდიეს, სანამ ტანკისტები «ტყვედ» არ ჩაპბარდნენ. იყო შემთხვევები, როცა ჯავშანტექნიკის პარკებიდან გამოყვანა ტექნიკის გაუმართაობის ან სანაგვის უქონლობის გამო შეუძლებელი იყო. მაშინ საქმეს ერთ შემთხვევაში — პატრიოტიზმმა, მეორეში კი ბიზნესმენებისგან შეგროვილმა ფულმა უშველა. ცხადია, არმია ყოველ ასეთ სიტუაციაში სხვის იმედად ვერ იქნება.

გასათვალისწინებელია კადრების ფაქტორიც. ქვეყნის ძალიან სტრუქტურებში და მათ შორის არმიაში ცოტანი არ არიან პრორუსული პოლიტიკის მომხრე ოფიცრები, რომლებიც მზად არიან ხელსაყრელ მომენტში უკრაინის ერთგულებაზე მიღებულ ფიცს უღალატონ. ისიც მხედველობაში მისაღები, რომ ამ მიმართულებით რუსული საინფორმაციო საშუალებები ძლიერ საავტოტაციო-პროპაგანდისტულ ომს აწარმოებენ. აგრესიის შემთხვევაში რუსული ავიაციის სამიზნე პირველად უკრაინელთა სატანკო-მექანიზებულ ქვედანაყოფების საბრძოლო პოზიციები იქნება.

შედლებენ უკრაინის საჰაერო თავდაცვის ძალები თავიანთი ტანკისტების, ქვეითებისა თუ არტილერიისტების საიმედოდ დაცვას? თუ შეძლეს, მაშინ რუსეთის არმიას დიდი წინააღმდეგობა მოეწივს. მაგრამ არა-

ნაკლები სირთულეები შეექმნება საზღვართან თავმოყრილ უკრაინის არმიას სხვადასხვა საშუალებით უზრუნველყოფისას, რადგან სატრანსპორტო კომუნიკაციები ისეთ რაიონებზე გადის, რომლის მოსახლეობაც კიევის ახლანდელი ხელისუფლების მიმართ ლიბალურობით არ გამოირჩევა და, პირიქით, უამრავ პრობლემას უქმნის. საბრძოლო მოქმედებათა დაწყების შემთხვევაში კი, ალბათ, პრობლემები კიდევ უფრო მოიმატებს და გამძაფრდება.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ჯავშანსატანკო ჯარების გამოყენებას შეეხება. უკრაინული სატანკო-მექანიზებული ბრიგადების დანიშნულებაა: თავდაცვაში — მონინააღმდეგის დარტყმების მოგერიება და დაკავებული რაიონებისა თუ პოზიციების შენარჩუნება და შეტევის დროს მონინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა, მისი ჯარების განადგურება, მისი მნიშვნელოვანი რაიონების დაკავება. საინტერესოა ამ ბოლო შემთხვევისთვის უკრაინულ ტანკისტებს თუ აქეთ დასახული მიზნები და ამოცანები?

თამაზ ჩაჩანიძე



„მოლაშქრების“ მიერ დატყვევებული ტანკი



უკრაინის არმიის 1-ლი სატანკო ბრიგადის ეკიპაჟები მარშისთვის ემზადებიან



უკრაინელმა პილოტებმა 7634 ქართველი დეჰნილი გადაარჩინეს

აფხაზეთის ომის ტრაგიკული შედეგი ბევრად განაპირობა 1993 წლის 27 ივლისის სოჭის შეთანხმებამ.

დოკუმენტმა სახელწოდებით „შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტასა და მისი შენარჩუნების მექანიზმის კონტროლზე“, მშვიდობიანი ცხოვრების იმედი ჩასახა, ათასობით ადამიანი ნაომარ სოსხუმს დაუბრუნდა, სკოლებში აღდგა ომის დროს შეჩერებული სასწავლო პროცესი და ა.შ.

შეთანხმების შესაბამისად, ქართულმა მხარემ აფხაზეთში მყოფი საკუთარი ქვედანაყოფები განაიარაღა-დაშალა და სამხედრო ტექნიკასთან ერთად გამოიყვანა.

მოულოდნელად, 16 სექტემბერს, რუსების ზურგს ამოფარებულმა სეპარატისტთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა საბრძოლო მოქმედებები განაახლეს და მძიმე ბრძოლის შემდგომ სოსხუმი დაიპყრეს.

დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, სადაც მტერი ქართველებთან ერთად არ ინდობდა ყველა იმ აფხაზს, რუსს, უკრაინელს თუ სხვა ერის წარმომადგენელს, ვინც ომში საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის იდეას ემსახურებოდა.

მოსახლეობა ტოვებდა მამაპაპეულ სახლ-კარს და სამშვიდობოს გასვლას გეგმებით, ავტომობილებითა თუ თვითმფრინავებით ცდილობდა, მაგრამ სატრან-

სპორტო საშუალებათა გამოყენება ყოველთვის და ყველგან არ ხერხდებოდა. უმრავლესობა კი იმ ჯოჯოხეთიდან გამოსაღწევად თავისი თავის იმედად დარჩა და სოსხუმი-გულრიფშის რაიონებში ჩარჩენილი უამრავი ადამიანი ფეხით კოდორის ხეობით სვანურ სოფელ ჭუბურისკენ დაიძრა. ქალებს, ბავშვებს თუ მოზუცებს წინ 150-160 კმ-ის გზა ულოდა, რომლის დიდი ნაწილი კავკასიის მთებში იყო გასავლელი, თანაც, იმ



ნელს უღელტეხილზე ნაადრევად ჩამოთოვა და ომი გამოწვეულ სტრესებს სიცივე და შიმშილი დაერთო.

მთის ვიწრო გზებზე შევიწილ ადამიანებს დახმარება სჭირდებოდათ და რაც უფრო სწრაფად იქნებოდა ორგანიზებული, სიკვდილს მით მეტი გადაურჩებოდა.

ქართულ შევუღმფრენთა ეკიპაჟების თავდადებებს მიუხედავად, ხალხის მასა იმდენად დიდი იყო, რომ ქვეყანას საკუთარ მოქალაქეთა გადასარჩენი ძალა არ შენევედა და მაშინდელმა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდინამ დასახმარებლად უკრაინის პრეზიდენტ ლიონიდ კრავჩუკს მიმართა.

უკრაინის პრეზიდენტმა ქართველი ხალხის გაჭირვება გაითავისა და უმოკლეს დროში მიიღო გადაწყვეტილება კოდორის ხეობაში ჭუმანტარული დახმარების აღმოჩენასა და სამამუელო ოპერაციის ჩატარებაზე. ამავე ოპერაციაში სომხეთისა და დაღესტნის თითო-თითო შევუღმფრენიც მონაწილეობდა.

1993 წლის 7 ოქტომბერს საღამოს უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბში მივიდა მიფროგრამა, რომლის მიხედვითაც 8 ოქტომბერს უკრაინის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ AH-12-ს ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის ცხრაკაციანი ოპერატული ჯგუფი რეკოვსის ცირებისთვის ქუთაისის (კოპიტნარი) აეროდრომზე უნდა გადაეყვანა.

ჯგუფის ამოცანა იყო სამამუელო სამუშაოთა ორგანიზებისთვის ადგილზე მდგომარეობის შესწავლა და შევუღმფრენთა მისაღებად სათანადო პირობების მოზადება. ჯგუფს სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი იური პეტროვი ხელმძღვანელობდა.

პარალელურად, უკრაინის ავიაციის შევუღმფრენთა პოლკებში საქართველოში გამოსავაზი რაზმის ფორმირება დაიწყო. რაზმისთვის ყველაზე ახალი და გამართული საფრენი აპარატები შვირჩა. ერთი დღე საქართველოში აღმოჩნდა ეკიპაჟების დასაკომპლექტებლად. უპირატესობა ეძლეოდათ ავღანეთში ნაბრძოლ და კავკასიაში ნამსახურებ მფრინავებს, რომელთათვისაც მთებში ფრენა უცხო არ იყო. მათი რაოდენობა რაზმის პირადი შემადგენლობის 60%-ს შეადგენდა.

9 ოქტომბერს უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების ვაჟინაკის 488-ე ცალკეულ შევუღმფრენთა პოლკსა და ხერსონის 320-ე ცალკეულ შევუღმფრენთა პოლკის მი-8მტ(MTB) ტიპის 15-მა, აგრეთვე, ოჩაკოვოს 555-ე ცალკეულ ნავსანინალმდგეო შევუღმფ-

რენთა პოლკის Ka-27 და Ka-27ПC ტიპის თითო-თითო შევუღმფრენმა საქართველოში გადმოფრენის ბრძანება მიიღო.

ფრენის მარშრუტი ხერსონიდან იწყებოდა, მას მოსდევდა ბაგეროვო, ადლერი და ბოლო პუნქტი ქუთაისი იყო. უკრაინიდან შევუღმფრენთა გადმოფრენა 10 ოქტომბერს დასრულდა.

რაზმის პირადი შემადგენლობა 90 სამხედროს ითვლიდა და მისი ხელმძღვანელობა უკრაინის მე-5 საჰაერო არმიის საბრძოლო მომზადების უფროსს, გენერალ-მაიორ ვეგენი ვლასენკოს ჰქონდა ჩაბარებული, ხოლო საქართველოს წარმომადგენლებთან ორგანიზაციულ საკითხებს გენერალ-მაიორი იური პეტროვი არეგულირებდა.

უკრაინელი მფრინავები კოდორის ხეობაში გამავალი გზის თავზე დაფრინავდნენ. ხელსაყრელი მოედნის პოვნის შემთხვევაში ძირს ეშვებოდნენ საკვებისა თუ თბილი ტანსაცმლის გადასაცემად და დასუსტებული ადამიანების გამოსაცვანად.

პოლკოვნიკი პალარი ჩალი:

„ჩვენი მთავარი დასუსტებული ადამიანების გადარჩენა იყო, მაგრამ ვინც მთებში რჩებოდა, მათთვის ყველაფერი აუცილებელი უნდა მიგვეწოდებინა, რომ მომდევნო შევუღმფრენის უსივლამდე გაეძლიოთ. ყველაზე მეტად ბავშვებს შოქრდათ. ჩვენ იძულებული ვიყავით ავადმყოფი და დასუსტებული ადამიანებისთვის პირველადი დახმარება ადგილზე აღმოგვეჩინა.“

პირველ დღეს 600 კაცი გადავარჩინეთ, მეორე დღეს დაახლოებით 2 ათასი. მაშინ არავინ ფიქრობდა დასვენებაზე და ყველას ესმოდა, რომ საჭირო იყო ადამიანების გადარჩენა, რომლებიც მთებში უაღრესად რთულ პირობებში იმყოფებოდნენ.

ვდგებოდი დილის 4 სთ-ზე, ფრენას 5-6 სთ-ზე ვიწყებდი. გზრუნდებოდი 40-50 ნთ-ით სანჯავის შესავსებად და ისევ მიეფრინავდით. მუშაობას კი გვიან ვამთავრებდი.

ხალხი ჩვენ გველოდა, ბორტზე 40 კაცს ვიღებდით და ამას უკვე ყურადღებას ავარც ვაქცევდით, როცა ნორმა მხოლოდ 24 კაცი იყო.

იყო შემთხვევები, როცა აპარატი ორ წერტილზე ჯდებოდა ანუ ორი ბორბალი კარნის ხსებოდა ერთი კი ჰაერში რჩებოდა.

ვლოცულობდით, რომ აეროდრომამდე მიგვეღწია, ზოგჯერ კი გადატვირთვის გამო ნაკლებად მომზადე-

ქუთაისის აეროდრომი — უკრაინული შევუღმფრენების სამუშაო დღე



ბულ მოედანზე ესხდებოდა. ეტყობა, ღმერთი და ილია ჩვენს მხარეს იყო”.

ზოდოლკენიკი სარმაი პარნაჰოვი:

„დავეშეთი მოედანზე, სადაც ბევრი ადამიანი გველოდა. ძრავა არ გამოერთე და ბორცზე ადამიანების მიღება დაიწყო. ქალების ქეითინისა და გაყინულ ბავშვების ტრილის ხმაზე კაბინაში ჭკაით გამოთვრალი ქართველი „კამიკაძე“ შემოვარდა მუშტში ჩაბლუჯული ხელყუმბართი და დაიყვრა, სანამ ხელში მიჭირავს, გაფრინდითო.

ჩვენ რომ მისი განვიტრალბა მოგვენდომებინა, მაშინ ის კაცი ხელყუმბარას ხელს გაუშვებდა და, ალბათ, ამქვეყნად არც ვიქნებოდათ.

რაცითი სამეთაურო-სადისპეტჩერო პუნქტს დავუკავშირდი და ინციდენტის შესახებ მოვასხენე.

ქუთაისში დაშვება გვირჩიეს, სადაც იმ კაცს აეროპორტის შეიარაღებული დაცვა ელოდა”.

ერთ-ერთი უკრაინელი მფრინავის შთაბეჭდილებებიდან:



უკრაინის შვეულმფრენთა რაზმის უფროსი გენერალ-მაიორი ჯეგენი ვლასენკო

„მხოლოდ სიტყვებით იმის გადმოცემა რაც იქ ხდებოდა, ძალიან ძნელია... ზოგიერთისთვის თუ ეს ტკივილი იყო, სხვებისთვის დაუნდობლობის განსაზიერებას ნარმოადგენდა. იყო თვითგანწირვა და უნამუსობა, სიცოცხლე დაშვლილი. ბევრი დევნილი ყველაფერს ტოვებდა, ოღონდ თავი გადაეჩინა, როცა სხვებს ნივთების და მათ შორის ავეჯის გადარჩენა სურდათ.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მფრინავებს გვარლებზე ჩაბმული ავტომობილის გადატანაში ფულს სთავაზობდნენ.

ვიღაცა შვეულმფრენში მშვიდად ჯდებოდა, სხვები კი ამ დროს მუჯლუგუნებით ცდილობდნენ სალონში შეღწევას.

იყო შემთხვევა, როცა შეიარაღებულმა ბანდიტმა ქალს სახეში კონდახი ჩაარტყა, რათა შვეულმფრენში მის ადგილს დაჰპატრონებოდა.

იყო იარაღით მუქარაც, მაგრამ მფრინავებს შეიარაღებული ბანდიტები არ მიჰყავდათ და არც ის ტვირთი გადატანდათ, რომლის გადატანასაც ისინი თხოვდნენ”.

ოპერაციის დასრულების შემდეგ გაეროს ნარმოადგენელმა, რომელსაც ჰუმანიტარული მისიების ორგანიზების დიდი გამოცდილება ჰქონდა, აღიარა, რომ მსგავს პირობებში ანალოგიური სახის დაჯილდოების შესასრულებლად შვეულმფრენთა რაზმის გამოყენებას გაერო თვეზე ნაკლებ დროში ვერანაირად ვერ შეძლებდა. უკრაინელ მფრინავებს კი ამისათვის მხოლოდ 1-2 დღე დაეჭირდა.

შვეულმფრენის მოსახლეობის გადასარჩენად უკრაინელმა მფრინავებმა 1993 წლის 10-14 ოქტომბერს 291 გაფრენა შეასრულეს, მათ შორის — 152 ქუთაისიდან. გამოიყენეს 7634 კაცი და გადაიტანეს 487 ტვირთი — კვების პროდუქტები, მედიკამენტები, სანავა-საპოხი მასალები, თბილი ტანსაცმელი.

არადა, უკრაინელთა ჰუმანიტარული ოპერაცია ერთ დიდ ტრავმადს შემთხვევით გადააქრია.

გენერალ-მაიორი იური პატრონი:

„ერთხელ მორიგი სამუშაო დღის ბოლოს ჩემთან მოვიდა სამთავრობო ჯარების ნარმოადგენელი, რომელიც სახენიტო „შილკებს“ ბატარეაში მასხვობდა. მისი მონაყოლის შემდეგ მივხვდი, თუ რას ნიშნავს ომი ქართულად და მთელი სიღრმით შევიგრძენი საქართველოს პოლიტიკურ ხელისუფლებასა და სამთავრობო ჯარებს შორის არსებული დამოკიდებულება.

ამ ამბავის შემდეგ მე იმდენად შოკირებული ვიყავი, რომ იმპროვიზირებულად კავშირებით სიტყვების შერჩევაც კი მიჭირდა.

ძირითადად ჯგუფმა საქართველოსკენ, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ხანგრძლივი ფრენის შემდეგ ფოთის ტრავერზე მარცხნივ, ქუთაისისკენ მოუხვია. კოლხეთის დაბლობზე გადაფრენისას ეჭვიც კი არ გვექონდა, რომ თურმე ქართულ „შილკებს“ მიზანში ვყავდით ამოღებული. ისინი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ და მზად იყვნენ მთელი საბრძოლო მარაგი ჩვენკენ მოემართათ.

შეიღება ითქვას, ჩვენ შორის თუნდაც ერთი მანქანის გადარჩენის შანსი ნარმოადგენლად მცირე იყო. ალბათ, ასეც იქნებოდა, რომ არა ერთი დეტალი.


გამოფრენის წინ მე-5 საჰაერო არმიის სარდლის გენერალ-ლეიტენანტ ვიქტორ სტრელნიკოვის გადაწყვეტილებით ყველა შვეულმფრენზე დატანებული იყო თეთრი წრე ნითელი ჯვრით, რაც აპარატის სამკვიდრობ ხასიათს მიაჩნებოდა”.

ოპერაციაში გამოჩენილი მამაცობისთვის უკრაინელ მფრინავთა ერთმა ჯგუფმა საქართველოს სახელმწიფო ჯილდო მიიღო, მეორემ კი სიგელის დამისახურა, მაგრამ თითოეული მათგანისთვის, ალბათ, ყველაზე დიდი ჯილდო გადარჩენილი სიცოცხლე იყო.

14-15 ოქტომბერს ბოლო ფრენები შესრულდა და 16 ოქტომბერს შვეულმფრენები მუდმივი ბაზირების აეროდრომებს დაუბრუნდნენ.

თუმცა, უკრაინის ავიაციის დახმარება მაშინ მართა ამ ოპერაციით არ დამთავრებულა. საქართველოს მთავრობის თხოვნით 22 ოქტომბერს მელიტოპოლის აეროდრომიდან 175-ე სამხედრო-სატრანსპორტო საავიაციო პოლკის სამი სატვირთო Il-76MD გერმანიაში კიოლის აეროპორტში დაეშვა.

თვითმფრინავებმა გერმანიიდან თბილისში 60 ტ ჰუმანიტარული ტვირთი ჩამოიტანეს.



შავ ზღვაში

დაპირისპირება იზრდება

სილაგაზით განთქმული შავი ზღვისპირეთის კავკასიის სანაპიროს მკვიდრობანი ცხოვრება პირველად 1992-93 წლებში აფხაზეთის ომამ დაარღვია და მას 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსული სამხედრო აგრესიამ მოჰყვა. 2014 წლის მარტ-აპრილში კი უკრაინული ყირიმში და მისი პოპულარული კურორტები რუსეთის არმიის ოკუპაციის ქვეშ აღმოჩნდა. ტურისტებსა და დასვენებულებს განსაკუთრებით ზაფხულში პოპულარული შავი ზღვა ახალ-ახალი პოპულარობითა და საფრთხეებით ნელ-ნელა არასტაბილური რეგიონი ხდება.

ყირიმის ოკუპაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგია, რომ რეგიონის მნიშვნელოვანი საზღვაო ქვეყნის, უკრაინის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ბაზირების ხელსაყრელი პუნქტებისა და საბრძოლო ხომალდების დიდი ნაწილის გარეშე დარჩა.

დაკავებული უკრაინული ხომალდებისა და გემების ნაწილს მოსკოვი ახლა კიევის უკან უბრუნებს, მოუხდევად იმისა, რომ მათი დატყვევებისთვის რა არ გაკეთდა — დანებებული დონუზლავის ტბაში რამდენიმე გემის

ჩაძირვითა და ზოგიერთი უკრაინული ეკიპაჟის დასამორჩილებელი სპეცოპერაციებით დამთავრებული.

უკვე დაბრუნებულია სარაკეტო კატარა „პრილუკი“, ტანკერი „ფასტოვი“, განმავნიტებელი „ბალტა“, მართვის გემი „დონბასი“, კილექტორი „შოსტკა“, ნყალმზიდი ტანკერი „სუდაკი“, საშუალო სადესანტო ხომალდი „კიროვგრადი“, კორვეტი „ვინიკა“, ბუქსირი „კოველი“, ტანკერი „გორლოვკა“, საბუქსირეო კატარა „ნოვოიზერნოე“, სახანძრო კატარა „ევპატორია“ და მცურავი ბაზა „ზოლოტონომა“. დაბრუნებული მცურავი საშუალებებიდან ნაწილის ტექნიკური მდგომარეობა ცუდია, ან დაზიანებულ-გაძარცულია და ფართად თუ გამოდგება.

რუსულ ოკუპაციას შემთხვევით გადაურჩა და ოდესშია ფლოტის საფლაგმანო ხომალდი, ფრეგატი „შეტმანი საგაიდანჩი“.

ყირიმში 60-მდე უკრაინული ხომალდი, გემი თუ კატარა ისევ რჩება და მათი დაბრუნება ოფიციალური მოსკოვის „კეთილ ნებაზე“ დამოკიდებული.

ამჟამად უკრაინული ფლოტის დიდი ნაწილი თავმოყრილია ოდესის სავაჭრო პორტში, რომელიც სამხედრო დანიშნულებით გამოყენებას ნაკლებად პასუხობს, მაგრამ კიევის ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არა აქვს.

გარდა ამისა, ხომალდებისა და გემების სათადარი-

საშუალო სადესანტო ხომალდი „კიროვგრადი“ ოდესის პორტში ბუქსირდება შეიყვანეს





ყირიმში რუსულმა აგრესიამ BLACKSEAFOR-ის კეთილშობილური მიზნები საბოლოოდ დაამსხვრია

გო ნაწილების, საბრძოლო მასალებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მარაგი, სანაპირო ინფრასტრუქტურის ელემენტებთან ერთად სევასტოპოლში დარჩა. ამის გარეშე კი ფლოტის ფუნქციონირება და ბრძოლის უნარიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

რუსული ავანტიურის კიდევ ერთი შედეგი — შავი ზღვისპირა ქვეყნების ოპერატიული ურთიერთქმედების სამხედრო-საზღვაო ჯგუფის (BLACKSEAFOR) შემადგენლობაში თანამშრომლობის შეჩერებაა.

უკრაინაში კრიზისის გამო მიმდინარე წლის საგაზაფხულო აქტივაცია (28 მარტი — 15 აპრილი) უკვე ჩაიშალა.

თურქეთის ინიციატივით დანეჭებული ამ სამხედრო-საზღვაო პროექტის მიზანი შავი ზღვისპირის ქვეყნებს შორის მეგობრობის, კეთილურთიერთობათა და ნდობის გაღრმავება იყო.

ეს პრინციპები ჯერ 2008 წლის აგვისტოში დაირღვა, როცა რუსეთი საქართველოს თავს დაესხა და BLACKSEAFOR-ის დროშის ქვეშ გაერთიანებულმა ხუთი ქვეყნის სამხედრო ზომალდმა ოკუპირებულ სოხუმსა და ფოთს ისე „ჩაუქრილა“, თითქოს სუვერენული

ქვეყნის სანაპირო წყლებში არც არაფერი ხდებოდა. მას შემდეგ ურთიერთქმედების სამხედრო-საზღვაო ჯგუფში საქართველოს მონაწილეობამ ეპიზოდური ხასიათი მიიღო.

ყირიმში რუსულმა აგრესიამ კი BLACKSEAFOR-ის კეთილშობილური მიზნები საბოლოოდ დაამსხვრია და შავი ზღვისპირა ქვეყნები თანამშრომლობიდან, როგორც ჩანს, კონფრონტაციაზე გადაიყვანა.

თურქეთის შავი ზღვისპირა სანაპიროს გასწვრივ ფრენებს მოუხშირეს რუსულმა მზვერავმა თვითმფრინავებმა და ყოველი შემთხვევისთვის დაუპატიჟებელ სტუმრებს თურქული გამანადგურებლები მიაცილებენ. 12 აპრილს კი რუსული ბომბდამშენი Cy-24 დაბალი სიმაღლიდან ამერიკულ საესკადრო ნაღმოსან Donald Cook-ს რამდენჯერმე მიუახლოვდა, რითაც ხომალდს საფრთხე შეუქმნა.

უდავოა, რომ შავ ზღვაში ძალთა ბალანსით ლიდერობას კვლავინდებურად რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ინარჩუნებს. NATO-ს წევრი რუმინეთი და ბულგარეთი შეზღუდულ სამხედრო-საზღვაო პოტენციალს ფლობენ, ხოლო თურქეთის საზღვაო ძალების დიდი

2008 წლის აგრესიის შემდეგ BLACKSEAFOR-ის სწავლებებში მინევეების მიუხედავად საქართველო მაინც ეპიზოდურად მონაწილეობდა





შავ ზღვაში ამერიკული ხომალდების ცურვას თან
რუსული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელე-
ბული ნაირ-ნაირი ყორი და დეზინფორმაცია ახლავს.

2008 წლის 22 აგვისტოს ბოსფორის სრუტეში ამე-
რიკული რაკეტული საესკადრო ნაღმოსან *DDG 74
McFaul*-ის გავლისას რუსულმა მედიამ გაავრცელა
ცნობა, რომ თურქეთის კომპარტიის ორგანიზებით
სტამბოლულეობმა გამოიწიეს პლაკატები წარწერებით:
„იანი გოუ შამ“ და „ჩვენ არ მივცემთ ამ ქვეყანას ამე-
რიკელებს“ [ალბათ, აზნა ზეთი იგულისხმებოდა].

2008 წლის 4 სექტემბერს სევასტოპოლში შემო-
სულ ამერიკულ ოკეანოგრაფიულ გემს *Pathfinder*-ს
ჯერ რუსეთის ფლოტის ბაზირების ადგილებთან და-
სანაღმად ხელსაყრელი რაიონების, შემდეგ ყირიმის

სანაპიროზე საზღვაო დესანტის გადმოსასხმელი
ადგილების მოძიება დააბრალეს.

ბოლოს ამერიკელი მეზღვაურები ცხინვალის
ბრძოლებში დაღუპულ უკრაინულ მოხალისეთა გვა-
მების ჩატანაში „აზიოლეს“. გამოჩნდნენ თვითმხილ-
ველები, რომლებმაც ღამით ამერიკული გემიდან
სატვირთო ავტომობილებზე გვამების დატვირთვა
შეამჩნიეს.

ბოლო ყორი მიმდინარე წლის 12 აპრილის *DDG-
75 Donald Cook*-თან დაკავშირებულ ინციდენტს შე-
ეხება. თურმე რუსული *Cy-24*-ის ფრენისგან ამერი-
კული ხომალდის მეზღვაურებმა იძენდა ძლიერი
ფსიქოლოგიური სტრესი მიიღეს, რომ 27-მა მათგან-
მა გადადგომაზე მაშინვე პატაჯი დაწერა.

ნაწილი ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვისპირა საზღვაო
ბაზებშია თავმოყრილი.

შექმნილი დისბალანსიდან ერთ-ერთი გამოსავალი
NATO-ს წევრი არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედ-
რო ხომალდების რეგულარული ვიზიტები და სწავლე-
ბებია, რათა მოსკოვს სალაპარაკო არ მიეცეს მონტ-
როს ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინე-
ბით.

2008 წლის რუსული აგრესიის დროს შავ ზღვაში
ამერიკული და NATO-ს წევრი ქვეყნების ხომალდე-
ბის აქტიურობა გამოჩნდა. მასში შავი ზღვის ფლოტის
ფლაგმანმა რაკეტულმა კრესისერმა „მოსკვამ“ სევას-
ტოპოლი სამდენჯერმე დატოვა და რუსეთის ინტერე-
სების სადემონსტრაციოდ სოხუმის რეიდზე დადგა.

უკრაინის მოვლენათა გამო 28 მარტს შავ ზღვაში
ფრანგული მასველი გემი *Alize* გამოჩნდა, რომელსაც
10 აპრილიდან ასევე ფრანგული მზვერავი გემი *Dupuy
de Lome* და 14 აპრილიდან ფრეგატა *Dupleix*-ი შეუერთ-
და.

10 აპრილს დილით შავ ზღვაში ამერიკული რაკე-
ტული საესკადრო ნაღმოსანი *DDG-75 Donald Cook*-ი
შემოვიდა.

ფრანგმა, ამერიკელმა, ბულგარელმა და რუმინელ-
მა მეზღვაურებმა რამდენიმე ერთობლივი სწავლება
ჩაატარეს, გარდა ამისა, ხომალდები თავიანთი რადი-
ოელექტრონული საშუალებებით შავი ზღვის ფლოტის
ხომალდებზე დაკვირვებითა და ინფორმაციის მოპო-
ვებით არიან დაკავებულნი.

შავ ზღვაში NATO-ს წევრი ქვეყნებისა და განსა-
კუთრებით ამერიკული ხომალდების ყოფნა მოსკოვს
გულზე არ ეხატება და საფრთხედ აღიქვამს, რადგან
დასავლური ხომალდების თანამედროვე რადიოელექ-
ტრონული საშუალებები, საზენიტო თუ რაკეტსანიღა-
ლმდეგო სისტემები რუსულ-საბჭოთა ანალოგებზე
მთელი თვით მალა დგას.

ცნობილი გახდა, რომ 23 აპრილს შავ ზღვაში რაკე-
ტული ფრეგატა *FFG-50 Taylor*-ი შემოვიდა. ეს ის ხო-
მალდია, რომელიც სოჭის ოლიმპიადის დროს ბიჭვინ-
თა-სოჭის რაიონში დაცურავდა და სამსუნის პორტში
ავარია შეემთხვა, რაც მონტროს შეთანხმების დარღ-
ვევის მიზეზი გახდა.

ამერიკული რაკეტული
საესკადრო ნაღმოსანი
DDG-75 Donald Cook-ი
კონსტანტიდან (რუმინეთი)
ზღვაში მიემართება



F19068

რა შეიცვლება



ეკონომიკის სამინისტროსთვის სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტას“ გადაცემა თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას ინიციატივაა. მინისტრის განმარტებით, ამ საკითხზე მოლაპარაკება ის ორი თვის განმავლობაში პრემიერსა და ეკონომიკის მინისტრთან ანარმოვდება. „დელტას“ კომერციული დატვირთვა აქვს და თავდაცვის სამინისტროში ამდგავარი ქვედანაყოფი არ უნდა არსებობდეს.

„დელტა“ ასრულებს არა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს შეკვეთებს, მას სხვა დანიშნულებაც აქვს, ანუ ენევა კომერციულ საქმიანობას და ჩემი განმარტებით თავდაცვის სამინისტროში ამგვარი ქვედანაყოფი არ უნდა არსებობდეს. ჩემი მთავარი ამოცანაა, შეიარაღებული ძალები იყოს მზად, ნებისმიერ გამოწვევას გასცეს პასუხი. ასე რომ, ჩვენ უნდა ვმართოთ ჯარი და არა კომერციული და ბიზნესპროექტები. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ლოგიკური იქნება, ეკონომიკის სამინისტროში ქონების მართვის დეპარტამენტს მართოს ეს ქონება“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

რაც შეეხება, ურთიერთობას „დელტას“ და თავდაცვის სამინისტროს შორის, მინისტრის თქმით, არაფერი შეიცვლება. როგორც მოსალოდნელი იყო, „დელტას“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის გადაცემა საზოგადოებაში მაინც მოჰყვა კითხვის ნიშნები... თუ როგორ განავრცობს მუშაობას „დელტა“, ამის შესახებ მის დაქვემდებარებაში არსებულ კომპანია „თბილავაიმპროს“ დირექტორ შოთა კვიციანიას ვესაუბრეთ.

— ეკონომიკის სამინისტროსთვის სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკური ცენტრ „დელტას“ გადაცემა საზოგადოებაში კითხვები წარმოშვა, — როგორ აისახება ეს სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე და რა შედეგს მოუტანს ეს ქვეყანას?

— ველოდი, რომ საზოგადოებაში ეს კითხვა გაჩნდებოდა. გარდა ამისა, მოსახლეობას აინტერესებს ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილება, თუ რით არის ეს გამოწვეული და რა ფეხებს მოიტანს. „დელტას“ ეკონომიკის სამინისტროში გადასვლა საბოლოოდ იმან განაპირობა, რომ ორგანიზაციას ხელ-ფეხი ესხნება და მეტი პროექტის განხორციელებას შეძლებს. თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში ყოფნა ჩარჩოებში გვაქცევდა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის სრული პოტენციალის გამოყენების საშუალება არ გვქონდა.

— ეკონომიკის სამინისტროში გადასვლის შემდეგ რით გამოიხატება „დელტას“ სრული პოტენციალის გამოყენება?

— ვეცდები, ყველაფერი პროცედურულად ავხსნა. მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს ძირითადი ამოცანაა საომარი მოქმედებების დროს რეაგირება მოახდინოს შესაბამის საფრთხეებზე. ამიტომაც ეს უწყება კონკრეტულად ამ მიმართულებაზე პასუხისმგებელი როლსაც „დელტა“ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო, ის პრიორიტეტულად სამხედრო პროდუქციის წარმოებას მიიჩნევდა და არა ისეთ რამეს, როგორცაა, მაგალითად, სექტორის საინჟინერო-სისტემის პროექტი. ვინაიდან ამ და სხვა მიზეზების გამო ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში ვართ, მას საშუალება ექნება სამოქალაქო პროექტებზე განახორციელოს, რასაც თავდაცვის მინისტრი ან თუნდაც მთავრობის მეთაური აქამდე პირდაპირ ვერ გადავავლებდა... თუმცა, სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკური ცენტრისთვის პრიორიტეტად ისევ სამხედრო პროექტები დარჩება.

— სექტორის საინჟინერო პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია, არა?

— დიახ, ყველაფერი თავიდან დაიწყო, რადგან ძველს სრულიად სხვა კონცეფცია ედო საფუძვლად, ჩვენ კი ყველაფერს ახლებურად ვაკეთებთ. მას ექნება განსხვავებული, ცენტრალიზებული მართვა, თანამედროვე აპარატურის გამოყენებით. სისტემის მეტი ნაწილი საქართველოში დამზადდება... ჩვენ ვცდილობთ ამ პროექტს კომერციულად მივუდგეთ, ნაკლები დანახარჯით, რომ სახელმწიფომ ამ სისტემის შექმნა შეძლოს, ანუ რაღაცებს აქ დავამზადებთ, რაღაცებს შევიძინებ... პროექტი დამუშავების ეტაპზეა და დეტალზე ვერ ვისაუბრებ, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ის ტექნიკური დეტალები, რომლებიც სისტემაშია გამოყენებული, სხვადასხვა ქვეყანაში უკვე აპრობირებულია და გარემოს დაზიანების რისკი თითქმის არ არსებობს. ჩვენს პროექტში თავიდანვე ჩართულნი იყვნენ მეტეოროლოგები და გარემოს დამცველები, რათა სისტემის შექმნისას ყველა საფრთხე გავეთვალისწინებინა და გარემოსთვის საფრთხის



„დელტასთვის“

მომტანი არ ყოფილიყო. რადგან კახეთში განსხვავებული მეტეორობებია, ადგილობრივმა სპეციალისტებმა იქაური კლიმატიც უკეთესად იცინა და პრობლემასთან ბრძოლის გზებიც, როდესაც პროექტის პრეზენტაცია იქნება, მის შესახებ საზოგადოებას სრულად მივანვდით ინფორმაციას.

— **კიდევ რა პროექტებზე იქნება „დელტა“ ორიენტირებული?**

— ეკონომიკის სამინისტროში გადასვლის შემდეგ, „დელტას“ კომერციული პროექტებისკენაც გაეხსნა გზა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. საშუალება გვეძლევა, მხოლოდ ქართულ არმიას ვი არა, სხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსაც მოვემსახუროთ. ანუ ვაპირებთ, საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას და რამდენიმე პარტნიორ ქვეყანასთან თანამშრომლობას, რაც სამხედრო და ორმაგი დანიშნულების მქონე პროდუქციის მინოდებას გულისხმობს. უკვე ვმონაწილეობთ საერთაშორისო ტენდერებში, ასევე ვახორციელებთ მონიტორინგს. რამდენიმე მათგანში უკვე თანამონაწილეობიც ვართ.

— **ამ ეტაპზე რაც სამხედრო პროდუქცია იწარმოება, იმავეს აწარმოებთ თუ სიახლეებსაც გეგმავთ?**

— ვეცდებით, მთლიანად ქვეყანას მოვემსახუროთ. პირველ რიგში ძალოვან სტრუქტურებს — თავდაცვისა და შს სამინისტროებს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და ასევე სხვა სტრუქტურებს... ასევე,

ორიენტირებული ვიქნებით საერთაშორისო ტენდერებზე. ანუ ბაზარი რასაც გვკარნახობს, იმას უნდა მოვერგოთ, რაც ნიშნავს, ვანარმოით ისეთი ტექნიკა, როგორც საერთაშორისო ბაზარს სჭირდება. ასევე ვეცდებით, ჩვენი პროდუქცია განვავითაროთ და ახალი პრიორიტეტი იქნება საქართველოს რეალობაზე გათვლილი პროექტები, თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი კონკრეტული სპეციფიკაციის დაფლება, მაგრამ იმედვროულად, საერთაშორისო ბაზარზეც ვიქნებით ორიენტირებული.

— **მას შემდეგ, რაც ეკონომიკის სამინისტროში გადახვედით, რამე სიახლე ხომ არ არის?..**

— ჩვენ ჩამოვყალიბებთ საგარეო ეკონომიკური დეპარტამენტი, რომელიც „დელტას“ საერთაშორისო ურთიერთობასა და კავშირებს კურირებს. ამ კავშირების მეშვეობით სხვადასხვა ქვეყანასთან ვანარმოებთ მოლაპარაკებას.

— **რომელ ქვეყნებს გულისხმობთ?**

— ეს ქვეყნები როგორც საქართველოს, ისე NATO-სა და ევროკავშირის პარტნიორი ქვეყნები არიან... შემდეგ, როდესაც ეს სისტემა უფრო შედეგიანი გახდება, რა თქმა უნდა, არეულს გავაფართოებთ.

— **ბატონო შოთა, კომერციული შეკვეთების შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტრო თამამგარე მდგომარეობაში იჩნება?**



თალიზი
თმის გადანერგვის სანარი

talizi

15 წელი
თქვენთან ერთად

www.talizi.ge

— რასან ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში ვართ, ეს უკვე მის პრიორიტეტად თვლება, მაგრამ სახელმწიფო ერთიანი სტრუქტურა და შეთანხმებულად მუშაობს. თუ თავდაცვის სამინისტრო მიიჩნევს, რომ ესა თუ ის საკითხი მნიშვნელოვანია, ასე იქნება ჩვენთვისაც. იმ დროის განმავლობაში, რაც თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ვიყავით, მუდმივად იყო იმაზე საუბარი, რომ „დელტა“ მოდერნიზებული და თანამედროვე ორგანიზაცია გამხდარიყო. ვგულახსნობ შიდა მართვის სტანდარტებს, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომელიც „გელტაში“ თანდათან შეიშალა. გვინდა უფრო მეტად შედეგებზე ვიყოთ ორიენტირებული. უკვე შექმნილია პროექტების მართვის სისტემა, განახლდა ინფრასტრუქტურა, ასევე იზრდება სანარმოო შესაძლებლობები.

— ანუ გავრცელებული ინფორმაცია, რომ „დელტას“ ეკონომიკის სამინისტროსთვის გადაცემა შეიარაღებული ძალების დასუსტებას ემსახურებოდა, უსაფუძვლოა?

— ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის მოდელი ისეა აწყობილი, რომ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში სამხედრო წარმოების ორგანიზაციები არ არის. მაგალითად, აზერბაიჯანს თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო აქვს. ამერიკაში არმიის მომარაგებაზე, მათ შორის სამხედრო ტექნიკით უზრუნველყოფაზე, კერძო კომპანიები მუშაობენ. ანუ ის, რაც ჩვენში სიხლევა, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში უკვე კარგად ამოიბრუნებული მოდელია.

— ვიცით, რომ „დელტას“ მიერ წარმოებულმა



„დელტაში“ დამზადებული ჯავშანყილეტი და ჩაფხუტი

ჯავშანყილეტებმა გამოცდა წარმატებით გაიარა. ამ ეტაპზე მხოლოდ არმიას იქნება ისინი გამოყენებული, თუ მთლიანად მოიცავს ძალოვან სტრუქტურებს?

— დიახ, ჯავშანყილეტები უკვე დასრულებული სახის პროდუქტია, მაგრამ რა რაოდენობით მზადდება, საიღუმეო ინფორმაციაა. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ თავდაცვის სამინისტროს გადასაცემია, როგორ შემოსავს ჯარს, ანუ რამდენ ახალ ჯავშანყილეტს შეიძებს და როდის, რაც ასევე საიდუმლო ინფორმაციაა... არსებობს, საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც გამოცდილია. ქართული ჯავშანყილეტის დამზადებისას, ჩვენ გავითვალისწინეთ ეს სტანდარტები, რომელიც გვეუბნება, თუ რა სპეციფიკის უნდა იყოს ჟილეტი. თუ საერთაშორისო, ამ შემთხვევაში NATO-ს სტანდარტებზე ვსაუბრობთ, ის NATO-ს ჯარს უნდა აკმაყოფილებდეს, რადგან ის უკვე გამოცდილია და იმაზე მეტი უფრად არ არის საჭირო, ან არაეფექტური იქნება.

— ჩაფხუტებზეც იმავეს თქმა შეევიძლია?

— დიახ, მუშაობა გრძელდება...

— ეკონომიკის სამინისტროში გადასვლის შემდეგ, რა ცვლილებები მოსალოდნელი „დელტას“ თანამშრომლებისთვის? ხომ არ იგეგმება რეორგანიზაცია?

— განსაკუთრებული ცვლილებები არ იგეგმება. ახალი პროექტებიდან გამოიძინარე, შესაძლოა, კადრების უმნიშვნელო გადაადგილება მოხდება. ასევე ხდება თანამშრომლების გადამზადება როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო დონეზე. უცხოეთში ძალიან ბევრ სანარმოსა და ორგანოსთან ვთანამშრომლობთ. ურთიერთობა გვაქვს ამერიკელ, უკრაინელ, ჩეხ პარტნიორებთან. ასე რომ, იმის თქმა, რომ ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ „დელტას“ მუშაობას საფრთხე ექმნება, უსაფუძვლოა, პირიქით, ის ვითარდება როგორც შიდა, ისე საგარეო ურთიერთობის კუთხით. გვაქვს ახალი პროექტები და რაც ხარისხიანი მუშაობისთვის მთავარია, გადავიღებთ თანამედროვე ტექნოლოგიას და ეს პროცესი გრძელდება.

— ქართულ არმიასი არსებულ შეიარაღებაზე რამდენად ინფორმირებული ხართ? გენერალური შტაბის უფროსმა ბატონმა ვახტანგ კაპანაძემ „არსენალთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ საბჭოთა შეიარაღებისა და ინფრასტრუქტურის შეცვლა ეტაპობრივად მოხდება...

— ჩვენამდე ჯერჯერობით არ მოსულა მოთხოვნა ახალი ტიპის ტექნიკის შექმნაზე, თუმცა, ველოდებით, ვინაიდან, როდესაც სამხედროები ამ ტიპის გადაწყვეტილებას იღებენ, პირველად ჩვენთან მოდიან ხოლმე და კონსულტაციებს გაივლიან.

— იორდანიაში სამხედრო პროდუქციის გამოფენა იგეგმება. საქართველო ხომ აპირებს მონაწილეობას?

— დიახ, სურვილი გვაქვს, მაგრამ ტექნიკური (მათ შორის, ტრანსპორტირების) საკითხებია მოსაგვარებელი და თუ დროში ჩავეტყით, ნავალთ. ნაოციყვანი „დიდგორსა“ და ტექნიკის რამდენიმე ერთეულს, მათ შორის, ჩაფხუტსა და ჯავშანყილეტს.





FIDAE

2014



29 მარტს ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში გაერთიანებული სახელმწიფოების ავიაციის დღის აღნიშვნის ფარგლებში ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში გაერთიანებული სახელმწიფოების ავიაციის დღის აღნიშვნის ფარგლებში FIDAE-2014 გაიხსნა. გამოფენის ისტორია 1980 წლიდან იწყება და ის პირველი ავიაციის დღეა, რომელიც ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების პოპულარიზაციასა და პრესტიჟის ამაღლებას ისახავდა მიზნად.

თანდათან ავიაციის განვითარება, საავიაციო გამოფენად იქცა და ორ წელნადაწლი ერთხელ ტარდება. დღისთვის FIDAE ლათინურ ამერიკაში ყველაზე პრესტიჟულ და, იმავდროულად, ყველაზე დიდ საავიაციო გამოფენად ითვლება. 2006 წლიდან მის სანტიაგოს საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე ტარდება.

კომერციული და სამხედრო ავიაციის გარდა, გამოფენაზე კომპანიები წარმოადგენენ ავიატექნიკის მომსახურების სისტემებსა და ალტერნატივებს, ავიაკოსმოსურ ტექნოლოგიებს, ძრავებსა და სხვ. ბოლო წლებში გამოფენაზე გამოჩნდა თავდაცვითი ტექნოლოგიების, სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების ნიმუშები.

წლევანდელ გამოფენაში 35 სახელმწიფოს 362 კომპანია მონაწილეობდა და ყველაზე მსხვილი ექსპოზიცია აშშ-ს (77 კომპანია) ჰქონდა. შემდეგ მოდიოდნენ: ბრაზილია (37 კომპანია), ჩილე (34 კომპანია), საფრანგეთი (24 კომპანია), არგენტინა, გერმანია და ა.შ.

მნახველებს 13 ქვეყნის 109 სამხედრო და სამოქალაქო საფრენი აპარატის დათვალიერების საშუალება ჰქონდათ.

ჩილეს სამხედრო-საჰაერო ძალები ტრადიციულად ამერიკული წარმოების თვითმფრინავებისა და შევლმფრინავებისგან შედგება, თუმცა, სხვა ქვეყნებიც ცდილობენ საკუთარი საავიაციო პროდუქციის შეთავაზებას. მათ შორისაა რუსეთიც, რომელიც რეგიონში საკუთარ შევლმფრინავებს დიდ რეკლამას უწევს. გამოაკლისი არც წლევანდელი FIDAE-2014 იყო. კორპორაციამ „რუსეთის შევლმფრინავები“ ავიასალონზე Ka-32A11BC, Mi-171A2 და Mi-35M წარმოადგინა. ეს ორი უკანასკნელი ლათინურ ამერიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. გამოფენამ მუშაობა 3 აპრილს დაასრულა.

აღმსახურებელი ავიაცია

1 - ხანდაზმულობის მიუხედავად (თვითმფრინავი ჰაერში პირველად 1972 წელს აფრინდა), ჩილე F-5E Tiger III-ის ტიპის გამანადგურებლების ექსპლუატაციას აგრძელებს. ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებში 13 ახელი თვითმფრინავია. რამდენიმე წლის წინ ისრაელის Elbit-მა თვითმფრინავებს მოდერნიზაცია ჩაუტარა და ყველა აპარატი ჰაერში სანავიგაციო ნავიგაციის სისტემის მიმღები მილით აღჭურვა.

2 — ისრაელის Rafael-ის მორიგი პროდუქტი, რომელიც უმართავი ბომბების მართვად ვარიანტად გადაკეთებას გულისხმობს. ჯერჯერობით, Spice-1000 ისრაელისა და საბერძნეთის ავიაციის შეიარაღებაშია. წარმოადგენს





5



ლი კომპლექტი 453 კვ-იან და 907 კვ-იან უმართავ საავიაციო ბომბებზეა მორგებული. სტანდარტული ბომბის საბრძოლო ნაწილს სტაბილიზატორებიანი ახალი კუდი, გასაშლელი ფრთები და დამიზნების კომპლექსი აქვს დამატებული. ეს უკანასკნელი GPS სისტემაზეა დაფუძნებული. მწარმოებელთა განცხადებით, Spice-1000-ის სამიზნიდან სავარაუდო წრიული გადახრა 3 მ-ს არ აღემატება. მართავდ ბომბებს F-15, F-16 და T-ს ტიპის თვითმფრინავები იყენებენ.

6



3 – გერმანული Domier-ის ხელშეწყობით დაპროექტებული მსუბუქი არგენტინული მოიერიშე IA-63 Pampa. რეკლამირების მიუხედავად, ერთძრავიანი თვითმფრინავის ერთადერთი ექსპლუატანტი არგენტინის სამხედრო-საჰაერო ძალებია. დღემდე მხოლოდ 27 ერთეულია აგებული. „პამპას“ სასარგებლო დატვირთვა ხუთ საკიდზე 1160 კვ-ია.

4 – სხვა ნამყვანი ავიასალონების მსგავსად, FIDAE-2014-ზე სამოქალაქო ლიზინგების სფეროში ბრტმანეთს ორი ვიკანტი – Boeing-ი და Airbus-ი დაუპირისპირდა.

5 – სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი CASA C-212. შედარებით პატარა ტვირთამწვობის მიუხედავად (3 ათასი კვ), თვითმფრინავი საკმაოდ კარგი გამოდგა და 40-წლიანი ექსპლუატაციის განმავლობაში გაუმჯობესების 4 ეტაპი გაიარა. ინდონეზიის საავიაციო წარმოება მას დღესაც ამზადებს.

7



6 – გამოფენაზე მეორე მსოფლიო ომის დროინდელი თვითმფრინავების ნახვაც შეიძლებოდა. საზღვაო ამფიბია PBV Catalina წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში იაპონურ სუბმარინებს ებრძოდა, ასრულებდა სადაზვერვო ამოცანებს, გადაჰქონდა ტვირთი და გადაჰყავდა დაჭრილები. თვითმფრინავის ლიცენზიური ვერსია ICT-ი სსრკ-ში მზადდებოდა. ახლაც რამდენიმე „კატალინა“ ამერიკაში სახანძრო თვითმფრინავის ფუნქციებს ასრულებს.

8



7 – არგენტინული წარმოების 127 მმ-იანი 27-მიმართველიანი ზალბური ცეცხლის რეაქტიული სისტემა CP-30. მისი მოქმედების მაქსიმალური მანძილი 30 კმ-ია და პაკეტის ხელახალი გადატენისთვის ამწეითაა აღჭურვილი.

8 – იტალიურ-ბრიტანული მრავალმიზნობრივი შვეულმფრენი Augusta Westland AW-139.

FIDAE-2014-ში მსოფლიოს 35 სახელმწიფო 362 კომპანია მონაწილეობდა. 13 ქვეყანას 109 სამხედრო და სამოქალაქო საფრენი აპარატი ჰყავდა წარმოდგენილი.

ფაქტები, გოვლანები, შემთხვევები...



აზერბაიჯანელი სპეციალისტები აგრძელებენ საპატრულო მანქანა Gurza-ზე სხვადასხვა სახის შეიარაღების გამოცდას

აზერბაიჯანი

- სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტის (SIPRI) თანახმად, ევროპაში შეიარაღების იმპორტში დიდი ბრიტანეთის შემდეგ აზერბაიჯანი მე-2 ადგილზეა. 2009-13 წლებში აზერბაიჯანმა იმპორტი 378%-ით გაზარდა, საიდანაც შემოტანილი იარაღის 80% რუსეთზე მოდის. შემდეგ მას ბელიორუსია, უკრაინა, ისრაელი და თურქეთი მოჰყვება.
- 22-25 მარტს სირიაში ორ ადგილობრივ დაჯგუფებას შორის მიმდინარე ბრძოლებში 25 მეტრძოლი დაიღუპა და მათ შორის 12 აზერბაიჯანელი იყო.
- 24 მარტს ფრონტისპირა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცმა ტაბელური იარაღის გასროლით თავი მოკლა.
- სომხურ მედიაზე დაყრდნობით ბაქოდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ მარტის თვეში სომხეთის არმიას ფრონტის ხაზზე 3 ჯარისკაცი და 1 ოფიცერი დაეღუპა.
- თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა კრიბტული ტელეფონების გამოყენებაზე ვადადის. შექმნილია ცნობილი კორპორაცია EADS-ის CASSIDIAN-ის სისტემის ტელეფონები. კრიბტულ ტელეფონებს ინფორმაცია ციფრებში გადაჰყავს და აუცილებელია, მეორე მხარესაც იგივე ტელეფონი ჰქონდეს.

- 7 აპრილს ფრონტისპირა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცმა იარაღთან გაუფრთხილებელ მოპყრობისას ერთი ჯარისკაცი მოკლა და ოფიცერი მძიმედ დაჭრა.
- 7 აპრილს, დაახლოებით 22-30 სთ-ზე, ფრონტის ხაზის ფიზულის მონაკვეთზე მინის სამუშაოების დროს ნიადაგში დიდ სიღრმეზე ტანკსანჩააღმდეგ ნაღმი აფეთქდა, რასაც 3 სამხედროს დაღუპვა და ექვსის დაჭრა მოჰყვა.
- გაბალის რადიოლოკაციური სადგური შეიარაღებული ძალების ბალანსიდან მოიხსნა და ქონების საკითხებში სახელმწიფო კომიტეტს გადაეცა. სადგურის დაცვას ამჟამად პოლიცია უზრუნველყოფს.
- 8 აპრილს თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკ-ლეიტენანტმა ნატიგ ბაშირ ოღლუ ბალიევმა თავი მოიკლა.
- მალაიზიაში, კულა-ლუმპურში, თავდაცვითი შეიარაღების საერთაშორისო გამოფენა DSA-2014-ზე აზერბაიჯანმა 132 დასახელების პროდუქცია წარადგინა და მათ შორის პირველად იყო ნაჩვენები უნივერსალური, შემტევი 7,62 მმ-იანი ახალი ტყვიამფრქვევი.
- 10 აპრილს ნახჭევანში ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის პრაპორშჩიკმა თავი ჩამოიხრჩო.
- 10 აპრილს ფრონტისპირა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცი იარაღთან გაუფრთხილებელი მოპყრობისას მძიმედ დაჭრა და გარდაიცვალა.
- გრძელდება აზერბაიჯანული წარმოების საპატრულო მანქანა Gurza-ზე თურქული კომპანია ASELSAN-ის საბრძოლო მოდულის SARP-ის გამოცდა. მოდული უნივერსალურია და მასზე შეიძლება 7,62 მმ-იანი და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევების, აგრეთვე, 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცის დაყენება.
- ჩამოინერა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების რამდენიმე მცურავი საშუალება და მათ რიცხვში აღმოჩნდა საშუალო სადგინანტო ხომალდი D-434 (პროექტი 770T).
- აზერბაიჯანელმა სამხედროებმა დაასრულეს 12,7 მმ-იანი სნაიპერული შაშხანა Mubariz-ის სატესტო შემოწმება. გრძელდება გაუმჯობესებელი 14,5 მმ-იანი სნაიპერული Istigal-T-ს გამოცდა, ხოლო 7,62 მმ-იანი ასევე სნაიპერული Yalguzag-ი ტესტირების დასკვნით ეტაპზეა. თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს ინფორმაციით, Istigal-ის შექმნის მოთხოვნით რამდენიმე ქვეყნის განაცხადია შესული.
- 17 აპრილს ნახჭევანში დასრულდა იქ დილოცირებული ცალკეული არმიის ფართომასშტაბიანი სწავლება 20 ათასი სამხედროსა და სამხედრო ტექნიკის 400 ერთეულის მონაწილეობით.
- აზერბაიჯანმა რუსულ კომპანია Vimpel





Shipyard-ს შეუკვეთა BMK-225-ის ტიპის საბუქსირე კატარღები. ამ კატარღების ტრანსპორტირება „ურალის“ თუ სხვა მარკის ავტომობილებით შეიძლება და მდინარეებზე პონტონიანი ხიდების მშენებლობაში გამოიყენება.

სომხეთი

● 23-27 მარტს ერევანში თავდაცვის სამინისტროს კომპლექსში ჩატარდა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი რგოლის შეკრება, რომლის მიზანია იყო სტრატეგიასა და ოპერატიულ ხელოვნებაში ოპერატიული შტაბების ოფიცერთა ცოდნა-ჩვევების ამაღლება.

● ერევნიდან გავრცელებული ინფორმაციით, აზერბაიჯანის პოლიციამ ქალაქ სუმგაითში დააკავა პირი, რომელიც სირიაში ოპოზიციის მხარეს იბრძოდა. ბინის ჩხრეკისას პოლიციელებმა იპოვეს „კალაშნიკოვის“ ავტომატი, ხელუყმაბრა და ექსტრემისტული ლიტერატურა. დაკავებულმა აღიარა, რომ ის სირიაში თურქეთის პროვინცია ხატაიდან მოხვდა და მას შემდეგ, რაც ოპოზიციონერთა სიმეცე იხილა, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

● აპრილის დასაწყისში ალაგოზის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში რუსული სამხედრო ბაზის საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებმა სწავლება ჩაატარეს 250 სამხედრო მოსამსახურისა და სამხედრო ტექნიკის 50 ერთეულის მონაწილეობით. სწავლებაში რუსებმა პირველად ივარჯიშეს 2013 წელს მიღებულ **Бук-1М-2-სა და С-300В Антей-ის** კომპლექსებზე.

● „აგრესიის შემთხვევაში გიუმრის რუსული 102-ე ბაზის საჰაერო თავდაცვის ძალები სომხეთის საჰაერო თავდაცვის ძალებთან ერთობლივად იმოქმედებენ“, — განაცხადა 9 აპრილს რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ჯარების სარდლის მოადგილემ და შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა პაველ კურჩენკომ.



სომხეთში რუსებმა პირველად მოსინჯეს საჰაერო თავდაცვის სისტემა **Бук-1М-2**

● ახლახან ბაქოში ჩატარებული თანამეგობრობის ქვეყნების შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბების უფროსთა კომიტეტის მე-40 სხდომაზე სომხეთის წარმომადგენელი არ დაესწრო. ამის მიზეზად ერევანში რუსმა გენერალ-ლეიტენანტმა ალექსანდრ სინისკიმ (გენერალური შტაბების უფროსთა კომიტეტის მდივანი) „ტექნიკური მიზეზები“ დაასახელა.

კონფლიქტის რამიშონები
ოკუპირებული აფხაზეთი

● 28 მარტს სეპარატისტთა ლიდერმა ალექსანდრე ანჭეაბამა 20 14 წლის 1-ლი აპრილიდან 30 ივნისამდე სავალდებულო სამხედრო სამსახურში განიწვევა გამოაცხადა.

● ნავგალოუს პოლიგონზე რუსული საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზის სნაიპერთა სამკვირვანი სწავლება ჩატარდა. სნაიპერებმა სასწავლო-საბრძოლო ამოცანები **СВ-98-სა და СВД-С-ის** ტიპის სნაიპერული შაშხანებით 1200 მ-ის მანძილზე დაამუშავეს.

● სეპარატისტთა უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილის პოსტები დატოვეს გენერალ-მაიორებმა ვლადიმირ ჩერდანცევმა და ანდრეი ოუმიროვმა, რომლებიც ამ თანამდებობებზე სამ წელზე მეტხანს მუშაობდნენ.

● 17 აპრილს დასრულდა სოხუმის საერთო-საჯაროსო სამეთაურო უმაღლესი სასწავლებლის 1-ლი და მე-2 კურსის კურსანტთა სასწავლო პროცესი, სადაც მომავალმა ოფიცრებმა ოჩამჩირის ტანკოდრომზე შეისწავლეს **T-55** ტიპის ტანკისა და **БМП-1** ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანის მართვა.

თვისილარებული ყარაბაღი

● 12 აპრილს თვითილარებული ყარაბაღის სამხედრო საბჭომ თავდაცვითი არმიის სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ მოვსეს აკოპიანის ხელმძღვანელობით განიხილა საჰაერო თავდაცვის სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.



სეპარატისტული სოხუმის საერთო-საჯაროსო სამეთაურო უმაღლესი სასწავლებლის კურსანტები

ფაქტები,

მოვლენები,

შემაჯავებები...



ჩეჩნეთში თვითნაკეთ ფეთქებად მოწყობილობაზე ფედერალების ქვეითთა საბრძოლო მანქანა აფეთქდა

რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი

● 3 აპრილს ჩეჩნეთში აზხოი-მარტანის რაიონის სოფელ იანდის მახლობლად თვითნაკეთ ფეთქებად მოწყობილობაზე ქვეითთა საბრძოლო მანქანა აფეთქდა. დაიღუპა 4 რუსი სამხედრო, 7 დაიჭრა.

● ნღის დასაწყისიდან ჩრ. კავკასიაში განაღდურებულია 70-ზე მეტი ბოევიკი. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა 15 აპრილს რუსეთის შსს-ს ჩრ. კავკასიის ფედერალური ოლქის მთავარმა სამმართველომ. ამის მოუხედავად, საფრთხე კვლავინდებურად არ მცირდება. იმავე პერიოდში 2013 წელს — 73, ხოლო 2012 წელს კი 87 ბოევიკი იქნა ლიკვიდირებული.

● დონის როსტოვში პირველად სამხედრო აღლუმზე 9 მაისს ნაჩვენები იქნება სანაპირო დაცვის სარაკეტო კომპლექსი **Бастيون**-ი და საარტილერიო სისტემა **Берег**-ი. სულ კი აღლუმში მონაწილეობას მიიღებს სამხრეთის სამხედრო ოლქის 8 ათასი სამხედრო და სამხედრო ტექნიკის დაახლოებით 250 ნიმუში.

● ვლადიკავკაზში 9 მაისის აღლუმზე 58-ე არმია ათასი სამხედრო მოსამსახურითა და სამხედრო ტექნიკის 50 ერთეულით იქნება წარმოდგენილი.

თურქეთი

● თავდაცვის სამინისტრომ დაასრულა ახალი ავტომატის 5,56 მმ-იანი **Mehmetcik**-ის გამოცდა და სერი-

ული წარმოების თაობაზე გადაწყვეტილებას უახლოეს დროში მიიღებს. მანამდე კი კომპანია **MKE** ავტომატების პატარა სერიას (200 ერთეული) დაამზადებს. გერმანული **HK416**-ის საფუძველზე შექმნილი ახალი იარაღი რეგულარული არმიისა და სპეცდანიშნულების ძალების შესაიარაღებლად არის გათვალისწინებული.

● 23 მარტს თურქეთი-სირიის სახელმწიფო საზღვრის მახლობლად თურქულმა **F-16**-ებმა საჰაერო სივრცის დარღვევისთვის სირიელთა სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

● 26 მარტს შავაგაში ბირთვული უსაფრთხოების კონფერენციაზე თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულიმ განაცხადა, რომ მეზობელ სირიაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის გამო ქვეყნის შუიარაღებული ძალები გაძლიერებულ საბრძოლო მდგომარეობაში იმყოფებიან.

● ქუვეითის გაზეთ **Al-Rai-Alaam** ის ინფორმაციით, სირიის არმია თურქეთ-სირიის საზღვრის მახლობლად საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები განალავა.

● თურქეთი გეგმავს სამამულო წარმოების უზილოტო საფრენი აპარატებისთვის ძრავების შექმნას, რისთვისაც აეროკოსმოსური ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ცენტრში (**TUSAS**) სამხედრო ინჟინრების სპეციალური ჯგუფი ჩამოყალიბდა.


● 7-11 აპრილს ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებმა შავ და მარმარილოს ზღვებში ძლიერ სწავლება ჩაატარა. მასში მონაწილეობდა საზღვაო ძალების 7 ფრეგატე, 1 კორვეტი, 2 წყალქვეშა ნავი, 8 წყალქვეშა ნავსანიანალმდგეო ხომალდი, 1 მტრალავი ხომალდი, 3 დამხმარე გემი, 6 შვეულმფრენი და 2 თვითმფრინავი. ამ ძალებს დამატება სანაპირო დაცვის 8 ხომალდი და საჰაერო ძალების ზოგიერთი ქვედანაყოფი.

● თურქეთმა უარყო მოსკოვის ბრალდებები, თითქოს შავ ზღვაში ამერიკული ხომალდები ხშირად 21 დღეზე მეტხანს რჩებიან. ანკარის განმარტებით, **FFG-50 Taylor**-ის დაკარგვება სამსუნის პორტში შესვლისას მიღებულმა დაზიანებებმა განაპირობა, რის გამოც დადგენილ ვადას 11 დღით გადააჭარბა.

● ევროპულ ავიამშენებელ კონცერნ **Airbus**-თან ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ შეუკეთილი ათი სამხედრო-სატრანსპორტო **A-400M**-დან პირველის მიღებას დათანხმდა. ესპანეთში აწყობილი თვითმფრინავი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარე **Kayseri Erktek**-ის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე 16 აპრილს დაეშვა.

● ჩანაკალეს პროვინციის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილში 17 აპრილს ტანკსანიანალმდგეო ჭურვთან გაუფრთხილებელ მოპყრობას აფეთქება და 18 სამხედროს დაჭრა მოჰყვა.

● 20 აპრილს თურქეთის ქალაქ ხატაის მახლობლად სირიიდან გამოსროლილი საარტილერ-





რიო ქურვი ჩამოვარდა, აფეთქდა და ორი მშვიდობიანი მოქალაქე დაჭრა.

ირანი

● „პროვინცია სარავანში ირან-პაკისტანის საზღვარს ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის მებრძოლები დაიცვეს“, — განაცხადა კორპუსის სარდალმა, ბრიგადის გენერალმა მოჰამად ალი ჯაფარმა. ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში პაკისტანური ერთ-ერთი შეიარაღებული დაჯგუფების მიერ 5 ირანელი მესაზღვრის გატაცება. მოვინებით ოთხი მათგანის გათავისუფლება მოხერხდა, ხოლო მეხუთე — გამტაცებლებმა სიკედილით დასაჯეს.

● 8 აპრილს დაიწყო და რამდენიმე დღეს გასტანა ორმუზის სრუტის აღმოსავლეთ ნაწილში ირან-პაკისტანის ერთობლივი სამხედრო-საზღვაო სწავლება წყალზე და და წყალქვეშა ხომალდების მონაწილეობით.

● შეიცვალა ირანის ფლოტის 29-ე ფლოტილიისათან დაკავშირებული გეგმა, რომელიც ატლანტის ოკეანის გადაცურვასა და ამერიკის საზღვაო საზღვრებთან გასვლას ითვალისწინებდა. საზღვაო ძალების სარდალმა, კონტრადმირალმა ჰაბიბულა საიარიმ დაუდგენელი მიზეზებით ხომალდები უკან მოაბრუნა.

● ირანის სახმელეთო ჯარების სარდალმა, ბრიგადის გენერალმა აჰმად რეზა პურდასტანმა 12 აპრილს განაცხადა, რომ უახლეს სამხედრო სწავლებაში არამიმ პირველად გამოიყენა სამამულო წარმოების უპილოტო საფრენი აპარატები.

● ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის წევრის, გენერალ ამირ ალი გაჯიზადეს თქმით, მსოფლიოს 86-მა ქვეყანამ სირიის ლიდერ ბაშარ ასადს გადადგომისკენ მოუწოდა, მაგრამ ირანისა და „შეზო-



თურქეთის სამხედრო ავიაციის პირველი სამხედრო-სატრანსპორტო A-400M შემავტა

ლას“ განსხვავებული აზრის გამო ეს ცერ შეძლეს. ირანისა და „შეზოლას“ დახმარების წყალობით კი ბაშარ ასადი სირიის ხელისუფლების სათავეში ისევ რჩება.

● ირანის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, საეჭვო გემებისა და ნავთობშიდი ტანკერების უსაფრთხოებისა და მეკობრეთა თავდასხმებისგან დასაცავად საერთაშორისო წყლებში გაგზავნილია 30-ე ფლოტილია ფრეგატ Alvand-ისა და უზრუნველყოფის გემის Bushehr-ის შემადგენლობით.

● ირანის სასაზღვრო ჯარების სარდალის, ბრიგადის გენერალ ჰოსეინ ზულფუჯარის თქმით, 12 აპრილს დაწყებულ სწავლება Iqtidar-3-ში არანაკლებ 4 ათასი ჯარისკაცი და ოციცერი მონაწილეობდა. მესაზღვრეები ამოცანების შესრულების დროს უპილოტო საფრენ აპარატებს, ჯავშანავტომობილებსა და სხვა ტექნიკას იყენებდნენ. სწავლებაზე განსაკუთრებული ყურადღება საზღვრის დაცვისას სხვადასხვა ქვედანაყოფის კოორდინირებულ მოქმედებას დაეთმო.

● 15 აპრილს სამხედრო-საზღვაო ძალების უფროსმა, კომანდორმა ჰორდად ჰაკიმმა განაცხადა, რომ უახლეს მომავალში ირანი კასპის ზღვაში ჩაუშვებს სამამულო გემთსაშენში აგებულ საესკადრო ნაღმოსან Damavand-ს.

● ქვეყნის შეიარაღებული ძალების დღესთან დაკავშირებით 18 აპრილს თეირანში დიდი სამხედრო აღლუმი ჩატარდა არმიის, ავიაციისა და ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის ქვედანაყოფების მონაწილეობით.

● 20 აპრილს ირანის სახმელეთო ჯარების სარდალმა, ბრიგადის გენერალმა აჰმად რეზა პურდასტანმა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ შექმნილი შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ახალი ნიმუშები წარმოადგინა: ექვსკულისანი ტყვიამფრეხვევი Moharram-ი, ძირითადი საბრძოლო ტანკი Sa-balani-ი, „გონიერი“ კომპოზიტური მასალის ჯავშანი, 155 მმ-იანი ქვემეხი Hoveyze-ი და მძიმე ტაქტიკური სატვირთო ავტომობილი Zoljanah-ი.



შეიარაღებული ძალების დღესთან დაკავშირებით 18 აპრილს თეირანში დიდი სამხედრო აღლუმი ჩატარდა

TIME

მე-20 საუკუნე

გაზეთი „კვირის კალიტრასთან“ ერთად, თვეში ორჯერ

მსოფლიო ბესტსელერი!
შეაბროვე 16 წიგნად
ლეგენდარული ჟურნალის მიერ
„ცხელ კვალზე“ მოპოვებული
მასალები დოკუმენტური
ფაქტები, რეალური მოვლენები
და შეიხე ეპოქას!

5-დან 12 მაისამდე

წიგნის ფასი: **7 ლ**

გაზეთთან ერთად: **8 ლ**

წიგნი მაისაჲ
მეორე
მსოფლიო ომი

შამლაგი წიგნი
ლაკლონიასკია



ფაქტები • პლაკატები • კარიკატურები • კინემატოგრაფია
ინტერვიუები ეპოქის მნიშვნელოვან ფიგურებთან

ავღანეთში შენყვადილი სიცოცხლე

„ბაკას 25 წელი შეუსრულდა“

ართი წლის 5 ნი, 2013 წლის 13 მაისს, ავღანეთში, ტაროსის ტყეში თავდასხმას 3 ქართველი სამხედრო — კაპრალი ალაქსანდრა კვიციანი, უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითიანი და კაპრალი ვლადიმერ შანავა ამსხვერპლდნენ. მთლიანობაში, ავღანეთის საჰაერო ძალებში მისი 29 ქართველი მებრძოლი, რომელთა შორისაც „ბაკასი“ მუდმივად უშვებოდა თავის მამულებს...

ვლადიმერ (ბაკა) შანავასთვის 1-ლი რიცხვი საბედისწერო აღმოჩნდა, ის ავღანეთის სამხედრო მისიაში 1-ელ აპრილს წავიდა, 1-ელ მაისს მას 25 წელი შეუსრულდებოდა... „ჯარისკაცი, რომელიც ყველა სიძნელესა და პრობლემას ღიმილით ხედავდა და ამით ჩვენც მზარელების სტიმულს გვაძლევდა“, — ასე იხსენებენ მას თანამებრძოლები.

ლიმიტირ შპრანკიძე, IV ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის ჯარისკაცი:

— მე მთელი მისიაზე ვიყავი, როდესაც ბაკა გავიცანი. ძალიან ხალისიანი ბიჭი იყო. მალევე დაემგობრდით... ბაკაც მთელი მისიაზე იყო. მალევე ძალიან ფრთხილი და დაკვირვებული ჯარისკაცი იყო... ჯარისკაცები მძიმე თემებზე საუბარს ისედაც ვერდებოდა, ბაკა კი ყოველთვის დახალისებდა. იმ დღეს, აფეთქება რომ მოხდა, ერთად ვიყავით. ბაკა წამოწოლილი იყო. ის იყო, ბაზის ტერიტორიაზე ვაპირებდით მოვიდო, რომ აფეთქება მოხდა. მეტი არაფერი მახსოვს, რადგან აფეთქება კარვის კედელთან მოხდა და იქვე, რამდენიმე მეტრის იქით ვიჯექი. მერე გერმანიაში გადაამაფრინეს, 9 დღე კომპანი ვიყავი. როგორც კი გონს მოვიდე, პირველად ბაკა ვიკითხე, როგორ არის, ცოცხალია-მეთქი... ისეთი ირბი პასუხი მივიღე, ჩემი აფეთქებისა და დანჯარული გონებით მიხედვით, მთლად კარგად არ იყო საქმე... გონზე მოსახლეობდა 21 დღე დამჭირდა. ახლაც სამკურნალო შევებულბაში ვარ. ძალიან მიმიძის იმ ტრაგედიის გახსენება, მით უფრო, რომ ბაკაზე წარსულში მიწვდის საუბარი. ბაკა სამეგობროში მაგალითს გვაძლევდა, თუ როგორ უნდა გვეცხოვრა ღიმილით. ის ჯარისკაცად იყო დაბადებული...

გიორგი, 26 წლის, 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი:
— ბაკა 2010 წლის გაიცვინი, მაშინ სენკის II ქვეით ბრიგადაში მსახურობდა. 2008 წლის ომშიც იბრძოდა და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გულლია ბიჭი იყო, სხვებისგან გაიცილა, რომ ცხინვალს და ნიქოზშიც ნაბრძოლი ყოფილა... ბიჭებმა თქვეს, პარტიზანული



ლიმიტირ უგრეხელიძე და ვლადიმერ (ბაკა) შანავა

ჯგუფის შექმნას აპირებდაო; კასპში ერთ-ერთი რუსული დანაყოფი იყო გაჩერებული და მასზე თავდასხმას გეგმავდაო. შემდეგ კი სასწრაფოდ უკან დახევის ბრძანება მოსვლიათ... აფეთქების დროს კარავში მეც ვიყავი. დასვენების დრო გვეკონდა. აფეთქების ადგილიდან ცოტა მოშორებით ვიყავი და ადვილად გადავრჩი, — ხერხემლის ძალების მსუბუქი დაზიანება და კისრის დაზარალებული ტრავმა მივიღე. აფეთქების ძალამ ჰერში ამავდო, მაგრამ გონება არ დამიკარგავს. თვალი რომ გავახილე, მახსოვს, ბაკა დავინახე... ძალიან სწრაფად მოვიდა სამედიცინო დახმარება, რომელიც ყველა ოცეულს ჰყავს, მაგრამ მას, ალექსანდრე კვიციანი და ზვიად დავითიანს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ. ბაკას სახით, ქვეყანამ პროფესიონალი სამხედრო დაკარგა, ჩვენ კი ძალიან კარგი მეგობარი, რომლისგანაც ბევრი რაშის სწავლა შეიძლებოდა...

გიორგი შპრანკიძე, სენკის II ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონის „ალფა“ ასეულის 10 ცეულის სერჟანტი:

— სიცოცხლით სავსე ბიჭი იყო. სულ მიკვირდა, როგორ შეძლო, ყველაზე მძიმე სიტუაციაშიც ხალისიანი ყოფილიყო. 40 სამხედრო რომ ვყოფილიყავით, ბაკა რომ მოვიდოდა, თავის ოუმორითა და ხალასი დამოკიდებულებით მაშინვე გავგამხიარულებდა... დღემდე ვერ ვეუბნები მის არყოფილს, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია მეგობრის ბედი. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გავლა ჩვენი პროფესიაა, ცხინვალის ომში ვიყავი და ვიცი, რასაც ნიშნავს, ომი და სიკვდილი... 14 აპრილს ჩემი ძმა გავაცილე ავღანეთში. ის II ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონში მსახურობს.

— ღმერთმა მშვიდობით დააბრუნოს თანამებრძოლობთან ერთად...

— გმადლობთ... ჩვენ გვენამს, რომ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის ვიბრძვი...

ვლადიმერ (ბაკა) შანავა IV ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის მსუბუქ ქვეით ბატალიონში მსახურობდა. მიღებული აქვს მედალი „სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობისთვის“ და ნარდენგლითა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე. წალენჯიხის საკრებულოს გადაწყვეტილებით, რაიონში მდებარე სპორტულ დარბაზს კანონალ ვლადიმერ შანავას სახელი მიენიჭა. ოჯახისა და ავტოლობრივი თვითმმართველობის ინიციატივით, ნაღვჯიხის ბაკასა და მისი თანამებრძოლების სახელზე ტაძარიც შენდება.

ლალი პაპასკირი

საქართველოს ეროვნული არქივის დაბრუნების საიდუმლო

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან შეინიშნებოდა საბჭოთა საბჭო-სამსახურების ბაჰაჰტიურება საქართველოს ეროვნული არქივის დასაბრუნებად. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ამგვარი, საბჭოთა საბჭო-სამსახურების მიერ დაბეჭდილი და პარტი-ულ ორგანოებთან შთიანსებამული ოპარატი იყო პროფ. ილია ტაბაღაძის მიზიტი 1972 წლის შემოდგომაზე პარიზში. თუმცა, სანამ ამ სა-კითხს დაწვრილებით განვიხილავთ, აუცი-ლებლად მიგვანჩნა „არსენალის“ კითხვალს საბჭოთა საბჭო-სამსახურების ოპარატიული საბიანოების ერთ-ერთ შმნიშვნელკვანას და საიდუმლო მივართულებაზე — საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების ფარულ კონტ-როლზე მოვუთხროთ.

(დასაწყისი იხ. „არსენალი“
N16-17, 2013 - N1, N3 2014)

სხვისი წერილების კითხვა —
კონტროლის უძველესი ხმრხი

ტოტალიტარული რეჟიმისთვის ყოველთვის და-მასახიბებელი იყო და არის მოსახლეობის სრული გაკონტროლების სურვილი. ფარული მოსმენები და ვიდეოგადღებები, თვალთვალი და ელექტრონულ ფოსტაში შეღწევა უკვე ისეთივე ჩვეულებრივი, თუმ-ცა, სამწუნარო მოვლენაა, როგორც გაყინული ბრა-ზილიური ხორცისგან დამზადებული „ხევისურული ხინკალი“.

ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ აღექსანდ-რე მაკედონელი დიდი ლაშქრობების წინ მეომართა და სარდალთა ფარული უკმაყოფილების გამოსაყენად ხშირად მიმართავდა ერთ ეშმაკურ ხერხს, კერძოდ კი, ბრძოლის დაწყებამდე მთ ნების რთავდა, წერილები გაეგზავნათ სამშობლოში.

მეომრების მიერ ოჯახებში გაგზავნილი საკმა-ოდ გულახდილი, ხშირად კი კრიტიკული წერილები აღექსანდრე მაკედონელის ბრძანებით იხსნებოდა და გულმოდგინედ მონმდებოდა. ასე არკვევდნენ უკ-მაყოფილო მებრძოლებს (მომავალში კი პოტენციურ მოლატეებს) და უკმაყოფილების მიზეზებსაც. კორესპონდენციის გაკონტროლების ეს მეთოდი მომა-ვალშიც ფართოდ გამოიყენებოდა მთელ მსოფლიოში. იქმნებოდა სპეციალური იზოლირებული ოთახები, სა-დაც წერილებს კითხულობდნენ. ამ ოთახებს შემდეგ „შავი კაბინეტები“ შეარქვეს.

შუა საუკუნეების ევროპაში, სადაც წერილობითი კორესპონდენციები ადამიანთა შორის ურთიერთო-ბის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო. საფრან-გეთის, იტალიის, რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების საიდუმლო სამსახურებმა „შავი კა-ბინეტების“ შექმნა დაიწყეს, სადაც კორესპონდენ-ციებს ხსნიდნენ, კითხულობდნენ და შემდეგ ლუქავენ-დნენ.

პირველი სპეციალური „შავი კაბინეტები“ საფრან-გეთში XVIII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, რუსეთში კი ეკატერინე II მმართველობის პერიოდთან გავრ-ცელდა. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში საფოსტო კორესპონდენციის პრელუსტრაცია „ხელოვნების“ დონზე აიყვანეს.



„შპინ კაბინადაები“ – წითელი თერორისტების

ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში დამკვიდრების თანავე აქ მიმართულებითაც „მეუტესი“. საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციის პრელუსტრაციის სამსახური საბჭოთა იმპერიის გარიჟრაჟზე, 1921 წლის 21 დეკემბერს შეიქმნა და ფართო პოლიტიკურ კონტროლს ახორციელებდა. კერძოდ, ГПУ-ОГПУ-ს ორგანოები, გარდა პრელუსტრაციებისა და კორესპონდენციების შერჩევისა, აკონტროლებდნენ სტამბებსა და წიგნების მაღაზიებს, თვალყურს ადევნებდნენ იმპორტირებულ-ექსპორტირებულ ბეჭდვით, პოლიგრაფიულ და კინოპროდუქციას, პოლიტიკურად აკონტროლებდნენ კინოთეატრებს (1922 წლის 8 მარტიდან) და სხვ.

1922 წლის შემოდგომაზე კორესპონდენციის აკონტროლებდნენ 120 ქალაქის საფოსტო განყოფილებებში. 30-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკური კონტროლის სამსახური ამოწმებდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელების ყველა საერთაშორისო და შიდა კორესპონდენციას, მოთხოვნამდე მიღებულ ყველა საფოსტო გზავნილს, ОГПУ-ს ოპერატიულ და სხვა განყოფილებების სიებში არსებული კონკრეტული პირების კორესპონდენციებს, კოლექტივიზაციის პერიოდში — წერილებს გაგზავნილს სოფლიდან ჯარში ან ფლოტზე და ა.შ. თუმცა, ეს ყველაფერი ახლოსაც ვერ მივსვამთ ტოტალური კონტროლის იმ მარნუხებთან, რაც საბჭოთა იმპერიის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო.

**თოვლითარალი სახალმწიფოს
აპოლიტატივიზაციის**

1968 წლის 25 ნოემბერს სუკ-ის ახალდანიშნულმა თავმჯდომარე იური ანდროპოვმა ბრძანება გრიფით „სრულიად საიდუმლო“ გამოიცა, რომელიც საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების ფართო კონტროლის ახალი ინსტრუქციის ამოქმედებას ეხებოდა.

ფართო კონტროლება ევალებოდა სუკ-ის ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველოს (რესპუბლიკებში — განყოფილებას) მეექვსე სამსახურს (ენ. „პკ“-ს — „პრელუსტრაცია კორესპონდენციი“), რომელიც ასრულებდა არა მარტო სუკ-ის, არამედ საბჭოთა კავშირის შსს-სა და თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის გე-ერუს შეკვეთებს. ამ პროცესს პკ-ზე აყვანას უწოდებდნენ.

კორესპონდენციებს არჩევდნენ შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით: გამგზავნის (მიმღების) გვარი, მისამართი და კალიგრაფია.

ინსტრუქციის მიხედვით პკ-ს დამოუკიდებელი ოპერატიულ-აგენტურული მუშაობის ჩატარების უფლებაც ქმლიდა — აგენტურის გადაბირება, კონსპირაციული ბინის დაქირავება და სხვ.

ზოგიერთ პკ-ს საკუთარი ფიზიკურ-ქიმიური ლაბორატორიებიც კი ჰქონდა კორესპონდენციების ფართული გახსნა-დალუქვის საკმაოდ რთული პროცესის შეუქმნევლად ჩატარებისთვის.

ყოველი წლის დამდეგს, კონკრეტულად კი 15 იანვრისთვის, ყველა რესპუბლიკური და საოლქო სუკ-ის კომიტეტისა და სამმართველოს პკ სამსახურები ანგარიშს უგზავნიდნენ საკავშირო სუკ-ის ოპერატიულ-ტექნიკურ სამმართველოს, სადაც მოცემული იყო:



საფოსტო ყუთებიდან ამოღებული კორესპონდენციები სუკ-ის ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველოს მე-6 სამსახურში დახარისხება-კონტროლს გადაიოდა

შემოსული და დამუშავებული კორესპონდენციების რაოდენობა, ასევე პკ-ს საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ოპერატიული მიზნით გამოყენების მონაცემები.

კერძოდ, ოპერატიული აღრიცხვის საქმის დაწყება; პირის „დამუშავება“; ახალი კავშირების გამოვლენა; ძველი აგენტების შემოწმება; ახალი აგენტების გადაბირება; სახელმწიფო მოლაპარაკების დადგენა (ქვეყნის მიზნით და უცხოეთში); მოპოვებული ინფორმაციის საგარეო სადაზვერვო ოპერაციებში გამოყენება; იარაღის ამოღება და ა.შ.


პკ-ს შტატი შედგებოდა სამსახურის (პუნქტის) უფროსის, I და II კატეგორიის კონტროლიორებისა და მთარგმნელებისგან. მუშაობა სადღეღამისო რეჟიმში მიმდინარეობდა.

პკ-ზე უპირველესად საერთაშორისო კორესპონდენციები აჰყავდათ. მიწერ-მოწერა დასავლეთის ქვეყნებში სრულად კონტროლდებოდა, განსაკუთრებით ემიგრანტების კორესპონდენციები.

საბჭოთა კავშირის შიგნით კორესპონდენციების პკ-ზე აყვანა შერჩევით ხდებოდა. თავდაპირველად, არჩევდნენ საფოსტო გზავნილებს — კორესპონდენციის (მიმონერსი) ნაკადიდან ტექნიკური საშუალებების დახმარებით იმ საფოსტო გზავნილებს არჩევდნენ, რომლებიც ოპერატიული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. შემდგომ საფოსტო გზავნილებს ხსნიდნენ და მერე ისევ ფუთავდნენ.

წელნადმი რესპუბლიკური სუკ-ის პკ-ს სამსახური საშუალოდ 300-600 ათას კორესპონდენციას ამომებდა.

ადგილობრივი კორესპონდენციებიც ზემოაღნიშ-



პოეტტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე

ნული კრიტერიუმების მიხედვით მოწმდებოდა. პკ-ს პუნქტი განთავსებული იყო სსრკ კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალურ და ტერიტორიულ განყოფილებებში და ის კონსპირაციულ ობიექტს წარმოადგენდა.

პკ-ს ხელმძღვანელი ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე ე. წ. „მემორანდუმს“, ანუ უშიშროების ორგანოების ოპერატიული ინტერესის საფოსტო-სატელეგრაფო გაზენილების შინაარსის მოკლე ანოტაციას (მიმოხილვა) ადგენდა, რომელიც ოპერატიულ დოკუმენტს წარმოადგენდა.

მთელი ეს მსჯელობა იმიტომ დაგვიჭირდა, რომ გვეჩვენებინა: პკ იყო ერთიანი, ცენტრალიზებული სამსახური, რომელსაც თითქმის არაფერი გამოეპარებოდა. მით უფრო ემიგრანტების პარიზიდან გამოგზავნილი წერილები იყო განსაკუთრებულ კონტროლზე აყვანილი. ამიტომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ 1972 წლის დანახვისში ქართველი ემიგრანტის, კალისტრატე სალიას წერილი ადრესატამდე ქართველი ჩეკისტების ხელში აღმოჩნდა და შემდგომი მოვლენებიც მათი სცენარით ვითარდებოდა.

„არსენალის“ მკითხველს ვინდა კიდევ ერთხელ შევასხენით, რომ 1921-1991 წლებში ე.წ. „ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან“ სანქცირებული კონტაქტი მხოლოდ საბჭოთა კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის პირველი (საგარეო დაზვერვა) და მეორე (კონტრდაზვერვა) მთავარი სამმართველოების ნებართვითა და მათი მკაცრი კონტროლით ხორციელდებოდა.

ემიგრანტებთან არასანქცირებული კონტაქტი მკაცრადმინისტრაციულ სანქციებს იწვევდა, კერძოდ, პარტიულ სასჯელს, სამეცნიერო-პედაგოგიური კარიერის შეზღუდვას და ა.შ. მოკლედ, ცხოვრების გაფუჭებას.

საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინება მოსკოვში საბჭოთა კომპეტენტურ ორგანოებში სუკ-ის მეთვალ-

ყურებით სათანადო ინსტრუქტივის მიღებით ინსტრუქციონირებული. მივლინების დასრულების შემდეგ „მოსწიფების ბარათი“ იწერებოდა, სადაც დანერგული უნდა ყოფილიყო აღწერილი, თუ ვის შეხვდა ეს მეცნიერი, რა თემებზე იყო საუბარი, ვინ ესწრებოდა ამ შეხვედრებს და ა.შ.

ამგვარი გახლდათ უცხოეთში საბჭოთა მეცნიერის მივლინების ტიპური სქემა, რომელიც მკაცრად რეგულირდებოდა საკავშირო სუკ-ის ინსტრუქციებით. თავად საზღვარგარეთ მივლინების მთელი პერიოდი საბჭოთა საელჩოს დიპლომატების მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. მათგან უმრავლესობა „სამხრეებიანი დიპლომატი“, ანუ საბჭოთა დაზვერვის თანამშრომელი იყო.

ილია ტაბალუას წარუმატებელი მისია

დავუბრუნდეთ პროფ. ილია ტაბალუას მონათხრობს. 1972 წლის 1-ელ სექტემბერს ის სამი თვით პარიზში მიავლინეს, როგორც თავად აღნიშნავს „იუნესკოს ხაზით სამუშაოდ“. გადამწყვეტლება ამ შემთხვევაშიც მოსკოვმა მიიღო.

ტაბალუამ პარიზში ჩასვლისთანავე საქმის კურსში ჩააყენა საბჭოთა ელჩი საფრანგეთში პეტრე აბრასი-მოვი. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპი-ადე ქართველ ემიგრანტებთან მისი ყველა კონტაქტი საბჭოთა დაზვერვის მეთვალყურეობითა და კოორდინაციით მიმდინარეობდა.

საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურა ამ ოპერაციაში „პირველი ვილინოს“ როლს ასრულებდა, რადგანაც სუკ-ის ინსტრუქციის თანახმად რეზიდენტურას ნებართვა უნდა მიეცა და გავკონტროლებინა საბჭოთა მოქალაქეების ყველა კონტაქტი უცხოეთში (ამ შემთხვევაში, პარიზში) მცხოვრებ ემიგრანტებთან.

საინტერესოა ერთი ამონარიდი ილია ტაბალუას მოგონებებიდან: „ელჩი დავგვირდა დახმარებას და გვითხრა, რომ თუ საკითხი დადგებოდა ხარჯებზე, მზად იყო, ეს ხარჯები საელჩოს ჰქონდა“.

ეს ციტატა თავისთავად ბევრისთვის გაყვანილი რამდენიმე გარემოების გამო. ჯერ ერთი, საელჩოს ადრე დამტკიცებული ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი თანხის (შემდეგ არქივის მხოლოდ ერთი ნაწილის განმე-და, ადგენდა და მიკროფილმების გადაღება ამერიკელებს 90 ათას დოლარამდე დაუჯდათ) დახარჯვა ქართველი მწნევიკების მთავრობისა და პარტიული არქივის ასლების გადასახადებად დამოუკიდებლად არ შეეძლო. ელჩი ამ გადამწყვეტილებას სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეუთანხმებლად ვერ მიიღებდა.

მეორე — ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე აუცილებლად იქნებოდა 1972-1977 წლებში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი პარიზში ივანე კის-ლააკი, რომელიც, თავის მხრივ, საბჭოთა დაზვერვის სანქციას საჭიროებდა.

ახლა კი მთავარ საკითხს დავუბრუნდეთ. პროფ. ტაბალუა შეხვდა ქართული ემიგრაციის ზოგიერთ წარმომადგენელს (კლდე და ნინო სალიებს, ლევან ფა-ლავას), რათა სიტუაცია მოეხინჯა.

1972 წლის 7 ოქტომბერს პარიზში ჩავიდა პოეტტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე და ილია ტაბალუასთან



ვიქტორ ნოშადე
სამართლიანად
მიიჩნევა,
რომ არქივი
თბილისში ვერ
ჩააღწევა და
მოსკოვშივე
დაარჩებოდა

ერთად 10 ოქტომბერს ლევილში გაემგზავრნენ. ჩანს, ამ ღონისძიებებში ილია ტაბაღაძის მთავარი როლი თავიდანვე გამოკვეთილი იყო და ის „საქართველოს ხელისუფლების“, უფრო ზუსტად კი საბჭოთა ხელი-სუფლების, სახელით მოქმედებდა.

ილია ტაბაღაძე დანერგობით აღწერის ძალზე და-ბაძულ შეხვედრებს ეროვნული არქივის კომისიის წევრებთან (ნოე ცინცაძე) და ამ შეხვედრებზე დამსწრე სხვა ქართველ ემიგრანტებთან. „ხანდახან ატმოსფეროს დაბავდა ბატონ ვიქტორის (ვიქტორ ნოშადე – ბ.ა.) აშკარა შურნაცხმყოფელი რეპლიკები საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელებისა და პირადად ბატონ ირაკლის მიმართ“, — წერს ილია ტაბაღაძე.

საბჭოთა ხელისუფლების წარგზავნილები ქართველ ემიგრანტებს ეროვნული არქივთან დაშვების (კერძოდ, არქივის აღწერას, კატალოგის შედგენას და ა.შ.), მისი დედნების ჩაბარების ან მიკროფილმების გადაღების სხვადასხვა ვარიანტს სთავაზობდნენ. იყო ამგვარი წინადადებებიც: ახლა მთავრობის არქივი მოგვეცით, ხოლო პარტიული (ანუ მენშევიკების) რამდენ ხანსაც გინდათ დაიტოვოთ. ყველა ხარჯს „საქართველოს მხარე“ იკისრებს.

ჩანს, საბჭოთა წარგზავნილებს (უბირველესად ილია ტაბაღაძეს) ინსტრუქტაჟი ჰქონდათ გავლილი მოსკოვსა და პარიზში (საბჭოთა საელჩოსა და დაზვერვის რეზიდენტურაში) და დავალების შესრულებას (სრული არქივის ან მისი ნაწილის ხელში ჩაგდება) მაქსიმალური მონდობითი ცდილობდნენ.

სანამ მსჯელობას გავაგრძელებთ, გვინდა ერთი კითხვა დავსვათ: რა რეალური მიზანი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს ეროვნული არქივის დასაბრუნებლად, რომ ძალ-ღონეს არ ენიჭებოდა?

ეროვნული არქივის ე. წ. „სამთავრობო ნაწილი“ მოიცავდა დოკუმენტებს, რომელთაც საბჭოთა პერიოდში ისტორიული მნიშვნელობა არ ენიჭებოდა და „დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა“ და-

ცინის საგანი იყო. უფრო მეტიც, თავად დამოუკიდებელი საქართველოს დადებით კონტექსტში ხსენებუ-კი რეპრესიებს ინვესტა. ამ არქივთან არც ობიექტურ ისტორიკოს-მკვლევრებს მიუძღვებდა მაშინ ვინმე.

ჩვენი აზრით, საბჭოთა ხელისუფლებას ეროვნული არქივის გამოყენება რეალურად სამი მიზნით სურდა:

1. პროპაგანდისტული აქციებისთვის (მენშევიკების მთავრობის გასაცურებლად). ამის მაგალითია თუნდაც საქართველოს ცეკას ყოფილი პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის 1962 წელს გამოცემული წიგნი მეტად საგულისხმო სათაურით: „ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ“;

2. ემიგრაციის წინააღმდეგ ახალი ოპერატიულ-ავანტურული ოპერაციების დაგეგმვა;

3. ეს არქივი საბჭოთა კავშირის მთავარ მონინალ-მდეგეს – აშშ-ს არ უნდა ჩავარდნოდა ხელში; ქართველი ემიგრანტების ერთი ნაწილის (ნ. ცინცაძე, ვ. ნოშადე ვ. ხომერიკი და პ. სარჯველაძე) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიდანვე აუღეს ალ-ლო საბჭოთა ხელისუფლების ავ ზრახვებს.

ილია ტაბაღაძე იხსენებს, რომ ნოე ცინცაძე და ვიქტორ ნოშადე არქივის გადაცემის მიზანშეწონილობის იმით ასაბუთებდნენ, რომ არქივი და მსულ მასალებს საბჭოთა რეჟიმი ემიგრაციაში ნასული მთავრობის წინააღმდეგ გამოიყენებდა.

ვიქტორ ნოშადე სამართლიანად მიიჩნევა, რომ თუ ისინი არქივს გადასცემდნენ, საბჭოთა წარგზავნილები ამ დოკუმენტებს თბილისში ვერ ჩაატანდნენ, რადგანაც მის მოსკოვშივე ჩამოართმევდნენ და იქ დაიტოვებდნენ.

მას შემდეგ, რაც ყველა ცდა უშედეგოდ დასრულდა, ირაკლი აბაშიძე 1972 წლის 14 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში დაბრუნდა. თუნდაც ეს ფაქტი მითითებს, რომ მისი მივლინება უფრო ფორმალური იყო. სასებთი დასაშვებია, რომ გამოჩენილი ქართველი პოეტი ღრმად არც ყოფილიყო ინფორმირებული ამ მივლინების რეალურ მიზნებზე.

ილია ტაბაღაძეს კი არ შეუნწყვეტია არქივის დაბრუნების მცდელობა. მან პარიზში იმ ემიგრანტების მონახულება დაიწყო, ვინც უპირობოდ იყო თანახმა არქივის ჩაბარებაზე. მისი მოგონებებიდან ირკვევა, რომ კალისტრატე სალიასა და ლ. ფალავასთან ერთად სავადყოფოში მთლიანულად საარქივო კომისიის ერთ-ერთი წევრი, მძიმე ავადმყოფი და მომაკვდავი მიხეილ სტურუა.

იყო სხვა შეხვედრებიც, რომელთა დეტალური ილია ტაბაღაძე რატომღაც არ იხსენებს. ჩვენი ვარაუდით, მას შეხვედრები აუცილებლად ექნებოდა მამია ბერიშვილთან. თუმცა, 1972 წელს ილია ტაბაღაძეს მისი უშედეგოდ დასრულდა. წინ კი ახალი ოპერაციები იყო, ახალი შემსრულებლობითა და ახალი ლეგენდებით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბასიკ პალაფაშვილი

„სუცესამასხურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე



სტუდენტი და ჭარი

სტუდენტები, რომლებიც სამხედრო სავალდებულო სამსახურს გაივლიან, სასწავლო გრანტს მიიღებენ. ეს ინიციატივა საქართველოს მთავრობას ეკუთვნის და სტუდენტებისთვის, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემთხვევაში, პრივილეგიების მიჩვენებასაც გულისხმობს.

დადგენილების თანახმად, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტით უზრუნველყოფილი იქნებიან სტუდენტები, რომლებმაც 2012-13 წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახეს, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხნენ და ვერ მოიპოვეს ან ნაწილობრივ მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი და საკუთარი სურვილით არა უგვიანეს 2014 წლისა, მოქალაქეთა საგაზაფხულო განვევამდე, აიღეს ვალდებულება, თორმეტი თვე იმსახურონ სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და თავდაცვის სამინისტრომ დადგენილების შესრულების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებები უნდა გაატარონ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ თავდაცვის სამინისტროს გასანვევ მოქალაქეთა რაოდენობა აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებიც უნდა გაითვალისწინოს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ინიციატივას საზოგადოებაში კიბხეები მოჰყვა. კერძოდ, რამდენად შეძლებს ახალგაზრდა სამხედრო სამსახურსა და სწავლას ერთდროულად სავალდებულო სამხედრო სამსახურის პერიოდში; ეს კანონი სხვებს ხომ არ დაუკარგავს სწავლის სტიპენდიას, იმათ, ვინც, 100%-იანი გრანტი მოიპოვეს, აფიქრებინებს, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემთხვევაში დაფინანსებას სწავლის გარეშეც მიიღებს; დაბოლოს, ეს დადგენილება შს სამინისტროს ჯარისკაცებსაც შეეხებათ თუ იმათ, ვინც მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს ძალებში იმსახურებენ;

ამ საკითგებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პასუხი ასეთია. მოტივების ანაღლებებისა და სამხედრო სამსახურისადმი მოთხოვნის გასაზრდელად ამ პრივილეგიის მიჩვენების უფლება ჰქონდა მთავრობას.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულებისთანავე (ანუ ერთი წლის შემდეგ) სტუდენტებს შეეძლებათ დაიწყოთ სწავლა და მიიღონ დაფინანსება.

დადგენილებით, განსაზღვრული პრივილეგიებით სარგებლობენ მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს ძალებში ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც სამხედრო სავალდებულო სამსახურს ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული წესით გაივლიან და სამხედრო ნოდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიენიჭებათ.

სტუდენტების ერთი ნაწილის თქმით, ეს ინიციატივა მისასალმებელია, რადგან ბევრს, განსაკუთრებით კი რაიონში მცხოვრები მოზარდების უმეტესობას, რეგულირებულად მოზარდების საშუალება არა აქვს, სკოლაში კი უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებელ ცოდნას ვერ იღებენ, რის გამოც ან დაბალი დონის სასწავლებლებით კმაყოფილებიან, ან სკოლის შემდგომი განათლების მიღებაზე უარის თქმა უწევთ.

ლევან კახნაძე, ვანის მკვიდრი: „წლებშიმთავარი ვართ. შერშან ჩავებარე ერთიანი ეროვნული გამოცდები, გრანტი ავიღე, მაგრამ არა 100%. მთელი წელი თან ვსწავლობდი და თან ვმუშაობდი, რომ სწავლის ქირა გადამეხდა. წელს აუცილებლად წავალ ჯარში, ერთი წლის შემდეგ კი მშვიდად გავაგრძელებ სწავლას, სამშობლოსაც ვემსახურები, ჯარის ცხოვრებასაც გავიცნობ და დაფინანსებასაც მივიღებ“.

თუმცა, რესპოდენტთა მთავრე ნაწილმა მთავრობის ახალი ინიციატივა უარყოფითად შეაფასა.

დავით ცირცვაძე, 20 წლის: — რატომ უნდა ვიყო თანასწორ პირობებში მე და ის ადამიანი, ვისაც ცხოვრებაში ნივინ არ გადაუშლია, მე კი, რაც თავი მახსოვს, ხან ერთი რეგულირებ „მანამებდა“, ხან — მეორე... ეს ხომ უსამართლობაა?.. პირადად მე დამიკარგავს სწავლის სტიპენდიას, თუნდაც იმიტომ, რომ არ მიწადა დრო სავალდებულო სამსახურში ყოფნის გამო დავკარგო.

— **ჯარში ყოფნა დროის დაკარგვაა?..**

— ვისაც როგორ შეუძლია, ისე ემსახურება ქვეყანას. ამ ერთი წლის განმავლობაში სხვა მიმართულებით მივიღებდი ცოდნას, ტრენინგებისა და სხვა მნიშვნელოვანი საქმისთვის გამოვიყენებდი. დაგროვილ ცოდნას კი სამშობლოს მოვებმარდი, რატომ არის





აუცილებელი, ყველა ჩაცვას სამხედრო ფორმა?... რატომ უნდა შემაფერხოს ჯარმა, მაშინ როდესაც ჩემს განათლებას კარიერისთვის ვაგროვებ?... მესმის, რომ ეს საუკლედებულო არ არის, მაგრამ მე, და, დარწმუნებულო ვარ, ბევრ აბიტურიენტსაც, სწავლის მოტივაციას დაუკარგავს.

როდესაც შეიარაღებული ძალების მომსახურე წევრად მუშაობდა კონტრაქტით მყოფის ჯარისკაცების სამოქალაქო განათლების დონით დაინტერესდი, აღმოჩნდა, რომ ვითარება იმაზე საველლო იყო, ვიდრე წარმომედგინა.

ზჰრა, ერთ-ერთი პატალიონის მეთაური: — ახალ თაობას ძალიან დაბალი სამოქალაქო განათლება აქვს. ბევრს წერა-კითხვაც კი უჭირს... ჯარისკაცებს მხოლოდ სწოლას კი არ განსაზღვრის, ლექციებსაც ვუტარებთ, ანუ ამა თუ იმ თემას კარნახით ვანერჩებთ, რომელიც შემდეგ მათ უნდა მოამზადონ და ბევრი კარნახითაც ვერ წერს. საბედარია იმ წვევამდებლებზე, რომელთაც საკონტრაქტო სამსახურში ისურვებს გადასვლა. სერჟანტები მათ ახანას ახანავლიან და ასო-ასო აწერიან, რადგან სხვა გამოსავალი არ არის. კონსპექტი ხომ უნდა ჰქონდეთ, სადანაც უნდა ასწავლიონ... არიან ისეთებიც, რომელთაც ვერ ისწავლეს წერა-კითხვა, უბრალოდ, არ აინტერესებთ. ზოგჯერ ძალიან მიკვირს, ფულს როგორ იყენებენ...

— ასეთი მძიმე ვითარებაა?
— საველლო მდგომარეობაა. იყო შემთხვევა, როდესაც მეცადინეობაზე დასასწრებად მოსული ჯარისკაცები ლექციას არ იწერდნენ. როდესაც სერჟანტმა უთხრა, რისთვის ხართ მოსული, თუ არაფერს იწერთ, მათ თავი ჩაღუნეს... ლექციის შემდეგ, ისინი ცალკე გამოიყვანეს, ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს, რომ პრაქტიკული მეცადინეობების გარდა, თეორიის გაცვაც საჭიროა. ჯარისკაცები ჯერ დუმდნენ, მერე კი რამდენიმეს ცრემლები წამოუვიდა, წერა-კითხვა არ ვიცითო... ასეთ კატეგორიას სერჟანტები წერა-კითხვას ასწავლიან. არიან ისეთებიც, რომლებმაც თავდაცვის მინისტრის სახელი და გვარიც არ იციან. ეს პრობლემა გუშინ არ გაჩენილა, წლებია ასეთი მძიმე მდგომარეობაა.

— სანამ კონტრაქტს მოაწერენ ხელს, ნორმატივების ჩაბარების გარდა, სხვა არაფერი მოითხოვენ ბათ?

მამუკა, სერჟანტი: — საქმე ის არის, რომ საკონტრაქტოში ჩაბარების სურვილს ბევრი ჯარისკაცი გამოთქვამს. ამისთვის მათ ტესტების ჩაბარება არ უნებთ. ამ წვევამდებლებს შეუძლიათ, შეიარაღებულ ძალებთან კონტრაქტი 3-თვიანი სამსახურის შემდეგ გააფორმონ. ვინც სამოქალაქოდან მიდის კონტრაქტზე, ისინი უნარ-ჩვევების კურსებს კრწანისში გადიან, ვინც ვერ გადალახავს, ის ვერც ხვდება საკონტრაქტოში. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ძალიან ბარიერია... ასე რომ, უფრო მძიმე მდგომარეობა საველდებულოდან გადმოსულ ჯარისკაცებშია. ასეთი დაბალი განათლების ადამიანები თანამდებობაზეც არ ინიშნებიან, მაგრამ ეს ჩვენთვის არაა შეღავათი, არც მათთვის და არც ქვეყნისთვის. ძალიან მიკვირს, როგორ აძლევენ საშუალო სკოლის ატესტატებს.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რაიონიდან ჩამოსულელები. მაღალი განათლებით არც ქალაქელები გამოირჩევიან, მაგრამ კომპიუტერის მოხმარება მაინც

იციან და ამით გადიან ფონს. რაიონებდან ჩამოსულელები დისციპლინას ადვილად ეჩვევიან, რასაც ვერ ვიტყვი სხვებზე. რასაც ვიტყვი, პირნათლად შეანარულებენ, მთავარია, ისე აუხსნან, რომ გააგებინო და რასაც დაავალბ, სიტყვის შეუბრუნებლად გააკეთებენ.


ეთნიკურ უმცირესობაშიც მძიმე ვითარებაა, მაგრამ ისინი უფრო მონდომებული არიან და ერთ თვეში თავდაუზოგავი მუშაობით წერა-კითხვას სწავლობენ, რასაც ვერ ვიტყვი ქართველ ჯარისკაცებზე.

— მთავრობის ახალი ინიციატივის შესახებ გკითხვათ, — სტუდენტები, რომლებიც სამხედრო საველდებულო სამსახურს გაივლიან, სასწავლო გრანტს მიიღებენ. როგორ ფიქრობთ, ეს ხომ არ გააზარმაცებს ახალგაზრდებს?

— არა მგონია, ყველა შემთხვევაში კარგი ინიციატივა... თუ ის კარგად ან საშუალოდ მაინც ვერ ისწავლის და ბარიერს ვერ გადალახავს, შემდგომ კურსზე ვერ გადავა. არა მგონია, ამან ახალგაზრდებში სწავლის მოტივაცია შეამციროს. ჩემი აზრით, დაბალი განათლების პრობლემა უფრო სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს... საკონტრაქტო სამსახურში უფრო მეტად 18-19 წლის ბიჭები მოდიან, ვეკითხები, ოციწრობა არ გინდა-მეთქი, — არა, საკონტრაქტო სამსახურში ყოფნა მინდაო. რატომ, 4 წლის განმავლობაში ჯარში მოგიწევს ყოფნა, სამოქალაქო განათლებას მონყვეტილი იქნები-მეთქი, ან უმაღლესი სასწავლებელში არ გინდა ჩაბარება, ან საოფიცრო კურსებზე წასვლა-მეთქი. არაო. ასეთი პასუხი ნიშნავს, რომ მათ მხოლოდ ხელფასი აინტერესებთ.

ლალი პაპასპირი

სტუდენტები საველდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემთხვევაში გრანტს მიიღებენ





ინდივიდუალური დაზვერვის საშუალებები

საბრძოლო მოქმედებებში დაზვერვა უდიდეს როლს თამაშობს. მონინალმდევის ადგილმდებარეობა-ინციზიონობაზე დროულად მიღებული ინფორმაცია ხშირად ბრძოლის ბედსაც წყვეტს.

ლოკალური კონფლიქტები მცირე მასშტაბის ხანმოკლე შეტაკებებით ხასიათდება. ასეთ დროს დროულ და ოპერატიულ ცნობებს მტრის გადაადგილების, აღჭურვილობის, ძალთა თანაფარდობის შესახებ უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. თანამედროვე არმიებში პირადი შემადგენლობის განკარგულებაში სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მრავალი საშუალება არსებობს: თანამგზავრები, უპილოტო საფრენი აპარატები, სხვადასხვა სახის დეტექტორები, მგრძნობიარე აკუსტიკური სენსორები და მიკროფონები, რომლებიც მონინალმდევის სნაიპერების პოზიციას აფიქსირებენ.

ეფექტურობის მიუხედავად, გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა მათგანი ინფორმაციის გადაცემისთვის ან საჭირო რაიონში მოხვედრისთვის დროს საჭიროებს, ხანმოკლე შეტაკებებში კი დრო გადამწყვეტი ფაქტორია. ასეთ შემთხვევებში ჯარისკაცები ინდივიდუალურ სადაზვერვო საშუალებებს საჭიროებენ, რომელთა წონაც — ადვილი გადატანის, ხოლო მარტივი მომსახურება კი ოპერატიულად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

დროებით გამოსავლად სამხედროებმა კომპაქტური უპილოტოები მიიჩნიეს. ამ ტიპის სადაზვერვო საშუალებებზე ქვეყნები დიდ თანხებს ხარჯავენ.






უკანასკნელ წლებში ტექტიკური დანიშნულების უპილოტოების შექმნაზე პენტაგონმა არაერთი მილიონი დახარჯა.

დღეს ფართოდ გამოიყენება კომპაქტური უპილოტოები, რომელთა კომპლექტსაც ერთი ჯარისკაცი ზურგანითი ატარებს. მაგრამ ახლო მომავალში, მსგავს მაღალტექნოლოგიურ საფრენ აპარატებს „ჩაჩოჩება“ მოუწევთ. სპეციალისტებმა თანამედროვე ტექნოლოგიებით კიდევ უფრო „მოხერხებულ“ სადაზვერვო საშუალება შექმნეს.

ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი თანამედროვე ქვეითის აღჭურვილობაში, უცვლელი ატრიბუტია. 40 მმ-ის კალიბრის ყუმბარებს მონინაალმდგვის ცოცხალი ძალის, მსუბუქად დაცული ნაგებობების, ჯავანტექნიკის (კუმულაციური მოდიფიკაციები) გასანადგურებლად იყენებენ. სინგაპურული კომპანია ST Kinetics-ი კიდევ უფრო შორს წავიდა და ყუმბარაში ფეთქებადი ნივთიერების ნაცვლად, ვიდუკამერა მოათავსა. SPARCS-ის ტიპის გასროლა გაბარიტებით სტანდარტული 40 მმ-იანი ყუმბარის ანალოგიურია და ჯარისკაცს სხვა საშუალებათა დახმარების გარეშე, ოპერატიული სადაზვერვო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას აძლევს.

გასროლის შემდეგ 150 მ-ის სიმაღლეზე კამერის ან ყუმბარას პარაშუტი ეშლება და წრიული ხედვის კამერა ირთვება. გამოსახულება ონლაინრეჟიმში ჯარისკაცის ტექტიკურ დისპლეიზე გადაიცემა. SPARCS-ის კამერის გადაცემული ვიდეომასალა არ იმიფრება. ყუმბარა მხოლოდ სიგნალის ტრანსლერებას ახდენს და მონაცემები არსად არ ინახება. შესაბამისად, თუ მონინაალმდგვეს ხელში ჩაუვარდა



გასროლისას და 150 მ-ის სიმაღლეზე SPARCS-ს პარაშუტი ეშლება და წრიული ხედვის კამერა ერთვება



დოლური ტიპის ყუმბარსატყორცნ SPARCS-ის გასროლით დაფიქსირებული მონინაალმდგვის განადგურება დარჩენილი 5 საბრძოლო ყუმბარით შეიძლება

ვიდეოკამერის ყუმბარა, ის უკვე ყოვლად გამოუსადეგარია.

SPARCS-ს შედარებით პატარა გამოყენების რაოდუხი აქვს – 140 მ, თუმცა მცირე შეტაკებებში და განსაკუთრებით ქალაქში ბრძოლისას, როდესაც მონინაალმდგევე შეიძლება სახლების სახურავებზე იყოს ჩასაფრებული, ვიდუკამერის ყუმბარის გამოყენება ჯარისკაცებს მოსალოდნელ საფრთხეს აუნწყებს.

ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნების ყუმბარებში ვიდუკამერების ჩამონტაჟებზე არა მხოლოდ სინგაპური მუშაობს. თავდაცვითი შეიარაღების მწარმოებელმა ებრაულმა კომპანია Rafael-მა ასეთი სადაზვერვო საშუალების საკუთარი ვერსია შექმნა. ყუმბარა Firefly-ს გასროლა ნებისმიერი ტიპის 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნიდან შეიძლება. სტანდარტული ყუმბარის მასრაში მოთავსებულ გასროლას ლულიდან გამოსვლის შემდეგ პატარა ფრთები და სტაბილიზატორები ეშლება. მისი დიამეტრი – 38 მმ, სიგრძე – 155 მმ და წონა 145 გრამია. კომპაქტური სადაზვერვო საშუალება სამოქმედო მანძილ დაახლოებით 600 მ-ია.

გასროლის შემდეგ Firefly ბალისტიკური ტრაექტორიით მიფრინავს. მისი ორი მინიკამერა მხოლოდ რვა წამი მუშაობს. ამ დროის განმავლობაში დაფიქსირებულ ინფორმაციას ჯარისკაცი ტექტიკურ დისპლეიზე ონლაინრეჟიმში იღებს.

მოქმედების სპეციფიკიდან გამომდინარე, სინ-



თუ SPARCS-ის ტიპის ყუმბარებს ტაქტიკური დანიშნულების უპილოტოებს შევადარებთ, უპირატესობა საფრენი აპარატების მხარეს იქნება. ისინი უკეთესი ხარისხის გამოსახულებას გადასცემენ და იმედროულად, პაერში მტხანს შეუძლიათ ყოფნა. მაგრამ გამოყენების თვალსაზრისით ვიდეო-კამერინი ყუმბარა უფრო პრაქტიკული და მოზერხებულია. მისი ამოქმედების შესახებ ჯარისკაცი გადაწყვეტილებას ინდივიდუალურად იღებს და სხვაზე დამოკიდებული არ არის. იმედროულად, SPARCS-ით საჭირო ოპერატიული ინფორმაციის მიღება ათეულის დონის ქვედანაყოფისთვის ყველაზე თანამედროვე ტაქტიკურ უპილოტოსთან შედარებით უფრო სწრაფად ხდება.

ნორვეგიული კომპანია Prox Dynamics-ის მიერ შექმნილი ახალი თაობის კომპაქტური სადაზვერვო საშუალება — მინიატურული უპილოტო შევუღმფრენი Black Hornet Nano.

მისი მზიდი ხრახნის დიამეტრი მხოლოდ 100 მმ-ია. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის უწყების დაკვეთით დამზადებულ უპილოტო საფრენ აპარატს მცირე ტერიტორიების დაკავებისას ან შენობების განმენდისას იყენებენ. მისი მინიკამერა ვიდეოფოტოგრაფიებს აკეთებს და დანახულ გამოსახულებას ონლაინრეჟიმში Black Hornet Nano-ს კომპლექტში შემავალ 7-ინჩიან (177,8 მმ) ტაქტიკურ დისპლეიზე გადასცემს. 2013 წლის ოქტომბრიდან ავღანეთში მოქმედი ბრიტანული კონტინგენტი სოფლებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში განმენდითი ოპერაციების ჩატარებისას მინიატურულ უპილოტო შევუღმფრენს იყენებს.



გაპურული SPARCS-ისა და ებრაული Firefly-ის დახმულ სივრცე-შენობებში გამოყენება შეუძლებელია. შენობების განმედიხას თუ მძევალთა გათავისუფლებისას, დანაკარგის შესამცირებლად და მონინალმდევის შესახებ ინფორმაციის მისაღებად კი ძალოვანები სათვალთვალო ხელსაწყოს ხშირად საჭიროებენ.

2012 წელს მასაჩუსეტის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა სპეციალური ხელყუმბარა შექმნეს, სადაც ფეთქებად ნივთიერებათა ნაცვლად ვიდეო-კამერებია მოთავსებული. მისი გამოყენების პრინციპი მარტივია: მას შენობაში ან „გასანმენდ“ ოთახში აგდებენ. აფეთქებისა და მონინალმდევის განადგურების სანაცვლოდ, ის 360-გრადუსიან პანიორამულ ვიდეოგამოსახულებას იძლევა, რომელიც იმნამსვე სპეცრაზმის ხელთ არსებულ დისპლეიზე გადაეცემა.

ყუმბარას, რომელსაც Bounce ჰქვია, სფეროს ფორმა აქვს. მასში ვიდეოგამოსახულების მიმღები რ პატარა სენსორი-კამერაა განთავსებული. უშუალოდ სათვალთვალო ხელსაწყოების გარდა, სპეციალისტებმა სფეროში ტემპერატურის, მსუთავი აირისა და რადიაციის დასაფიქსირებელი დეტექტორებიც განაღაგეს. უნივერსალურობის



2001 წლიდან თვალთვალისა და დაზვერვის სხვადასხვა სისტემაზე მომუშავე კომპანია ODF Optronics-ის ერთერთი პროდუქტი Eye Ball-ია (ქართულად „თვალის კაკალი“). მცირე ზომის სფეროში კამერები და მოსასმენი აღჭურვილობა განთავსებული. მგრძნობიარე ელექტრონიკის კაუჩუკის სამი ფენა იცავს და 25 მ-ის რადიუსში ყველაფრის დანახვა-გაგება შეუძლია

წყალობით, Bounce-ის გამოყენება არა მხოლოდ საპოლიციო, საჯარისო და ანტიტერორისტულ დანაყოფებს, არამედ მამუელებსა და მეხანძრეებსაც შეუძლიათ.

ალექსანდრა ავაქიძე

Black Hornet Nano:
 ფრენის მაქსიმალური სიჩქარე — 35 კმ/სთ
 მოქმედების რადიუსი — 1000 მ
 ფრენის ხანგრძლივობა — 30 წთ
 ფრენის სიმაღლე — 10-30 მ
 წონა კამერით — 15 გ

უკრაინა თავს იცავს



რუსი სეპარატისტი უკრაინაში




უკრაინაში სლავინკში ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყო



სეპარატისტებმა სლავინსკის მილიციის განაირადეს



პრორუსულ მოსახლეობას სეპარატისტები ცოცხალ ფარად იყენებენ



უკრაინულმა სპეცრაზმელებმა უკრაინაში ტერორისტულ განაღდვურეს



დაპროპოლი ადმინისტრაციული შენობებისთვის ბრძოლაში სეპარატისტები ბოლომდე პარაზერენ




რუსი კაზაკები უკრაინის წინააღმდეგ



უკრაინის მოედნებს ფორალისტები ატეიურად აშუქებენ



უკრაინული სამართავლცამცველი გენერალური ბრძოლისთვის უზრუნველბენ



საზენიტო „შილკა“ სახმელეთო ბრძოლებში

1973 წლის ოქტომბერში ახლო აღმოსავლეთში არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის გოთხე ომში ირუმთა არაბთა არმიაში პირადი შიგადაგანგებობითა და სახმელრო ტექნიკით დიდ უპირატესობას ფლობდნენ, რის განეიტრალაბასაც ისრაელი ავიაციით შეეცადა.

ისრაელელი მფრინავები გამოსდილებითა თუ საბრძოლო სულისკვეთებით არაბებზე მთელი თმებით მაღლა იდგნენ და ამის მიუხედავად, ისრაელის ავიაციამ დიდი დანაკარგი განიცადა. ტყვედ აყვანილი მფრინავები ამობრძნენ, რომ დაბალ სიმაღლეებზე არაბთა „შილკების“ ცეცხლის წვიმა მთ დიდ მნიშვნელობაზე ასვლას აიკრძებდა, სადაც უკვე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების დარტყმის მსხვერპლი ხდებოდა.

1962 წლის სექტემბერში საბჭოთა არმიაში შეიარაღებაში მიიღო ЗСУ-23-4 Шилка — იმ დროისათვის, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო თვითმავალი საზენიტო დანადგარი. პირველად მოხერხდა ერთ დანადგარში ოთხი 23 მმ-იანი ავტომატური საზენიტო ქვემეხის, მიზნების თანმხლები რადიოლოკაციური სადგურის, გამომთვლელი და ოპტიკური სამიზნე ხელსაწყოების გაერთიანება, რითაც საჰაერო თავდასხმის საშუალებებთან ბრძოლა უფრო მოპოიური გახდა.

დანადგარის წინა-გაბარტული მახასიათებლები



მარშის დროს „შილკები“ კოლონების მთელ სიგრძეზე იყენებდნენ განაწინილებულულები და საჰაერო თავდაცვას ავტონომიურად ან ცენტრალიზებული მართვის რეჟიმში უზრუნველყოფდნენ

საჰაერო გზით გადატანისას საბჭოთა ყველაზე დიდი AN-22-სა და Ил-76-ის ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავების სატვირთო ნაკვეთურებზე იყო გათვლილი.


შეტყვისას „შილკები“ მონივრულად ქვედანაყოფებს უკან 400-600 მ-ის დაშორებით მიჰყვებოდნენ, ხოლო მარშის დროს კოლონების მთელ სიგრძეზე იყვნენ გადანაწილებული და გაშლილ ადგილებში ავიაციისგან დაცვას 2500 მ-ის რადიუსში ავტონომიურად ან ცენტრალიზებული მართვის რეჟიმში უზრუნველყოფდნენ.

თავდაპირველად, საბჭოთა არმიის სატანკო პოლკებში შტაბით „შილკის“ დივიზიონი იყო დამკვეთი ოთხ-ოთხდანადგარიანი ორი ბატარეის შემადგენლობით. შემდგომში მოტომსროლელი და სატანკო პოლკების საჰაერო თავდაცვის დივიზიონები „შილკებისა“ (ოთხი დანადგარი) და „ოსების“ (ოთხი დანადგარი) ოცეულებით დაკომპლექტდა.

70-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა არმიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ამერიკული ანტირადიოლოკაციური AGM-45 Shrike-ს ტიპის რაკეტებისგან დაცვა იყო. „შრაიკებს“ ამერიკელი მფრინავები ვიეტნამის ომში საბჭოური წარმოების C-75-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების როგორც სტაციონარული, ასევე მობილური რადიოლოკაციური სადგურების გასანადგურებლად იყენებდნენ.

რაკეტის პასიური რადიოლოკაციური თვითდამიზნების ქობინი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის სამიზნე რადარის სიხშირეთა განსაზღვრულ დიაპაზონზე რეაგირებდა და მას ანადგურებდა.

საბჭოთა სამხედროების აზრით, „შრაიკებთან“ ბრძოლას „შილკა“ შეძლებდა და გამოეცდა ონამირეში, 405-ე საზენიტო არტილერიის სასწავლო ცენტრშიც ტარდებოდა. ანტირადიოლოკაციური რაკეტის



„შილკის“ ბოლო მოდიფიკაციაზე 3СУ-23-4М4-ზე შემკვეთია სურვილით შეიძლება ხელით გადასატანი საზენიტო რაკეტების Илгн-ს ან Илгн-М-ის დაყენება

დანიშნულებას რეაქტიული ჭურვების საფუძველზე დამზადებული დაბალსიჩქარიანი (200-220 მ/წმ-ში) და მაღალსიჩქარიანი (500 მ/წმ-ში) იმიტატორები ასრულებდნენ.

გამოცდის დროს დანადგარის გათვალაზრებულ ნიშანსარ იცოდა იმიტატორის გაშვების დრო-მიმართულება და პოზიციას მისი შესაძლო ჩამოყარდნის რაიონში იკავებდა. ოპერატორი იმიტატორს ჰაერში ეძებდა და პოვნის შემთხვევაში თანხლებას „შილკის“ რადიოლოკაციური სადგურით აგრძელებდა.

ანტირადიოლოკაციურ რაკეტებთან ბრძოლის ამ-გვარი „ორიგინალური“ მეთოდი არაეფექტური გამოდგა. რადიოლოკაციური სადგურით დაბალსიჩქარიანი იმიტატორის „დაჭერისა“ და ავტომატური თანხლების ალბათობა თუ 0,8-ს შეადგენდა, მაღალსიჩქარიანის ვიზუალური „დაჭერა“ საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდა. არადა, „შრაიკის“ სიჩქარე წამში 1000 მ-ს აღწევდა. თუმცა, ოფიციალურ მიზნად რაკეტის გაშვების დროისა და ადგილის ნიშანსარ განსაზღვრის შეუძლებლობა დასახელდა.

„შილკის“ საბრძოლო ნათლობა არაბეთ-ისრაელის 1973 წლის ომში შედგა. საზენიტო დანადგარები სირიისა და ეგვიპტის არმიების ჯაგუმატანკო სამარშო კოლონებს, საჰაერო თავდაცვის კომპლექსებსა და ქვედანაყოფებს დაბალ სიმაღლეზე მფრინე თვითმფრინავებისა და შვეულმფრენებისგან იცავდნენ.

გამოყენების ეფექტურობაზე მაშინვე აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა.

სირიის ფრონტზე ჩამოგდებული ისრაელელთა 98 თვითმფრინავიდან „შილკებზე“ 11 მათგანი, ანუ 10%, ხოლო დანარჩენი კი გამანადგურებელ ავიაციასა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებზე მოდიოდა. თითოეულ განადგურებულ თვითმფრინავზე საზენიტო



ბუნდესვერის
თვითმავალი
საზენიტო
დანადგარი
Gepard-ი



დანადგარების გათვლებმა 3 300-დან 5 700-მდე ჭურვი გახარჯეს. ისიც გაირკვა, რომ ბრძოლებში სირიელები „შილკის“ რადიოლოკაციურ სადგურს პრაქტიკულად არც კი იყენებდნენ და უფრო საკუთარ თვალებს ენდობოდნენ, რადგან ოღროჩიღრო ადგილებში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში ისედაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე რადიოლოკაციური სადგურის სრულად გამოყენება შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, გათვლები სათანადოდ მომზადებული არ იყვნენ და როდესაც რადიოტექნიკასთან მუშაობა უჭირდათ, სამაგიეროდ, სირიელ მძლავრ-მექანიკოსებს უდაბნოსა და მთიან გარემოში „შილკების“ კარგი გამავლობა მოსწონდათ.

მრავალი დადებითი თვისების მიუხედავად, „შილკის“ უარყოფითი მხარეებიც არ აკლდა: სუსტი რადიოლოკაციური სადგური, საჭერო მიზნების აღმოჩენისა და საცეცხლე ზემოქმედების შეზღუდული დიაპაზონი, 23 მმ-იანი ჭურვების არასაკმარისი ძალა და სხვ. ამის გამო კი დანადგარი, როგორც საჭერო თავდაცვის საშუალება, მალე დაძველდა.

სამაგიეროდ, ჭურვების მაღალი სანისი სიჩქარისა და სროლის ტემპის ხარჯზე დანადგარმა სახმელეთო მიზნებთან ბრძოლის დიდი პოტენციალი გამოავლინა, რაც ავღანეთში საბჭოთა აგრესიული ომის დროს გამოჩნდა.

ავღანულ მოჯაჰედებს საავიაციო თავდასხმის საშუალებები არ ჰყავდათ, ხოლო საბრძოლო ტაქტიკა, ძირითადად, საბჭოთა არმიის კოლონებსა და ბლოკ-პოსტებზე მოულოდნელი თავდასხმებით შემოიფარგლებოდა.

მოჯაჰედები თავდასხმებისთვის პოზიციებს გაბატონებულ სიმაღლეებზე ირჩევდნენ, რომელსაც ტანკების თუ პირველი მოდელის ქვეითთა საბრძოლო მანქანების (БМП-1) ქვემეხების საპასუხო ცეცხლი ზოგადად ვერც სწვდებოდა.

სამაგიეროდ, სიმაღლეებზე კარგად მუშაობდა „შილკის“ ავტომატური ქვემეხი და 2 500 მ-ის რადიუსში ლამის შეველი კუთხიდან (დანადგარის სროლის მაქსიმალური ვერტიკალური კუთხე 87 გრადუსია)

ეფექტური ცეცხლის გახსნა შეეძლო. 23 მმ-იანი ჭურვები კი ჯავშანტანსპორტიორებს, ავტომობილებს, მსუბუქად გამაგრებულ საცეცხლე ნერტილებს, ალიზით ნაგებ შენობებს ადვილად ანადგურებდნენ.

სახმელეთო მიზნებთან ბრძოლებში დანადგარმა იმდენად გაამართლა, რომ შეიქმნა „შილკის“ სპეციალური ავღანური ვარიანტი. მას არ ჰქონდა რადიოლოკაციური ხელსაწყობის კომპლექსი და ამის ხარჯზე საბრძოლო კომპლექტი 2-ჯერ გახარდეს — ის 4 ათას გასროლას შეადგენდა. დამატებული ჰქონდა ღამის სამიზნე ხელსაწყობი და ჯავშნის ელემენტები. „შილკა“, როგორც ქვეითთა საცეცხლე საშუალება, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ომსა თუ კონფლიქტში მონაწილეობდა.

1992 წლის აგვისტოში ქართულმა არმიამ რუსების ახალციხის მე-10 მოტომსროლელი დივიზიონიდან სხვადასხვა სახის სახმელეთო ტექნიკასთან ერთად 8 თვითმავალი საზენიტო დანადგარი 3СУ-23-4 ШИЛКА მიიღო და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით რამდენიმე იყენებდა.

ყარაბაღის ომში ყარაბაღელთა განკარგულებაში 4 „შილკა“ აღმოჩნდა და ერთიც აზერბაიჯანელებს წაართვეს. ხუთივე დანადგარი საჭერო და სახმელეთო მიზნებთან ბრძოლებში იყო გამოყენებული. ყარაბაღელებს შრფასებით პირველ შემთხვევაში „შილკა“ ეფექტურობით 23 მმ-იან საზენიტო ავტომატ 3У-23-2-სა და 57 მმ-იან ავტომატურ საზენიტო ქვემეხ С-60-საც ბევრად ჩამოუვარდებოდა.

„შილკები“ დიდი რაოდენობით გამოყენა რუსეთის არმიამ ჩეჩნეთის პირველ ომში ქალაქ გროზნოზე შეტევის დროს. ომის წინ დუდავეის არმიასაც ჰქონდა 20-მდე „შილკას“ და დანადგარები საჭერო თავდაცვასთან ერთად ფედერალების ჯავშანტექნიკასთან ბრძოლის დანიშნულებასაც ასრულებდნენ.

ფედერალების უზარმაზარი უპირატესობის მიუხედავად, ჩეჩენმა მებრძოლებმა „შილკებით“ მონინა-აღმდეგეს არაერთი მტკივნეული დარტყმა მიაყენეს. 1995 წლის 4 თებერვალს ჩეჩენ-აულის სამხრეთით გამაგრებულ პუნქტზე შეტევისას ჩასაფრებიდან ჩეჩენ-



ბის „შილკამ“ ორ მოიერიშე Су-25-ს ცეცხლი გაუხსნა და ერთ-ერთი ჩამოავდო.

რუსული მონაცემებით, 1995 წლის 17 მარტისთვის ფედერალებმა დუდაევს 6 „შილკა“ გაუნადგურეს, ხოლო საკუთარი ზარალი კი საზენიტო საშუალებათა ცეცხლით დაზიანებული 14 თვითმფრინავით შეავსეს.

ივლისში ჩეჩნებს „შილკებით“, ДАХ-ებითა და სხვა საშუალებებით ორი Су-25 ჰქონდათ ჩამოგდებული და 24 — დაზიანებული.

გროზნოზე შეტევისას ფედერალების მოიერიშე ჯავშანჯგუფები 2 ტანკს, 4 ქვეითთა საბრძოლო მანქანასა და 2 „შილკას“ ან „ტუნგუსკას“ აერთიანებდა.

არმია „შილკებით“ ებრძოდა ჩეჩენთა საყრდენ პუნქტებს, საცეცხლე ნერტილებს, ყუმბარმტყორცველთა და სნაიპერთა ჯგუფებს, შეიარაღებულ სატრანსპორტო საშუალებებს.

დამუშავდა ტაქტიკა, სადაც შენობების მალალ სართულებში გამაგრებულ მებრძოლებთან ბრძოლებში მთავარი ადგილი თვითმავალ საზენიტო დანადგარებს დაეთმო. გამოძახების შემდეგ „შილკა“ პოზიციას წინა ხაზზე იკავებდა, წინასწარ გამოვლენილ მიზნებს ქვემეხების სამი-ოთხი ჯერით ამუშავებდა და შემდეგ ისევ თავშესაფარს უბრუნდებოდა.

გროზნოსთვის ბრძოლებში ისიც გამოჩნდა, რომ დასახლებულ პუნქტებში გაბარიტებისა და სამიზნეებიდან ცული ხედვის გამო დანადგარის გამოყენება სასურველ შედეგს ყოველთვის არ იძლეოდა.

თავის მხრივ, ჩეჩენი მებრძოლები „შილკას“ პირველხარისხოვან გასანადგურებელ მიზნად თვლიდნენ და ახლო მანძილზე (30-70 მ) ყუმბარსატყორცნებით (ПНГ-7 ან ПНГ-9), ხოლო შორის კი მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით ებრძოდნენ.

ჩეჩენეთის პირველ ომში ფედერალებმა სხვადასხვა მიზეზით 12 „შილკა“ დაკარგეს და მათ შორის 3 მათგანი ხელის ტანკსანინაღმდეგე ჭურჭების ზემოქმედების შედეგი იყო.

საპირო თავდაცვისთვის მოძველებული „შილკა“ სახმელეთო ბრძოლებისთვის კვლავინდებურად საჭირო საშუალებად რჩება და ამის თვალსაჩინო მაგალითი სირიის სამოქალაქო ომია.

საბჭოთა კავშირმა ბევრ ქვეყანას მიჰყიდა „შილკა“, მაგრამ ყველაზე მეტი — სირიას. ერთხანს მის არმიას დაახლოებით 400-მდე საზენიტო დანადგარი ჰქონდა.

2011 წლის მარტში ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო და სამთავრობო ჯარები აჯანყებულთა წინააღმდეგ „შილკებს“ იყენებენ. საზენიტო დანადგარები მოუძღვებნათ ტანკებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების კოლონებს, მონაწილეობენ ქალაქებისთვის ბრძოლებში, იცავენ ბლოკპოსტებს და სხვ.

დანადგარის ავტომატური ქვემეხების ცეცხლი ღია სივრცეებში აჯანყებულებისა და მსუბუქად გამაგრებული თავშესაფრების წინააღმდეგ ეფექტურია და შეტევისას სამთავრობო ჯარების საცეცხლე შესაძლებლობებს ბევრად აძლიერებს. ქალაქის ბრძოლებში კი „შილკები“ მსუბუქ ჯავშანტექნიკასა და ქვეითებთან ერთად მოქმედებენ. ქუჩაში მოძრაობისას დანადგარის გათვლას მიზანში ჰყავს ამოღებული შენობების ზედა სართულების ფანჯრები და საეჭვოს შემჩნევისას 23 მმ-იანი ჭურჭების რამდენიმე ვერს უშენს.

სირიის ქალაქების ვიწრო ქუჩები დანადგარის შესაძლებლობათა სრულად გამოყენების საშუალებას ყოველთვის არ იძლევა. ეს განსაკუთრებით შეეხება მრავალსართულიანი შენობების ზედა სართულებს, რომელთაც „შილკის“ ქვემეხების ცეცხლი ყოველთვის ვერ სწვდება.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თვითმავალი საზენიტო დანადგარი „შილკა“ საბრძოლო მწყობრში დგას და ამის მიზეზდავად, მრავალი ქვეყნის არმიას ის კვლავინდებურად ემსახურება.

მსავსი სახის საზენიტო დანადგარები სხვა ქვეყნებშიც გათვას შექმნილი, თუმცა, მათ შორის შეიარაღებაში დიდი განსხვავებაა.

1973 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თვითმავალი საზენიტო დანადგარის Gepard-ის სერიული წარმოება დაიწყო. დანადგარი ალტურვილია ორი 35 მმ-იანი ავტომატური ქვემეხით და სროლის ტემპი წუთში 1 100 ვასროლას აღწევს. „გეპარდის“ ბოლო მოდიფიკაციას აქვს მიზნების ამომოჩენი რადიოლოკაციური სადგური სამოქმედო რადიუსით 18 კმ.

თეპურ ჩაჩანიკა



სირიის არმიის საზენიტო დანადგარი საცეცხლე პოზიციაზე

მეორე მსოფლიო ომში წყალქვეშა ნავის მრავალმხრივი შესაძლებლობები გამოჩნდა და ნათელი გახდა, რომ მომავალ ბატალიებში წყლის სიღრმეში მალულად მოცურავე ხომალდი დიდი ზიანის მომტანი იყო. თანაც, წყალქვეშ სუბმარინის აღმოჩენა-განადგურება როგორც მცურავი საშუალებებისთვის, ასევე ავიაციისთვის კვლავინდებურად რთულ ამოცანად რჩებოდა.

ატლანტის ოკეანისათვის ბრძოლებში გერმანულ სუბმარინებზე „სანადიროდ“ ბრიტანელებმა ოთხძრავიანი მფრინავი ნაგები „სანდერლენდები“ მოისინჯეს და შედეგით უკმაყოფილონი არ იყვნენ. ანალოგიურ ამოცანებს ამერიკული „კატალინები“ და „კორონადოები“ წყნარ ოკეანეში ასრულებდნენ.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოსთვის შიდაწვისძრავიანი მფრინავი ნაგების ნაკლი შედარებით დაბალი



რეაქტიული მფრინავი ნაგები

სიჩქარე იყო, რასაც კორპუსის თავისებური ფორმა განაპირობებდა.

„ცივი ომის“ დანებდასთან ერთად აშშ-ში ახალი მფრინავი ნავის აუცილებლობა წარმოიშვა, საჭიროება კი საბჭოთა ფლოტში დიდი ოდენობით ახალი წყალქვეშა ნაგების მიღებამ განაპირობა.

პერსპექტიულ საფრენ აპარატს აშშ-ის შეიარაღებაში არსებული წყალქვეშა ნავსანიანადმდეგო შეიარაღების სრული სპექტრის, მათ შორის ატომური სიღრმული ბომბების გამოყენება უნდა შესძლებოდა. რეაქტიულ ენობაში ახალი თვითმფრინავი რეაქტიული ძრავებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი.

პროექტზე მუშაობას 1951 წელს ფირმა Martin-ი შეუდგა. P6M Sea Master-ს ოთხი რეაქტიული ძრავით („ზღვის მბრძანებელი“) 900 კმ/სთ სიჩქარე უნდა განვითარებინა.

Sea Master-ი იმ პერიოდისთვის ყველაზე თანამედროვე საავიაციო საშუალებებით აღიჭურვა: პილოტების კატაპულტინი სავარძლებით, ძლიერი სამიზნე-ნავიგაციური კომპლექსით, სამძებრო რადიოლოკაციური სადგურით, სუბმარინების აღმოსაჩენი მაგნიტური ანომალიების დეტექტორით, დისტანციურად მართვადი კუდის საცეცხლე დანადგარით (ორი 20 მმ-იანი ქვემეხი) და ა.შ..

თვითმფრინავის სუსტი ადგილი შეიარაღების ჩამოკიდების სირთულე იყო, რისთვისაც თვითმფრინავზე დროებითი შასის დამაგრება და მისი წყლიდან ამოყვანა იყო საჭირო. ოპერაციის გასამარტივებლად კონსტრუქტორებმა P6M-ს ფიუზელაჟს ზემოდან სპეციალური ლიუკი გაუკეთეს, საიდანაც თვითმფრინავში სიღრმულ ბომბებსა და ტორპედოებს მცურავი ამ-ნე ტვირთავდა. პრაქტიკაში ყოველივე ეს დიდ დროსა და სიფრთხილს მოითხოვდა.

ტექნიკური სირთულეებისა და მზარდი ღირებუ-

ლების მიუხედავად, აშშ-ის ფლოტი P6M-ის პროექტს უხვად აფინანსებდა. პირვანდელი გეგმა ორი პროტოტიპისა და ოთხი საცდელი თვითმფრინავის აგებას ითვალისწინებდა. ცალკე ხელშეკრულება ფირმა Martin-ის ექსპლუატაციისათვის საჭირო აღჭურვილობისა და მცურავი დოკის შექმნას ავალდებულებდა.

Sea Master-ი პირველად 1955 წლის 14 ივლისს აფრინდა და მისი სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა — იმავე წლის 7 დეკემბერს მან კატასტროფა განიცადა. ინციდენტის მიუხედავად, რომელმაც ეკიპაჟის ოთხივე წევრი შეინირა, პროექტზე მუშაობა გაგრძელდა. მომავალ წელს აშშ-ის ფლოტმა მწარმოებელ კომპანიასთან 24 თვითმფრინავზე 120-მილიონიანი ხელშეკრულება გააფორმა.

ბირთვული იარაღის მატარებელი მფრინავი ნავის მოსამარაგებლად მოდერნიზებული ხომალდის —



ჰიდროავიაციის მცურავი ბაზის AV-5 Albatross-ს გამოყენება იგეგმებოდა, რისთვისაც ხომალდზე სანავაის, იარაღის, სათადარიგო ნაწილების სათავსები და სახელისწილები განთავსდა.

ტექნიკურ სირთულეთა გარდა, Sea Master-ის პროექტზე დადგენილი 1956 წლის ბოლოს მომზადრმა კიდევ ერთმა კატასტროფამ იმოქმედა. თანდათანობით სამხედროების ინტერესი თვითმფრინავის მიმართ განელდა და შეკვეთილი თვითმფრინავების რიცხვი 18-მდე შემცირდა. ერთხანს მის ბაზაზე საზღვაო მფრინავი ტანკერის შექმნა გადაწყდა, მაგრამ პროექტს ვერც ახან უშვებდა.

1959 წელს ფლოტმა Sea Master-ის კონცეფციას გადახედა და პროექტზე საბოლოოდ უარი თქვა. იმ პერიოდისთვის საგემბანო ავიაცია წყალქვეშა ნავსანიშნალმდეგო ამოცანებს შესანიშნავად ართმევდა თავს. იმავდროულად, მფრინავი ნავის ექსპლუატაცია დამოკიდებული იყო ამინდზე, რომელიც ოკეანეში სშირად იცვლებოდა. პროექტის დახურვის შემდეგ აგებული თორმეტივე P6M ჯარაოდ დაიჭრა.

50-იან წლებში რეაქტიული ჰიდროავიაციის მიმართულება აშშ-ში იმდენად პოპულარული იყო, რომ საავიაციო ფირმები ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მუშაობდნენ. ერთ-ერთი ზებეგერით რეაქტიულ ჰიდროთვითმფრინავ-გამანადგურებელს შეეზებოდა, რომელსაც ფლოტის დაკვეთით 1948 წლიდან ფირმა Convair-ი აპროექტებდა.

Convair-ი ყოველთვის ინოვაციური პროექტებით გამოირჩეოდა. სწორედ მისმა კონსტრუქტორებმა შექმნეს მსოფლიოში პირველი საკონტინენტაშორისო სტრატეგიული ბომბდამშენი B-36 Peacemaker-ი (ის დღესაც მსოფლიოში ყველაზე დიდი ფრთის გაქანის მქონე დამრტყმელი თვითმფრინავია) და B-58 Hustler-ი — მსოფლიოში შორი მოქმედების პირველი ზებეგერითი ბომბდამშენი.

რეაქტიული საგემბანო ავიაციის მასობრივად გამოჩენამდე აშშ-ის ფლოტი ძალთა კომპენსირებას რეაქტიული ჰიდროავიაციით შეეცადა. საგემბანო თვითმფრინავებთან შედარებით, მათი ექსპლუატაცია ძვირად ღირებულ ავიამზიდებს არ საჭიროებდა. ამ მიმართულებით ამერიკელებს შორს მიმავალი გეგმა ჰქონდათ. სადესანტო ოპერაციებისას, ისეთ ადგი-

ლებში, სადაც სახმელეთო აეროდრომები არ იყო, რეაქტიული ჰიდროავიაციის დიდი უპირატესობა ჰქონდა ხმელეთზე პლაცდარმის დაკავების შემდეგ თვითმფრინავი ნაპირზე გასაშლელი ნანდუსებით გადმოჰყავდათ, ხოლო სანავაით განწყობა, შეიარაღებითა და სათადარიგო ნაწილებით მომარაგება სპეციალური უზრუნველყოფის გემებზე იყო დამოკიდებული.

კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე, ჰიდროთვითმფრინავები ყოველთვის დაბალი საფრენისნო მახასიათებლებით გამოირჩეოდნენ. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი იაპონური ტივტივებიანი ჰიდროთვითმფრინავი A6M2-N-ი, რომელიც „ზეროს“ საზღვაო ვარიანტი იყო, ერთხანის ორავებით სახმელეთო ანალოგზე 110 კმ/სთ-ით ნაკლებ სიჩქარეს ავითარებდა.

ჰიდროთვითმფრინავებისთვის დამახასიათებელი ხარვეზების შესამცირებლად Convair-მა საკმაოდ ორიგინალური კონსტრუქცია შეიმუშავა. წყალში თვითმფრინავი ნახევრად დაძირული იყო და წონასწორობის შენარჩუნებას ტივტივების სანაცვლოდ, ფრთები უზრუნველყოფდნენ. წყლიდან აფრენა-დაფრენა ჰიდროთხილა-

F2Y დემდე ერთადერთი რეაქტიული ჰიდროთვითმფრინავია, რომელმაც ფრენისას, ბეგრის სიჩქარე განავითარა




პროექტის ამბიციურობის მიუხედავად, „ზღვის მბრძანებლის“, ისევე როგორც სხვა მფრინავი ნავების, ექსპლუატაცია ამინდზე დამოკიდებული

მურების გამოყენებით ხორციელდებოდა, რომლებსაც ტრადიციული მასის მსგავსად აკეცვა-გაშლის სისტემა ჰქონდა. პერსპექტიული F2Y Sea Dart-ის პროექტმა ფლოტის მოწონება დაიმსახურა და 1951 წელს Convair-ს ორი პროტოტიპის აგება დაუკვეთეს. მომავალ წელს, ჯერ კიდევ თვითმფრინავის ჰაერში აფრენამდე, დაკვეთილი ერთეულების ოდენობა 12-მდე გაიზარდა.

Sea Dart-ი პირველად 1953 წლის 9 აპრილს აფრინდა და მშვენივრად დაფრინავდა, პრობლემა წყალზე მოძრაობისას წარმოიქმნა. 96 კმ/სთ სიჩქარის გადაჭარბებისას თხილამურები ვიბრირებას იწყებდნენ, ზოგჯერ იმდენად ძლიერად, რომ პილოტის კაბინაში მოწყობილობები მწყობრიდან გამოდიოდა. ტალღები ვიბრაციას კიდევ უფრო აძლიერებდნენ და წარმოქმნილი რეზონანსი საფრთხეს თვითმფრინავის კონსტრუქციას უქმნიდა.

რეაქტიული მფრინავი ნაგების შექმნაში ბრიტანელთა პირველობის მოუხედავად, თვითმფრინავი SR/A.1 მხოლოდ 3 ერთეული აიგო



რეაქტიული მფრინავი ნაგების შექმნაში პირველობა ბრიტანელ ინჟინერებს ეკუთვნის. 1944 წელს საფეო სამხედრო ავიაციის სამინისტრომ ჰიდროთვითმფრინავ-გამანადგურებლის შექმნის განკარგულება გასცა. განვიხილო მოთხოვნები ერთ-ერთ პუნქტად პერსპექტიულ მფრინავ ნაგზე რეაქტიული ძრავების გამოყენება სახელდება. პროექტის რეალიზება ფირმა Saunders-Roe-მა დაიწყო.

ორძრავიანი გამანადგურებლის შეიარაღება ოთხი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევისგან შედგებოდა, ხოლო ფიუზელაჟს მფრინავი ნავისთვის დამახასიათებელი ფორმები ჰქონდა. წყალზე მოძრაობისას სიწინასწორობის შენარჩუნებისთვის დამატებითი ტვირთები გამოიყენებოდა, რომლებიც ფრენისას ფრთაში იკეტებოდნენ.

პირველად SR/A.1 ჰაერში 1947 წლის 16 ივნისს აფრინდა. გამოცდაზე თვითმფრინავმა 824 კმ/სთ განავითარა, რაც ამ ტიპის საფრენი აპარატისთვის საკმაოდ კარგ მაჩვენებლად ჩაითვა. SR/A.1-ის სამი ეგზემპლარი აიგო. ორმა მათგანმა კატასტროფა განიცადა. 50-იან წლებში პროექტი დაიხურა და მსოფლიოში პირველი რეაქტიული ჰიდროთვითმფრინავ-გამანადგურებლის ბოლო — მესამე პროტოტიპი საზღვურში ექსპონატად იქცა.

სანამ კონსტრუქტორები ვიბრაციას ჰიდროთვითმფრინავის კონსტრუქციის შეცვლით ებრძოდნენ, 1953 წლის ბოლოს დასრულებულმა კორეის ომმა თავდაცვითი ხარჯები შეამცირა. შეკვეთილი Sea Dart-ების რაოდენობა 12-დან 3-მდე შემცირდა. 1954 წლის 3 აგვისტოს პიკირებისას F2Y-მა ზებგერითი სიჩქარე განავითარა და დღემდე ბერის ბარერის „გადაბიჯებული“ ერთადერთი ჰიდროთვითმფრინავია.

დაბალი მახასიათებლებისა და როული ექსპლუატაციის გამო, Ee-10 შეიარაღებაში მხოლოდ 9 წელი იყო



ასალი ძრავებისა და ზოგიერთი სისტემების გაუმჯობესების მოუხედავად, ვიბრაციის პრობლემა კვლავ გადაუჭრელია. ღია ზღვაში ჰიდროთვითმფრინავმა კიდევ უფრო დაბალი ეფექტურობა გამოავლინეს. 1954 წლის 4 ნოემბერს სადემონსტრაციო ფრენისას თვითმფრინავის პროტოტიპი მაყურებელთა ტრიბუნების წინ ჰაერში დაიშალა და ზღვაში ჩაჯარდა. მფრინავი დაიღუპა. ინციდენტმა პროექტს დიდი დარტყმა მიაყენა და მალე ფლოტმა მასზე უარი თქვა. გაუთავებელი ხარვეზები: ვიბრაცია, გართულებული მართვითა აფრენა-დაფრენისას, ზღვის მარილიანი წყლის მავნე ზემოქმედება თვითმფრინავის კონსტრუქციავ ჰიდროთვითმფრინავ-გამანადგურებლისთვის დამახასიათებელ ყველა უპირატესობას ჩრდილავდა. პროექტი დაიხურა და მას შემდეგ რეაქტიული ჰიდროავიაციაში ამერიკელებმა მუშაობა პრაქტიკულად შეაჩერეს.

ალექსანდრე ავაქიძე

რეაქტიულ ჰიდროთვითმფრინავებზე სსრკ-შიც მუშაობდნენ. ამ ტიპის საფრენ აპარატებზე, ისევე როგორც სხვა მფრინავ ნაგებსა და ამფიბიებზე, გიორგი ბერივეის (ბერიაშვილი) საკონსტრუქტორო ბიურო მუშაობდა. 1952 წლის 20 მაისს ჰაერში აფრინდა პირველი საბჭოური რეაქტიული მფრინავი ნავი P-1. მიღებული მონაცემები კი მსოფლიოში პირველ და ერთადერთ სერიულ სამხედრო რეაქტიულ მფრინავ ნავ Ee-10-ს დაედო საფუძვლად. 3300 კგ-იანი სასარგებლო დატვირთვით Ee-10-ის გამოყენება ბომბდამხმენად და წყალქვეშა ნავსანი-ნალამდეგო თვითმფრინავად იყო ჩაფიქრებული. შეიარაღებაში მიღების შემდეგ Ee-10-ეგით მხოლოდ შავი ზღვის ფლოტის 318-ე ცალკეული საზღვაო ავიამოლო აღიჭურვა. სერიული წარმოება 27 ერთეულის აგებით დამთავრდა. 1968 წელს არადამაკმაყოფილებელი მახასიათებლებისა და როული ექსპლუატაციის გამო (საკუთარი შასის არქონის გამო, თვითმფრინავის წყლიდან ამოყვანისთვის და უკან დასაბრუნებლად 3 მყვინთავს დროებითი თვლების დამაგრებისთვის 10-15 წთ სჭირდებოდა) თვითმფრინავი შეიარაღებიდან მოხსნეს.

ქართული ფლოტის პირველი სარდალი



ქართული ფლოტის პირველი სარდალი — პირველი რანგის კაპიტანი ალექსანდრე ჭავჭავაძე

ბათუმში 1918 წლის 5 მარტს (18 მარტს) დილით ქართული გვარდიის ქვედანაყოფებმა პორტისკენ მიმავალი ქუჩები გადაკეტეს და რეიდზე მდგომი რუსული გემების ეკიპაჟების დაკავებას შეუდგნენ.

ოპერაციის წარმატებით დასრულება ბათუმის ერთ-ერთ სასტუმროში „საზღვაო თათბირით“ აღინიშნა. მსჯელობა პორტში უპატრონოდ დარჩენილ ფლოტს შეეხებოდა, თუმცა, მონაწილეთაგან არც ერთს წარმოადგენდა კი არ ჰქონდა, თუ რა იყო სამხედრო ხომალდი ან საზოგადოდ, საზღვაო საქმე.

„ვიღაცამ თქვა: „ბათუმში არის ადმირალი“ ჭავჭავაძე, დავუძახხოთ, ის გვეტყვი და შეიძლება ჩაიბაროს კიდევ“—აო.

ალბათ, იმავე სასტუმროში აღმოჩნდა, რადგან ხუთი წუთიც არ გასულა, მხედრული ფეხის ბაკუნით შემოვიდა დაბალი ტანის შავ-შავი კაცი, საზღვაო ფორმაში გამოსწობილი, რამდენიმე ჯვრითა და ოქროს ბუზმენტებით. პირველად ვხვდავდი, მაგრამ ნამდვილად „ზღვის მგელს“ მოგავგონებდათ. მხედრულად გამოგვეჩქმა, საფეთქელზე ხელი მიიღო და მოგვმართა: „რას მიბრძანებთ?“

ასე იხსენებდა რევაზ ვაბაშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძესთან პირველ შეხვედრას.

იმ დროისათვის ბათუმში ლეიტენანტ ალექსანდრე ჭავჭავაძეს შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილის 1918 წლის 24 იანვრის (6 თებერვლის) 182 ბრძანებით შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისა და ამიერკავკასიის პორტების უფროსობა ებარა. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო კი მოიცავდა ზღვის პირა ზოლს ნოეოროსისიკიდან ტრაპიზონამდე.

ვინ იყო ლეიტენანტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელმაც ქვეყნისთვის ერთობ მნიშვნელოვანი საზღვაო თანამდებობა ჩაიბარა?

1868 წლის 17 ოქტომბერს (30 ოქტომბერი) კალუგის გუბერნიის მასალსკის მაზრის ერთ-ერთ სოფელში თავად მამუკა რომანის ძე ჭავჭავაძესა და პრასკოვია ნიკოლოზის ასულ ხალჩინისა ორი ქალიშვილის შემდეგ პირველი ვაჟი — ალექსანდრე შეეძინათ.

მოგვიანებით ჭავჭავაძეების მრავალრიცხოვანი ოჯახი (მათ ხუთი შვილი ჰყავდათ) საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და 1885 წელს ალექსანდრე თბილისის კადეტთა კორპუსში შევიდა. მაგრამ მომავალ სახბელეთო ოფიცერს თურმე მეზღვაურობა ჰქონია გადაწყვეტილი და ოცნების ასასრულებლად სასწავლებელი მიატოვა.

1893 წლის 11 მაისის გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა ალექსანდრე ჭავჭავაძის „მეზღვაურის მონათხრობი“, სადაც ის იხსენებდა:

„მაინ რიდის რომანების გავლენით მეორე კლასში ვოცნებობდი ამერიკაზე, ველურებზე, უდაბურ ტყეებზე და ერთხელაც მოვავროვე ქალაქის პუბლიკური კორპუსის სადღეღობიდან მონარჩენები პურისა და ხორცის ნაჭრები, ავიყოლიე ერთი ამხანავთანი და შაბათ დღეს გავიქეციე ამერიკაში. ღამე წამოგვეწია ქალაქიდან მეორე სადგურზე (ავჭალა), შემინებულები ავძვევრით ხეზე და იქ გავათიეთ ღამე“.

მეორე დღეს გაქცეულები უკან დაბრუნდნენ და სასჯელად პაუპტვახტში ჩაჯდომამ მოუწიათ. მარცხის მიუხედავად, ზღვის მოყვარული ყმაწვილი ახლა საზღვაო კორპუსში გადასასჯელად მოშობლების დაყოფიებას შეეცადა. მიზანდასახულმა ალექსანდრემ სახანდელს მიიღწია და 1887 წელს ფოთში მიხაკის საზღვაოსნო კლასებში (საზღვაო სასწავლებელში) ჩაირიცხა.

საქართველოში ყველაზე ძველი საზღვაო სასწავლებელი ფოთში 1880 წლის 8 ნოემბერს (21 ნოემბერი) გაიხსნა და მას სათავეში ედგა გამოცდილი სკიპერი ფეოვან ლეხინციკი.

1887 წელს ალექსანდრემ გამოცდები ჩააბარა შორეული ნავსადგომის მტურმანის ნოდების მისაღებად და იალქინა ხომალდებზე ცურვას შეუდგა.

ამერიკული ოთხანობიანი, 4 ათასი ტონა წყალწყვის Robert I. Belknap-ი იაპონიის პორტებში ხეტყით, ქაფურით, ჩიკაგოს გამოფენისთვის სახელგანთქმული იაპონური ფაიფურით დაიტვირთა და ნიუ-იორკისაკენ აიღო გეზი.



1904 წელი ვლადივოსტოკი, რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე ოფიცერთა ჯგუფი. შუა რიგში მარჯვნიდან პირველი — მიჩმანი ალექსანდრე ჭავჭავაძე

დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი და მიჩმანი ჭავჭავაძე გაგზავნეს შორეულ აღმოსავლეთში, სადაც 1904 წლის 7 სექტემბერს (20 სექტემბერი) ვლადივოსტოკის კრეისერთა რაზმში ნაღმოსან №203-ზე ვახტანგ უფროსად დაინიშნა.

იმ დროისათვის შეიარაღებითა და ტექნიკური პარამეტრებით მოძველებული ნაღმოსანი კრეისერებთან ერთად მონაწილეობდა იაპონიის სანაპიროზე თავდასხმებში, ებრძოდა მონინალმდევის საზღვაო ვაჭრობას, უზრუნველყოფდა წყალქვეშა ნაგების გამოცდა-გამართვას.

1905 წლის 4 ნოემბერს (17 ნოემბერს) მიჩმანმა



ნაღმოსანი №203, რომელზეც ქართველი ოფიცერი მსახურობდა

1889 წლის 8 იანვარს (21 იანვარს) ზონდის სრუტისაკენ ცურვის დროს ხომალდი (სუმატრასა და იავას შორის) კუნძულ ნორდ-ნატიუთან წყალქვეშა მარჯანს გამოედო და ჩაიძირა.

უახლოეს კუნძულამდე 29 ცაცმა მიაღწია. შემდეგ ხუთი მათგანი და მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძე კაპიტნის მე-2 თანაშემწემ დახმარების გამოსაძახებლად კანჯოთი სინგაპურისკენ წაიყვანა.

გადასაცური ჰქონდათ არცთუ მცირე 360 მილი, სადაც მეზღვაურებს რამდენჯერმე ძლიერი შტორმის გადატანა მოუხდათ და მალაის სანაპიროს მხოლოდ მეზუერი დღეს მიაღწიეს.

სინგაპურიდან ალექსანდრე რუსული კრეისერი „დმიტრი დონსკოი“ პორტ-საიდში ჩავიდა, საიდანაც სატვირთო-საგზავრო გემმა „რიხაჩევი“ ოდესში ჩამოიყვანა. ხანგრძლივი ცურვის შემდეგ, როგორც იქნა, საქართველოში ჩამოაღწია, მაგრამ ზღვის სიყვარული არ ასვენებდა და ისევ გემის სავალ ბიძურზე აღმოჩნდა.

ამჯერად მას ცურვა „როსისიკოე ომჰენსტეო პაროხოლსტეო ი ტორგოლის“ ტანკერ „ბლესკზე“ მოუხდა.

ტანკერი ბათუმში დაიტვირთა ნავთობით, რომელიც ჰამბურგში უნდა ჩაეტანა, მაგრამ 1896 წელს 1-2 დეკემბერს „ბლესკი“ სერიოზული ნავიგაციური შეცდომის გამო დევონის საგრაფოსთან (სამხრეთ ინგლისი) კლდეზე აღმოჩნდა და ბათუმიდან წამოღებული 2 ათასი ტ ნავთი ზღვაში დაიღვარა. ეს შემთხვევა მსოფლიოში მსგავსი სახის პირველ ეკოლოგიურ კატასტროფად ითვლება.

1900 წელს ალექსანდრემ ჩამელმნიფო სადიპლომომ გამოცდები ჩააბარა კაპიტან-შკიპერის ნოდები-სათვის და ცურვა განაგრძო. მომავალ წელს სანქტ-პეტერბურგში საზღვაო კორპუსში შევიდა და 1902 წელს მიჩმანის ნოდება მიიღო.

ჭავჭავაძემ ნაღმოსანი №202 ჩაიბარა და ერთხანს ვლადივოსტოკის მისასვლელების ნაღმებისგან გასანმენდ ოპერაციებში მონაწილეობდა.

ომიდან დაბრუნებული მიჩმანი ნადეჟდა სუხოლოსკიაზე დაქორწინდა და მუშაობა დაიწყო მდინარე ვოლგაზე სამდინარო ტრანსპორტის მოძრაობის სამსახურის ინსპექტორად. თადარიგში ყოფნის დროს ალექსანდრე ჭავჭავაძემ 1914 წლის 28 ივლისს ლეიტენანტის ნოდება მიიღო.

დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ბალტიის ზღვაში მტრალავი ხომალდების ნაკლებობის გამო 1915 წლის 22 იანვარს (4 თებერვალი) რუსეთის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საზღვაო მინისტრის წინადადება საზოგადოება „სორმოკოს“ ექვსი ბარკასის მიწმამზავეი ქარავიდან ბალტიის ფლოტის დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ.

გემების გადაყვანა ბაქოდან სანქტ-პეტერბურგში დაევა ლეიტენანტ ჭავჭავაძეს, რისთვისაც მან ექვსივე გემის მანქანები და მექანიზმები პირადად შეამოწმა.

1916 წლის 24 მარტს ბარკასები ბაქოდან გამოვიდნენ და პეტროვსკის გავლით ასტრახანში ჩავიდნენ,



საიდანაც ცურვა მდინარე ვოლგის აღმა გაგრძელდა და 5 მისს პეტროგრადს მშვიდობიანად მიალწის.

1918 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე თბილისში ჩამოვიდა და მუშაობას შეუდგა ამიერკავკასიის კომისარიატის სამხედრო-საზღვაო კომისართან არსებული ეროვნებათმორისი სამხედრო საბჭოს სამხედრო-საზღვაო სექციამში.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ ეროვნებათმორისი სამხედრო საბჭოს 1918 წლის 5 იანვრის (18 იანვარი) 6 ოქმი:

„ომის გამო, რომ თითქმის მთელი შავი ზღვის ფლოტი და ნაწილობრივ შავი ზღვის სანაპირო ამიერკავკასიის საზღვრებში ტერორიზებულია, რის გამოც ტრანსპორტირება ძლიერ გართულებულია და შემდგომში მოსალოდნელია მისი საბოლოო განადგურება, საქართველოს ეროვნული საბჭოს სექცია უმორჩილესად გთხოვთ, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისა და ამ ზღვის ამიერკავკასიის პორტების უფროსად დაინიშნოს ლეიტენანტი ჭავჭავაძე, რომელსაც დაემორჩილება ყველა გემი პირადი შემადგენლობით, რომლებიც იმყოფებიან და დაცურავენ ამ რაიონში“.

ეროვნებათმორისი სამხედრო საბჭოს მომდევნო ოქმი ფლოტის აუცილებლობას უკიდურესად საჭიროდ მიიჩნევდა, ამიტომ ბათუმში ყველა ბოლშევიკური გემის სასწრაფოდ დაკავებისა და ბოლშევიკი მეზღვაურებისგან განმეხდის მიზნით ლეიტენანტ ჭავჭავაძის ვაგ ზანას მართებულად თვლიდა.

დავალების შესასრულებლად მას პირად განკარგულებაში უნდა ჰყოლოდა აფხაზავას რაზმი, ხოლო ადგილობრივ ორგანიზაციებს, არტილერიასა და ქართულ პოლკს მისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობა მოეთხოვებოდათ.

ზემოთ მოყვანილი ოქმებიდან კარგად ჩანს, რომ ბათუმის ოპერაციის მზადებაში ლეიტენანტი ჭავჭავაძე დიდ როლს თამაშობდა, რადგან მაშინდელ

საქართველოში საზღვაო საქმე მასზე უკეთ არცაა ვინ იცოდა. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ 1918 წლის მარტს ბათუმში სავაგებო მატარებლით ჩამოსულ ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორს აზიზის მოედანზე ბათუმის სამხედრო კომენდანტი, გენერალ-მაიორი ზაქარია მდვიანი და მისი თანამემწე ლეიტენანტი ალექსანდრე ჭავჭავაძე შეეგებნენ.

მაღვ გამოვიდა სამხედრო-საზღვაო კომისარ ვლადიმერ გობეჩიას ბრძანება:

„სამსახურში თავის გამოჩენისთვის, თვალსაჩინო განკარგულებისთვის, გამბედაობისა და მამაცობისთვის, რომელიც გამოიჩინეს ბათუმის ნავსადგურის ამბოხებულ გემთა იარაღის აყრაში: ლეიტენანტ ალექსანდრე ჭავჭავაძეს მეორე რანგის კაპიტნობა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხედრო გემების მთავარსარდლობა ებოძა“.

იმ პერიოდის პრესაში რეგულარულად იბეჭდებოდა ფლოტის უფროსის, ჭავჭავაძის ხელმოწერით გამოგზავნილი დეპეშები, სადაც ლაპარაკი იყო თურქების წინააღმდეგ ქართული სწრაფმავალი კატარდების „გურულის“, „კახელის“, „აფხაზის“, „აჭარელის“, დამხმარე კრეისერის „კაროლ კარლოსის“, შეიარაღებული გემის „მინდა მიხეილის“ მოქმედებათა შესახებ.

ახალშექმნილმა ფლოტმა ბათუმს ვერ უშველა, მაგრამ ქართველმა მეზღვაურებმა მიიღეს ის გამოცდილება, რომელიც 1918 წლის გაზაფხულ-ზაფხულში აფხაზეთში ომის დროს გამოადავთ.

1919 წლის 15 იანვარს სამხედრო მინისტრმა გრიგოლ გაიორგაძემ ხელი მოაწერა 6 ბრძანებას და ამიერკავკასიის ფლოტის ყოფილი სარდალი, I რანგის კაპიტანი ჭავჭავაძე ფოთის სამხედრო ნავსადგურისა და სამხედრო გემების რაზმის უფროსად დაინიშნა. მაგრამ უფროსობა დიდხანს არ დასცალდა — 1919 წლის 10 მარტის საქართველოს მთავრობის



1910 წლის შემოდგომა, მდინარე ვოლგა. მხედრო სახელგანთქმულ რუს მომღერალთან ფეოდორ შლიაპინთან



გადანყვეტილებით სამხედრო პორტის უფროსის თანამდებობა ლეიტენანტმა თაყაიშვილმა დაიკავა, ხოლო 11 მარტიდან ალექსანდრე ჭავჭავაძემ გენშტაბში სამხედრო-საზღვაო სექცია ჩაიბარა.

მეზღვაურებში ალექსანდრე ჭავჭავაძე ყოველთვის დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა, რაც კიდევ ერთხელ 1919 წლის 12 მარტს გამოჩნდა.

იმ დღეს ფოთში გამანადგურებელი „პატარა კახი“ რემონტის შემდეგ წყალში ჩაეშვა და შორეული ცურვის შტურმანმა კაპიტანმა გოგავამ გამოგზავნა დეპუტატი:

„დღეს ეროვნული დღესასწაულისა და რევოლუციის მეორე წლისთავზე წყალში ჩაშვებულია გამანადგურებელი „პატარა კახი“. მე დროებით მივიღე გამანადგურებლის მეთაურობა და ის და პ/შ სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მოვიყვანე. მე და ჩემი მოადგილეები, ყველა სამხედრო მეზღვაური მზად ვართ ჩვენთვის ძვირფასი რესპუბლიკის დასაცავად. მტკიცედ გვჯერა და გვაქვს სიამაყე, რომ ფოთი ჩვენი მეზღვაურების მამის 1 რანგის კაპიტან ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, როგორც გრივალის დაესხმება და ნალექავს მტერს“.

1920 წლის 1-ლი აგვისტოდან ალექსანდრე ჭავჭავაძე ფოთის პორტის უფროსი და როგორც ყველაზე გამოცდილმა მეზღვაურმა, მთავრობისგან სპეციალური დავალება მიიღო — ბათუმში უნდა ენახა ბრიტანული ხომალდები, რომელთა შექენასაც საქართველო აპირებდა.

ფოთის პორტში სამსახური ქართველი მეზღვაურისთვის ერთი უსიამოვნო შემთხვევის გამო ხანმოკლე აღმოჩნდა.

1921 წლის 18 იანვარს გზათა დეპარტამენტში შეტყობინება შევიდა, რომ ფოთის პორტიდან რუსული გემი „პრინციპი“ გაიპარა და ამაში ნავსადგურის უფროსი ჭავჭავაძე დაეხმარა. ამ საქმეში მთავარ და უეჭველ დამნაშავედ გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ბესიკ ჭიჭინაძემ ალექსანდრე ჭავჭავაძე დაასახელა, რის გამოც ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და დააპატიმრეს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის დასაცავად ხმა აღიმალდა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ. გენერალი იხსენებდა:

„დააპატიმრეს მუდამ ბედნავსი მეზღვაური სამაჭავჭავაძე. მას თურქებთან ურთიერთობაში ისეთივე ბრალი მოუძღვდა, როგორც მე ჩინელებთან. სანაჭავჭავაძე არასოდეს ეთანხმებოდა მმართველ წრეებს საზღვაო უწყების წარმართვისას. ამას არც ფარავდა. ნ. რამიშვილს მისი განთავისუფლება ვთხოვე; ვარწმუნებდი, მას თურქებთან არანაირი კავშირი არა აქვს-მეთქი. იგი გაათავისუფლეს“.

1921 წლის 11 თებერვალს გაზეთმა „საქართველომ“ ფოთის მეზღვაურ-მუშა-მოსამსახურეთა კრების ოქმი დაბეჭდა, სადაც შინაგან და გზათა მინისტრებს გამოძიების დასრულებამდე ჭავჭავაძის თანამდებობაზე დატოვებას სთხოვდნენ.

სავაზეთო სტატიაში ნათქვამია, რომ 1920 წლის 1-ელ აგვისტოს, როცა ჭავჭავაძე დაინიშნა ფოთის ნავსადგურის უფროსად: „შეაკეთა ბინები, საბაჟოს ზედმეტი ბინები ჩამოართვა და მუშა-მოსამსახურეები ჩაასახლა, შეაკეთა სახელოსნო, მაგრამ რეაქციონერებს შეშურდით ყოველივე ის და უსახელო საჩივარს საჩივარზე უგზავნიდნენ მთავრობას და მოლაღატედ ნათლავდნენ: „მან გააპარა რუსების გემი „პრინციპი“ და სხვა“-ო, მაგრამ არ არის მართალი, ამისი თავდები ჩვენა ვართ“.


ნავსადგურის მოსამსახურეთა აზრი, ალბათ, ყველაზე უკეთ ახასიათებს ამ პიროვნებას, რომელსაც საკუთარი ცოდნა-გამოცდილების ქვეყნის სამსახურში ჩაყენების დიდი სურვილი ამოძრავებდა და ამ მიზნს თითქმის მიაღწია კიდევ.

1921 წლის დასანყისში ბათუმში სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი გაიხსნა — ქართველი საზღვაო ოფიცრების მომავალი სამჭედლო, მაგრამ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ეროვნული საზღვაო განათლების იდეა არ გაიზიარა და 1923 წლის იანვარში სასწავლებელი გააუქმა.

მრავალმხნაველმა მეზღვაურმა, რომელსაც გენერალმა კვინიტაძემ არცთუ შემთხვევით ბედნავსი უწოდა, სასწავლებლის დახურვა მტკივნეულად განიცადა. ეს ტკივილი იმდენად ღრმა და ძლიერი გამოდგა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის გულმა ვერ გაუძლო და 1924 წელს ბათუმში გაიდაიცვალა.

თამარ ჩაჩანიძე

ბაქოდან ბალტიის ზღვაში გასაყვანი ბარკაზები



არ გამოგრიეთ მანის ნომერი!

ისტორიკ-ჟურნალითი წიხანი №5 (41), 2014. მანი 3 ლარი

ისტორიანი

იხანე
ჯანუიშვილი
სტალინის
ბუიის
სადუხოზის
შესახებ

საუკეთესო
ისტორიების
მთხრობელი
შურნალი

ვიტალიანე
ნასიონის
საძიხვედნი

ბემოსადეხანი
სიხვილის
იხითუნი ჟომნი

არსანე
მარკვლი
(ტოი III)

იხილ ჟავანიშვილის
ისტორიული რეზანი
3 წიხანად

ფასი 3 ლარი

ნაგნი კისტორიანთა რეზიად - 6 ლარი

„სახადნილო
მოსვდე
ბუბუიხოს
სახადნილოს“

იხოვანი ფანი
საუიხვლოში

ილოში
იქვდე
თუბიის
საფრანს
უქვითი
თუბიხვილი

ბონი
იანს-
კვბლო-
ური სსა-
ინსა მას
იილ ულო
კვბლო-
სნსა
ამწვდია.



იბკერატორის „გაათე ლეგიონი“

(დასასრული, დასაწყისი იხ.
„არსენალი“ 2014, №4)

გვარდია და არმია

საიმპერატორო გვარდია დიდად პრივილეგირებული იყო. გვარდიელებს უფრო ხარისხიანი და მეტი სურსათი ეძლეოდათ; აღჭურვილი იყვნენ 1777 წლის მოდელის (მოდოფიკაცია რესპუბლიკის IX წელი) თოფებით, საუკეთესო ცივი იარაღითა და პისტოლეტებით, რომლებიც გაცილებით მაღალი ხარისხის ლითონისგან იყო დამზადებული. უნიფორმაც უფრო კაშკაშა და საუკეთესო ქსოვილისგან იკერებოდა. გარდა ამისა, გვარდიელებს გაცილებით მეტი ხელფასი ეძლეოდათ. ნაპოლეონი მუდმივად ცდილობდა, რომ გვარდია ყველგან მხოლოდ პირველი ყოფილიყო. ბრძოლების შემდეგ ყურადღება უპირველესად დაჭრილ გვარდიელებს ეთმობოდა. სამწუხაროდ, გვარდიელები ძარცვასა და ალაფობაშიც პირველი იყვნენ.

მონინალმდების თვალთ დანახული ნაპოლეონის გვარდია

გვარდიის ისტორიაში დადებითი უწყყოფითს სჭარბობს. ნინალმდე შემთხვევაში, ის ვერ გამოიწვევდა ისეთ პატივისცემას, რომლითაც მისი დროის მონინალმდებენი და სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსები მას ამკობდნენ.

„პოლოს, ნაპოლეონთან ერთად გამოჩნდა ძველი გვარდია. დაინახეს თუ არა ჩვენი ხმაურიანი ბრბოები, გვარდიელებმა თოფები მოიმარჯვეს, რიგები შეკრეს და ამაყად თავანულებმა აუჩქარებლად განაგრძეს სვლა. რამდენჯერ ცვადეთ, თუნდაც ერთი რიგით გვარდიელი ჩამოგვემორბინა კოლონისათვის, მაგრამ ყველა შეტევა უშედეგოდ დამთავრდა... არასდროს დამავინყვება სახიკვდილოდ თავგანწირული, მაღალი, დათვის ბუნვის ქუდებით დამკნებულნი, ლურჯ-მუნდირიანი, თეთრქაშიანი და ნთელეპოლტეებიანი გვარდიელებს მრისხანედ შემართებული სახეები“, — წერს 1812 წლის ომის გმირი დენის დავიდივი.

სახელგანთქმული ინგლისელი მწერალი, შერლოკ ჰოლმსის „მამა“, ართურ კონან დილი, ბრიგადირ ეტიენ ჟერარის თავადასაველის აღწერისას დიდი პატივით მოიხსენიებს საიმპერატორო გვარდიას: „კავალერიის უკან ძველი გვარდიის თორმეტი პოლკი იდგა. ყველა მათგანი მრავალმგამოვილი, მკაცრი და გაბედული, რჩეული ვეტერანი იყო. ლურჯი ფარაჯები ეცვათ და მაღალი, დათვის ტყავისგან შეკერილი ქუდები ეხურათ. როცა მათ რიგებს ჩავუარე, ვიგრძენი, რომ ეს ის ხალხი იყო, რომელსაც არასოდეს განეცადა დამარცხების სიმწარე და როცა მათ ნაქარალ სახეებს, მკაცრ და შემართებულ დგომას მივაქციე ყურადღება, მივხვდი, რომ ისინი არც არასდროს დამარცხდებოდნენ“.



გვარდიის როლი და ადგილი

საიმპერატორო გვარდიას «დამაგვირგვინებელი დარტყმით» არასოდეს გადაუწყვეტია ბრძოლის ბედი. მაგრამ ნაპოლეონი ხომ არა მხოლოდ მთავარსარდალი, არამედ სახელმწიფო მოღვაწეც იყო და ზოგჯერ ჭირს ამ ორი იპოსტასის ერთმანეთისგან განცალკევება.

გვარდიის როლს ისტორიკოსები განიხილავენ საკუთარი თვალსაზრისის მიხედვით და არა, თუ რა ჩანაფიქრს შეასხა ხორცი ნაპოლეონმა გვარდიის შექმნისას. საფიქრებელია, რომ გვარდია მისი შემქმნელისთვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ისტორიკოსებს ჰგონიათ.

საიმპერატორო გვარდიის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეცდომა იქნება. ნაპოლეონის გვარდია საფრანგეთში ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტი იყო, მასში სამსახური ადამიანს სოციალური კიბის ერთობ მაღალ საფეხურებზე ასვლის შესაძლებლობას აძლევდა.

როცა ნაპოლეონი გვარდიას უპირატესობას აძლევდა ჯარების სხვა სახეობასთან შედარებით, მას სურდა მეტოქეობის გრძნო-

ბა გაეღვივებინა მათ შორის, რაც შემდეგ შეჯიბრებებში თობაში გადაიზრდებოდა.

გვარდიაში მეზრძოლის გადაყვანა ითვლებოდა ჯილდოდ, ისევე როგორც საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოება, სამხედრო ნოდების მომატება. გარდა ამისა, გვარდიელობა სამხედრო მოსამსახურის ოჯახს სოციალურად უზრუნველყოფდა.

პირველი კონსულის 1802 წლის 9 ოქტომბრისა და იმპერატორის 1805 წლის 29 იანვრის დეკრეტების საფუძველზე ვეტერანი გვარდიელები ერთ-ნახევარჯერ მეტ პენსიას იღებდნენ, ვიდრე თადარიგში გასული არმიელები.

სამოქალაქო სამსახურში გადასვლისას ყოფილ გვარდიელს სხვებთან შედარებით დიდი უპირატესობა ენიჭებოდა. ნაპოლეონი ყურადღებას არ აკლებდა თადარიგში გასულ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ბრძოლებში დასახიჩრებულ მეთომრებს სახელმწიფოს ხარჯზე აბინავებდნენ ინვალიდთა სახლებში ან მის ფილიალებში. სხვებს აძლევდნენ მიწებს, აწყობდნენ მაღალანაზღაურებად სამსახურებში სასაზღვრო ციხესიმაგრეების გარნიზონებში, საბაუოებში და სხვა პრესტიჟულ ადგილებზე.

ნაპოლეონის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო «ერთიანი ევროპის» (ევროპა როგორც სამყარო) შექმნა, სადაც უცილობელი ლიდერი საფრანგეთი უნდა ყოფილიყო. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საიმპერატორო გვარდია პოლიეთნიკური იყო. მასში მსახურობდნენ არა მარტო ფრანგები და დასავლეთი ევროპის სხვა ხალხები (გერმანელები, ბურძნები), არამედ სხვა ერების წარმომადგენლებიც — ქართველები, ჩერქეზები, კომტები და სხვ.

არნივი — შტანდარტი იმპერიისა და პოლკის სიძლიერეს განასახიერებდა





ნაპოლეონი საიმპერატორო გვარდიის რიგებს არ აკარებდა ესპანელებს და მათ მონათესავე ხალხებს, რომლებიც პირენეს ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ. ამის შესახებ წერდა ცხროსიანი გვარდიის სარდალ-მაიორალი ფან-ბატისტ ბესერუ.

რა თქმა უნდა, გვარდიაში უმრავლესობას ფრანგები წარმოადგენდნენ და ისინი თავს სამართლიანად მოიაზრებდნენ პრივილეგიებულ ერად.

1809 წლის დეკემბერში, ალფუმზე, გვარდიის ქვეითი გრენადიერა მე-2 პოლკის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს, როცა იმპერატორმა ხორვატების შენაერთებს უფრო მეტი ყურადღება მიაქცია, ვიდრე მათ. თუმცა ეს არ შეიძლება შოკინიზმის გამოვლინებად ჩაითვალოს, რადგან გვარდიელებს უბრალოდ სურდათ და ღირსიც იყვნენ იმპერატორისაგან მეტი ყურადღება და ღირსი დაემსახურებინათ. ეს იყო „ბავშვური“ ეჭვიანობიდან გამომდინარე წყენა, როცა იგი ქებას ელის, უფროსი კი დუმს.

საიმპერატორო გვარდიაში შესასვლელად ნოდებ-რივი წინააღობა არ არსებობდა, იგი პლებეური, სახალხო იყო.

1810 წელს გრაფმა დორსენმა გვარდიის დივიზიის მეთაურ გენერალ ფრანსუა როგესთან ერთად იმპერატორს შესთავაზა იდეა, გვარდიაში თავად-აზნაურთა უფრო ფართო ელემენტის მიღების შესახებ, რაც

გვარდიის საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი



ნაპოლეონის ინტერესებშიც შედიოდა, რადგან გვარდიაში რევოლუციამდელ და ახალი საზოგადოებების ერთმანეთთან შერწყმა გულისხმობდა.

ეს იყო შორს გამოზრეული ეკვსი, რომლის მიხედვით მტკიცე კავშირი უნდა დამყარებულიყო როგორც ფრანგი საზოგადოების შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ევროპულ მონარქებთან, რაც თავის შტრილ საფრანგეთს და ევროპის სუვერენებს შორის დაზავებას გამოიწვევდა.

დორსენისა და როგეს გაბედული იდეები გვარდიაში არსებულ ნესებს ეწინააღმდეგებოდა და როცა რამდენიმე სამხედრო ნაწილი (ორდენოსანი ფანდარ-მეტი და საპატიო გვარდია) საიმპერატორო გვარდიაში შეიყვანეს, სხელმა გვარდიელებმა ისინი უარყვეს როგორც უცხო ხეგული.

ნაპოლეონის სინთეზისა და შერწყმის პოლიტიკამ, რომელსაც ძველი და ახალი საზოგადოების ამბიციები უნდა დაეკმაყოფილებინა, მარცხი განიცადა როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო საზოგადოებაში. ეს ყველაზე თვალში საცემი საიმპერატორო გვარდიაში იყო.

მხოლოდ თავად-აზნაურთაგან შედგენილი ახალი სამხედრო ნაწილი შურადაცხყოფდა ახალი ფრანგი ჯარისკაცის რევოლუციურ აზროვნებას, რომელიც XVIII საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა.

საიმპერატორო გვარდია იყო უნივერსალური და-ნესებულება, რომელიც ბოლომდე ვერ შეიცნო ვერც მისმა თანამედროვეებმა და ვერც მათმა შთამომავლებმა. რა თქმა უნდა, გვარდია სამხედრო ინსტრუმენტი იყო ნაპოლეონის ხელში, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი არსებობისა და ზემოქმედების სხვა ასპექტებიც.

ნაპოლეონის დროინდელი გვარდიის არსისა და დანიშნულების სიღრმისეულად გასაგებად საჭიროა მისი იმდროინდელ საზოგადოებასთან ერთობლივად გაანალიზება.

გამორიცხული არ არის, რომ საიმპერატორო გვარდიაში ნაპოლეონი მოიაზრებდა არა მხოლოდ საერთო-ევროპულ არმიას, არამედ საერთო-ევროპულ საზოგადოებასაც, სადაც ძველი გვარდიის როლს საფრანგეთი შეასრულებდა.

ევროპაში ნაპოლეონს სურდა ახალი გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნა, ოღონდ მასში გამაერთიანებელი ცენტრის ფუნქციას საფრანგეთი შეასრულებდა. ისევე, როგორც მაკედონია ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში, ანდა რომი, ძველი რომის იმპერიაში. უცნაური და არალოგიკური იქნებოდა, თუ ასეთ შემთხვევაში ნაპოლეონი უპირატესობას რომელიმე სხვა ქვეყანას მიანიჭებდა. როგორც ფრანგმა პოეტმა პიერ ფან ბურანაჟემ თავის ცნობილ ლექსში („ივლისის საფლავები“) თქვა: „აი, ახალი სამყარო; მასში საფრანგეთი დედოფალია“.

მაგრამ არსთა გამორგემ ისე არ განსაჯა, როგორც ევროპის დიდი იმპერატორი იმედოვნებდა. ახალი ევროპის იმპერიის შექმნის გეგმა (ევროკავშირს თუ არ ჩაეთვლით) მოუსაველეთი დაინთქა; ხლო დიდი მხედართმთარის გვარდია ისტორიას შემორჩა, როგორც იმპერატორის პიროვნებისადმი, მისი საქმისადმი, ფანატიკური სიყვარულისა და ერთგულების ღირსეული და მისაბაძი მაგალითი.





დიოსკური- სებასტოპოლისი

დიოსკურია-სებასტოპოლისის ციხესიმაგრე დღევანდელი სოხუმის ტერიტორიაზე მდებარეობს. მისი ნანჩლი ამჟამად ზღვის ქვეშაა მოქცეული. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პრესაში ვხვდებით ცნობებს იმის შესახებ, რომ ყოველი დიდი ღვლევის შემდეგ, ტალღებს სოხუმის ყურის მიდამოებში ციხის ტერიტორიიდან გამოპოჭინდა უამრავი ნივთი, რომელთაც მოსახლეობა აგროვებდა და შემდეგ შავ ბაზარზე ყიდდა.

ბერძნული საისტორიო ტრადიციის თანახმად, დიოსკურია მილეტელმა ბერძენმა დააარსეს, როგორც სავაჭრო ახალმენი. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სებასტოპოლისი მალე დაწინაურდა.

IV საუკუნის II ნახევარში რომაელი გეოგრაფის, კასტორიუსის, შედგენილ საგზაო რუკაზე (თაბულა Peutingeriana) დატანილია სამხრეთ კავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზები. ერთი ასეთი გზა ტრაპიზონიდან მოდის, ფაზისს გაივლის და სებასტოპოლისში მთავრდება. მეორე გზა სებასტოპოლიდან იწყება და სომხეთის ქალაქ არტაშატისკენ მიემართება. იმავდროულად, სებასტოპოლისიდან კოდორის ხეობის გავლითა და ქლუხორის გადასასვლით გზა ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანის ზემოთა შენაკადების ხეობებში ჩადიოდა. ეს მაგისტრალი, რომელსაც «აფხაზეთის გზასაც» უწოდებდნენ, ვანსაკუთრებით მნიშვნელოვანი VI საუკუნიდან გახდა, როცა ე. წ. «პბრეშუმის გზამ» ჩრდილოეთით გადაინაცვლა და ამიერიდან ვაჭრები ჩრდილოეთ კავკასიიდან შავ ზღვაზე მდ. კოდორით ჩადიოდნენ. იქ კი მთავარი ნავსადგური სებასტოპოლისი ელოათთ. ცხადია, ასეთი ხელსაყრელი მდებარეობის გამო დიოსკურია-სებასტოპოლისი მალე დაწინაურებულ პუნქტად უნდა ქცეულიყო.

სახელი «დიოსკურია» ადგილობრივი ტოპონიმის (სქური-სკური) გაბერძნელებული ფორმა უნდა იყოს. რაც შეეხება სებასტოპოლისს, ციხეს ეს სახელი უნდა



დიოსკურია შუა საუკუნეების ევროპულ რუკებზე აღნიშნული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ციხესიმაგრის დიდი ნანჩლი წყალქვეშ იყო მოქცეული

დარქმეოდა მას მერე, რაც რომის იმპერატორმა ოქტავიანემ (ძვ. წ. 27 — ახ. წ. 14 წლები) ავუსტუსისა და სებასტოსის წოდება მიიღო.

ამის შემდეგ, რომის იმპერიის მთელ რიგ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს, მათ შორის სოხუმის ყურეში არსებულ დიოსკურიას, სებასტოპოლისი დაერქვა.

ახ. წ. I საუკუნიდან სებასტოპოლისი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული სამხედრო ბაზის დაწინაურებას ასრულებდა. შავი ზღვის კოლხური სანაპიროს განსწორებ მდებარე რომაული ციხეების, აფსაროსისა და ფაზისის მსგავსად, სებასტოპოლისის მემკვიბით რომაელები უზრუნველყოფდნენ იმპერიის ხომალებს უსაფრთხო მიმოსვლას შავ ზღვაზე,



სოსთემის უფროსი ფსკერზე არქეოლოგების მიერ მიკვლეული ძვ. წ. V საუკუნის მარმარილოს სტელა

იცავდნენ იმპერიის აღმოსავლეთ შემოიხსივრეს ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ტომების თავდასხმებისგან, აკონტროლებდნენ სებასტოპოლისიდან მიმავალ მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო გზებს და სხვ.

კაპადოკიის მმართველ ფლავიუს არიანეს იმპერატორ ადრიანეს დავალებით ახ. წ. 131 წელს, აფსაროსისა და ფაზისის რომაულ ციხესიმაგრეებით ერთად, სებასტოპოლისიც მოუფლია და შეუსწავლია იქ არსებული ვითარება. არიანე წერდა: სებასტოპოლისში „იმავე დღეს მოხერხდა ჯარისკაცებისთვის ხელფასის მიცემა, ცხენებისა და იარაღის დათვლიერება, მხედრების გაავარჯობება ცხენზე შესტომამში, ავადმყოფების მონახულება, ჰურის მარაგის შემოწმება, ციხესიმაგრის კედლისა და თხრილის შემოღლა“.

არიანეს ცნობით, სებასტოპოლისში, ქვეითების გარდა, მდგარა ცხენოსანთა ნაწილიც და წერილობითი წყაროების მიხედვით IV საუკუნის II ნახევრიდან იქ რომაული სამხედრო შენაერთები უკვე აღარ დგანან. თუმცა, VI საუკუნის I ნახევრიდან სებასტოპოლისში ახალი დამპყრობლები გამოჩნდნენ რომაელთა მემკვიდრეების — ბიზანტიელების სახით.

რომის იმპერიის დასუსტების შემდეგ მათი კვალი სებასტოპოლისში თანდათან ქრება.

არქეოლოგიური მასალებითა და წერილობითი წყაროების მიხედვით IV საუკუნის II ნახევრიდან იქ რომაული სამხედრო შენაერთები უკვე აღარ დგანან. თუმცა, VI საუკუნის I ნახევრიდან სებასტოპოლისში ახალი დამპყრობლები გამოჩნდნენ რომაელთა მემკვიდრეების — ბიზანტიელების სახით.

ცნობილია, რომ ბიზანტიელებსა და ირანელებს ხანგრძლივი ომი ჰქონდათ ეგრისის სამეფოში გაბატონებისათვის. 542 წელს ბიზანტიელებისათვის გართულებული საომარი სიტუაციების გამო სებასტოპოლისი თვით ბიზანტიელებმა დაანგრიეს, რათა იქ ირანელები არ გამაგრებულყვნენ.

13 წლის შემდეგ იმპერატორ იუსტინიანეს სებასტოპოლისი ისევ აღუდგენია. განუახლებია ზღუდე და სხვა სასიმაგრე შენობები, გაუყვანია გზები და სხვ.

ამის წყალობით სებასტოპოლისი კვლავ ძლიერ ციხესიმაგრედ ქცეულა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად სოსთემის სანაპიროზე 3 სხვადასხვა დროის ციხესიმაგრე გამოვლინდა.

პირველი, I-II საუკუნეებით დათარიღებული ყველაზე ძველი ციხის ფარიობი დაახლოებით 1 ჰექტარია, ნაგებია გრანიტის ლოდებით, კირხსნართა და აგურის ორფენიანი სარტყლით. ციხისგან მთლიანად არის შემორჩენილი ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი (სიგრძე 80 მ, კედლების სიგანე 2,4 მ) 2 ოთხკუთხა კოშკითა და 5 კონტრფორსით.

შავი ზღვის სანაპიროზე არსებული სხვა რომაული ციხეებისაგან (ბიჭვინთა, აფსაროსი) განსხვავებით, მას აქვს პარალელოპიპედის გეგმა. სიმაგრის გათხრებისას არ დაფიქსირდა შესასრულებელი. როგორც ჩანს, მას კარი უნდა ჰქონოდა ზღვის მხარეს, რომელიც ამჟამად წყლის ქვეშ არის მოქცეული. ციხეში დაახლოებით 200 ლეგიონერი უნდა მდგარიყო.

III-IV საუკუნეებში რომაელებს იქ მეორე ციხე აუშენებიათ, რომელიც ნაგებია გრანიტის ქვებითა და აგურის სარტყლებით კირხსნარზე. ორ დანარჩენ სიმაგრესთან შედარებით ის ყველაზე დიდია და 2-2,5 ჰა უკავია. მისგანაც მხოლოდ ერთი კედელია შემორჩენილი 2 სწორკუთხა კოშკით. პირველი ციხისგან განსხვავებით მეორე ციხე მიმართულია არა ზღვის მხარეს, არამედ მისი კედლები ხმელეთისაკენ გრძელდება.

მესამე ციხე კვადრატული გეგმისაა და 0,6-0,8 ჰა ფართობზეა გაშლილი. ნაგებია გრანიტის ქვებითა და აგურით კირხსნარზე. ნაწილობრივ შემორჩენილია 2 ოთხკუთხა კოშკი. ციხე თარიღდება ახ. წ. VI საუკუნის I ნახევრით. პირველი ციხის მსგავსად, შესასვლელი მასაც ზღვის მხრიდან უნდა ჰქონოდა. ეს ციხე ბიზანტიელების აგებულია.

გათხრების შედეგად გამოვლინდა იქნა ძვ. წ. III-II — ახ. წ. IV-V საუკუნეების მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა: ფურები, კრამიტები, წყალსადენის მილები, ამფორები, ქვევრები, ჯამები, ლანგრები, ჭრატები; რკინის შუბისპირები, დანები, მინის ჭურჭელი; ძვლის სტილოსები (სანერები); ბრინჯაოსა და რკინის ფიბულები, სამაჯურები, მძივები და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კორქვის ფლია, ლათინური წარწერით HADR PER. FLA. LEG. პირველ სტრიქონში იმპერატორ ადრიანეს სახელია შემორჩენილი, მეორეში სებასტოპოლისში ფლავიუს არიანეს (ამშენებელი?) მოღვაწეობა, მესამეში კი მითითებულია მისი ტიტული — ლეგატო.

VI საუკუნის შემდგომი პერიოდის სებასტოპოლისის შესახებ მწირი ცნობები მოგვცემოვება. VII საუკუნის ავტორი თვითანე კონსტანტინეპოლიში მოხსენიებს „დიდ სებასტოპოლისს“.

სებასტოპოლისი ნახსენებია VII ს-ის ანონიმი ავტორის სომხურ გეოგრაფიაშიც. იმ პერიოდისათვის სებასტოპოლისი, როგორც რომაულ-ბიზანტიური სიმაგრე, ისტორიულ ასპარეზზე უკვე აღარ ფიგურირებდა. გვიან შუა საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროზე გაბატონებულმა თურქებმა რომაულ-ბიზანტიური ხანის ციხესთან ააგეს ახალი ციხე, რომელმაც XIX საუკუნის დასაწყისამდე ირავია.

დავით მინდორაშვილი
ისტორიულ მუცენარებათა დოქტორი

აირჩიე შესაფარისი იარაღი. ისროდე ზუსტად
ბააუმჭობებსა შენი შაშხანის სიზუსტე
ისწავლე თოფისთვის საფანტის შერჩევა

ფასი
29.95 ლარი

335 მნიშვნელოვანი რჩევა ნაღირობის შესახებ



შეიძინეთ ნიგნის მალაჩიები

ნომრები სახლში მიყვანით ფანაგაფის ბარათზე შტაბ: 0(32) 238 26 73, 0(32) 238 26 74 www.elva.ge



მეომრად შობილი გურქები

მსოფლიოს ყველაზე უბადლო მებრძოლნი პიმალანს მთიანეთიდან

„სჯობს მოკვდე, ვიდრე ლაჩარი იყო“, — ეს დევნიზა გურქების — თანამედროვე ნებალის 25 ოლქიდან ერთ-ერთში მცხოვრები, ამავე სახელწოდების მქონე მთიელი სახლისგან შემდგარი შენაერთისა, რომელიც აგერ უკვე ორი ასწლეულია, ერთგულად ემსახურება ბრიტანეთის სამეფოს.

დღეს გურქი მეომრის რეპუტაცია უდიდესია და ის მსოფლიოში

ერთ-ერთ ყველაზე მაშაც, ერთგულ, გამძლე და დისციპლინირებულ ჯარისკაცად დამსახურებულად არის აღიარებული — გურქა მებრძოლის ძველი აღმართულია ლონდონში, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს შენობასთან, და ამით ყველაფერია ნათქვამი.

გურქები მონაწილეობდნენ ყველა იმ ომში, რომელსაც ბრიტანეთის იმპერია XIX საუკუნიდან აქამდე აწარმოებდა. ისინი იბრძოდნენ პირველი მსოფლიო ომის დროს ახლო აღმოსავლეთსა და საფრანგეთში. მეორე მსოფლიო ომის დროს კი — აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და იტალიაში. 1982 წელს გურქები მონაწილეობდნენ ფოლკლენდის კონფლიქტში, ამაჟამად კი ავღანეთში, პილშენდის პროვინციაში მსახურობენ.

გურქები არ არის სპეცდანაყოფი — სტრუქტურით, შეიარაღებითა და ამოცანებით. ეს ქვეითთა შენაერთია, მაგრამ გამორჩეული თვისებების გამო ის მსოფლიოს განთქმულ ქვედანაყოფებს არაფრით ჩამოუვარდება.

ბრიტანული ბრიგადა, რომელიც ჰემპშირის საგრაფოშია დისლოცირებული, ამაჟამად 3500 გურქ მებრძოლს ითვლის. ბრიგადა შეესებას ნებალის მთიანი რეგიონებიდან იღებს — ყოფილწლიურად 200 ახალწვეულს ადგილისთვის 25 ათასზე მეტი 17 წლის მონაზრე სპეციალურ კონკურსს გადის. სხვათა შორის, ამბობენ, რომ შერჩევის პროცესი ერთ-ერთი უმკაცრესია მსოფლიოში. მაგალითად, ერთ-ერთი პირობის თანახმად, ბრიტანულ შენაერთში ჩასარცხად პრე-

ტენდენტებმა მხრებზე მოკიდებული 20 კგ რიყის ქვებით დამძიმებული კალათით 40 წუთი მთის ვიწრო ბილიკებზე უნდა ირბინონ.

ბრიტანეთის სამეფოს სამხედრო სამსახურში გურქთა ყოფის მინიმალური ვადა — 5, მაქსიმალური კი 30 წელია, ხოლო იმისთვის, რომ სრულფასოვანი პენსია მიიღონ, არმიაში 15 წელი მაინც უნდა ჰქონდეთ ნამსახურები. ბოლო დრომდე მოქმედი წესების თანახმად, ამა თუ იმ ნოდების გურქა ოფიცერი უფლებდრივად დაბლა იდგა ბრიტანეთის არმიაში შესასაბამისი ოფიცრის ნოდებაზე. თანაც, გურქა ოფიცერს შეეძლო მხოლოდ გურქთა დანაყოფის ხელმძღვანელობა. ამაჟამად კი ეს წესები გაუქმებულია და გურქთა სამხედრო ნოდებები გათანაბრებულია ბრიტანეთის არმიის შესასაბამის სამხედრო ნოდებებთან.



დღეს გურქა მეომარი უახლესი ცეცხლსასროლი იარაღით არის აღჭურვილი. მის არსენალში გამორჩეული ადგილი ტრადიციულ ბეზუთს უკავია, რომლის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი გეტყვით, რომ გურქები დანით ბრძოლის ხელოვნებას უსოხვარი დროიდან ფლობენ და ის მრავალ იღვთს მოიცავს. ნუპალელ მთიელს თავისი სანაქებო ბეზუთით ელვისებურად, ერთი დარტყმით შეუძლია მოწინააღმდეგის განადგურება.

გურქთა ბეზუთს „კჰუკორი“ ჰქვია. ეს მძიმე, მასური, გამძლე და დაბალანსებული ცივი იარაღია, რომლის გამოყენება სასროლადაც შეიძლება.

დანასაც და მასთან დაკავშირებულ საბრძოლო ხელოვნებასაც ერთი სახელწოდება აქვს — „კჰუკორი“ და ეს შემთხვევითი არ არის. ამას საფუძვლად ღრმა ფილოსოფიური აზრი უდევს, რომლის ფორმულირება ასე შეიძლება: „თუკი არ არსებობს საფუძვლიანი მიზეზი ადამიანის მოსაწყვავად, ქარქაშიდან კჰუკურის ამოღება დაუშვებელია!“

და თუ მაინც გურქა ბეზუთს იმიშვლებს, დაუწერელი წესია, რკინა აუცილებლად ისხლთით უნდა შეიღებოს; მაგრამ თუკი მტერს ვერ შესწვდა, კჰუკურის „მშრალად“ მაინც არ დატოვებს — ქარქაშიში მის ჩაგებად თავისსავე თითის გადასერავს.

სხვათა შორის, გურქი არასდროს იბრძოლებს მუშტით ანდა ნიხლით. ის უწინ გაერიდება ბრძოლის ველს, ვიდრე ასეთ ორთაბრძოლაში ჩაებება — ეს გურქების ღირსების კოდექსისთვის მიუღებელია. ორთაბრძოლა გარსართობად, საპირველი შეჯიბრების პრინციპით, ამპიციის დასაკმაყოფილებლად ან კიდევ, შინაურებში ყოფილი დავის გადასაწყვეტად ნუპალელი მთიელისთვის შეუფერებელია.



მაგრამ, თუკი ღირსება შეუღლებს, შემღაზებს კი სინანულისა არაფერი ეტყობა, გურქვის ქარქაშიდან აუცილებლად იღვებებს ბუბუთი. ამ დროს გურქვას ბრაზით თვალები არ უელავს და არც ნერვი უთრთის სახეზე. ის აუღელვებლად, მაგრამ ელისებურად მოქმედებს, მტრის განადგურების შემდეგ კი არაფერს ნანობს — ის ხომ ნინაპართა ადათისამებრ მოიქცა.



პლანეტის უმაღლეს მწვერვალებსა და გაუვალ ფუნგლში გამოწრთობილი ამ ჩია, პირხმელი, მშვიდობიან პერიოდში დღენიადაგ მოლიმარი და უზადლო მებრძოლების შესახებ პირველ მსოფლიო ომამდე ევროპაში ცოტამ თუ იცოდა, მაგრამ სულ მალე ყველა ალაპარაკდა — მოკავშირეები აღფრთოვანებით, მტრები — შიშით.

მაგალითად, გერმანელი ქვეითები, რომლებიც იმხანად თავად იყვნენ აღიარებული ბებური კონტინენტის საუკეთესო მებრძოლებად, დაზაფრული ჰყევიბოდნენ, რომ შეტევაზე გადმოსული ტანმორჩილი (ძნელია მიზანში ამოიღო), მუქი კანის (ღამით სახე არ უჩანთ) აზიელი „ველურები“ აინუნშიაც არ ადგებენ ტყვიამფრქვევის ჯერს და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ილუპება, არასდროს იხევენ უკან.

„უფალმა გურქვები იდეალურ ქვეით მებრძოლებად შექმნა. ისინი ყველაზე უშიშარი, ამტანი, თავდადებული, ნებისმიერ გარემოსთან შეგუების უნარით დაჯილდოებული მებრძოლები არიან. ამ ყველაფერს დაუმატეთ ის, რომ მათი სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთია. განუმეორებელი განცდაა გურქვ მემორებთან ერთად ფრონტზე ყოფნა“, — ეს პირველი და მეორე მსოფლიო ომების მონაწილე, ცნობილი ბრიტანელი ფელდმარშალის, ლორდ სლიმის სიტყვებია.

დაბოლოს, ერთი საინტერესო ამბავი, რომელიც კარგად აღწერს გურქვთა მებრძოლ და უდრეკ ხასიათს:

მეორე მსოფლიო ომის დროს გურქვთა შენაერთს ბრიტანეთის ავიაციის ოფიცერი ესტუმრა, რათა დესანტისთვის ჯარისკაცები შეერჩია. ოფიცერი მწყობრის წინ დადგა და იკითხა: „ვინც თანახმაა, მტრის ზურგში თვითმფრინვიდან გადახტეს, ნაბოჯით წინ გამოვიდეს“.

გურქვები დანიტერესდნენ, რა სიმაღლეზე იფრენდა დესანტირებისას თვითმფრინავი. ოფიცერი ვერ



თვით მისი სამეფო უდიდებულესობის დედოფლის ელისაბედ II-ის სტუმრობა გურქვებისთვის უდიდესი ყურადღების გამოხატულებაა

მიხვდა შეკითხვის არსს, თუმცა, მაინც უპასუხა: „დაახლოებით სამი ათასი ფუტის სიმაღლეზე“.

მწყობრს ჯარისკაცთა დაახლოებით მესამედი გამოეყო.

„ესარის გურქვების სიმაზაცე? დანარჩენებს შეგეშინდათ?“ — იკითხა გაკვირვებულმა ოფიცერმა.

„თვითმფრინავი რომ ცოტა დაბალ სიმაღლეზე დაფრინავდეს, მაშინ ყველა დაგათანხმდებოდათ“, — განუმარტეს ოფიცერს.

როგორც გაირკვა, გურქვებმა არ იცოდნენ, რომ მათ დაკლების შესრულებისას პარამუტებით აღჭურავდნენ. აი, ასეთები არიან გურქვები.

ბელა უშარიძე

გურქვი ახალგაზრდებიდან მომავალი ჯარისკაცების შესარჩევად სპეციალური კონკურსი ტარდება, სადაც 20 კვ რიყის ქვებით დამძიმებული კალათით 40 წუთი მთის ვინო ბილიკებზე რუნებაა საჭირო



წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან“, პალიტრა L

323

რაინდები ატარებდნენ გრძელ-სახელოიან სელის ან შალის ტუნიკებსა და მოსასხამს. 1200-იანი წლებისთვის კაპიუშონიანი მოსასხამების ტარება დაიწყო. ტანთ თითქმის ყოველთვის ფერადი, ოქრომკედით ნაქარგი სამოსი ეცვათ, ფეხთ კი ცხვირაპრეხილი წადები. ქუდები მოელვარე ძვირფასი თვლებით ჰქონდათ მორთული.



◀ რაინდი საბრძოლოდ თავით ფეხამდე იყო აღჭურვილი. თავზე მუზარადი ეხურა.

324

ადრეულ პერიოდში რაინდი რკინის აბჯარს ატარებდა. ის ერთმანეთზე გადაბმული ათასობით პატარა რკინის რგოლისგან იყო აკინძული. ჯაჭვის პერანგი ნაქსოვს ჰგავდა, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მას ლითონის რგოლებით ქსოვდნენ და არა მატყლისგან. ჯაჭვის პერანგის შიგნით რაინდს სქელი ქსოვილის პერანგი ეცვა, რომ აბჯარს არ დაეზიანებინა!



325

თანდათან რაინდის აბჯარი უფრო დახვეწილი და უსაფრთხო გახდა. ახლა მას ტანზე მორგებულ აბჯარზე მთლიანი ლითონის ნაჭრები ჰქონდა დამაგრებული. 1400-იანი წლებისთვის კი რაინდი ფოლადის მთლიან აბჯარს ატარებდა. ხელებზე ლითონისვე ხელთათმანები ჰქონდა წამოცმული, ფეხზეც ასეთივე ფეხსაცმელი ეცვა!

ზე მთლიანი ლითონის ნაჭრები ჰქონდა დამაგრებული. 1400-იანი წლებისთვის კი რაინდი ფოლადის მთლიან აბჯარს ატარებდა. ხელებზე ლითონისვე ხელთათმანები ჰქონდა წამოცმული, ფეხზეც ასეთივე ფეხსაცმელი ეცვა!

326

რაინდს ორი მთავარი იარაღი ჰქონდა: ხმალი და ფარი. ხმალი ორღესული იყო და ისეთი წვეტიანი, რომ ჯაჭვის პერანგში შეღწევაც შეეძლო. იბრძოდა ასევე შუბით, ხანჯლითა და საბრძოლო ნაჯახით.

▼ რაინდების ორთაბრძოლა. მარჯვნივ მეომარს ხელთ ფარი და ხმალი აქვს, მარცხნივ გამოსახული კი მორგენშტერნი — ჯაჭვზე გამობმული ეკლებიანი ბურთით იბრძვის.





327

1337-დან 1453 წლამდე ინგლისი და საფრანგეთი თითქმის განუწყვეტლოვ ომობდნენ. ამ პერიოდს ჩვენ ასწლიანი ომის სახელით ვიცნობთ. ინგლისელებმა ორ ბრძოლაში — პუატიესა (1356 წ.) და აზენკურთან (1415 წ.) სასტიკად დაამარცხეს ფრანგები. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს გამოცდილმა ინგლისელმა და უელსელმა მშვილდოსნებმა, რომლებიც წუთში 12 ისარს ისროდნენ.



328

შვეიცარიელი ქვეითების მთავარი იარაღი ალეზარდი იყო, — შუბისა და საბრძოლო ნაჯახის კომბინაცია და თუმცა, ერთი შეხედვით უბრალო იარაღი იყო, მისი საშუალებით ქვეითს რაინდის ცხენიდან ჩამოგდება შეეძლო.



დაუჯერებელია!



ზოგიერთ ჯარისკაცს გაცხარებული ბრძოლის დროს ნასროლი ისრების მოგროვება ევალებოდა!



წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან“, პალიტრა. L

329

ბრძოლის ველზე გასული რაინდი ისე იყო შეჭურვილი, რომ მისი ცნობა არავის შეეძლო. მუზარადზე ხომ მხოლოდ სამზერი იყო ამოჭრილი. ამიტომ მოგვიანებით თითოეული რაინდის ფარზე ფერადი სიმბოლოები ამოტვიფრეს ან დაახატეს. ამ სიმბოლოებს გერბები ეწოდა. რაინდი შორიდანაც რომ იოლად დასანახი ყოფილიყო, მისი გერბის ფერები ხასხასა და კონტრასტული უნდა ყოფილიყო. ყველა რაინდის ოჯახს თავისი, პერსონალური გერბი ჰქონდა და მას სხვა რაინდი ვერ გამოიყენებდა.



პერალდიკა ნიშნებისა და სიმბოლოების რთული სისტემაა. შუა საუკუნეებში პერალდიკის სკოლებიც კი გაიხსნა, რათა გერბებთან დაკავშირებული დავები მოგვარებინათ.

330

გერბის შესაქმნელად მხოლოდ რამდენიმე ფერი გამოიყენებოდა. ნებადართული იყო წითელი, შავი, ლურჯი და თეთრი, მოგვიანებით მწვანე, ყვითელი და მწწამულიც დაემატა. გერბი ასევე მიუთითებდა მისი პატრონის სტატუსს ოჯახში. მაგალითად, მეორე შვილის გერბზე ამოტვიფრული იყო ნამგალა მთვარე, ხოლო მეშვიდე ვაჟის გერბზე — ვარდი.



331

ბრძოლის ველზე თითოეულ დიდებულს თავის საველე ალაში — შტანდარტი ჰქონდა, რომლის გარშემოც მისი რაინდები და ჯარისკაცები იყრიდნენ თავს. რაც უფრო გულენიანი იყო დიდებული, მით გრძელი იყო საალმე ქსოვილი. მასზე მფლობელის ფერები იყო დატანილი. ალაში რაინდულ ტურნირებსა და ადღუმებზეც გამოჰქონდათ.



▲ დიდებულის შტანდარტი მნიშვნელოვანი სიმბოლო იყო. თუ იმ მეომარს, რომელსაც ალაში ეპყრა, მოკლავდნენ, მას სასწრაფოდ სხვა შენაცვლებოდა.

332

ჰეროლდები, იგივე მაცნეები, ბრძოლისას რაინდებს შორის გზავნილებს დაატარებდნენ. ამიტომ მათ კარგად უნდა სცოდნოდათ თითოეული რაინდის გერბი. გერბების გამოჩენის შემდეგ ჰეროლდები გერბების გამოცნობის ექსპერტები გახდნენ. ასე ჩაეყარა საფუძველი გერბების შემსწავლელ ისტორიულ დისციპლინა ჰერალდიკას.



▲ ბრძოლის შემდეგ ჰეროლდებს ბრძოლის ველი უნდა ჩამოეკლათ და დახოცილი მეომრები გერბების მიხედვით ამოეცნოთ.

დახატეთ

საკუთარი გერბი

გინდა საკუთარი გერბი გქონდეს? შეგიძლია დახატო ის ჰერალდიკის იმ მარტივი წესების გამოყენებით, რომელიც ამ ფურცელზეა აღწერილი. შენ დაგჭირდება ფერადი ქაღალდის შვიდი ლენტი, წერილწვერიანი ფლომასტერი, სახაზუი და თური სქელი ქაღალდი. წარმატებას გისურვებთ.



კაულ ფონ ჰინდენბურგი 1847-1934



კაულ ფონ ჰინდენბურგი პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის ნაგავანი სამხედრო ფიგურა იყო. დაიბადა 1857 წლის 2 ოქტომბერს პოზნანში, პრუსიის იმპერიაში. პრუსიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი და 11 წლისა უკვე კაპიტანი გახდა. 1866 წელს მე-3 პოლკის შვედეთის ომში მონაწილეობისთვის დაჯილდოვდა. 1870 წელს პრუსიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი და 1871 წელს პრუსიის იმპერატორის პირველი მარშალის წოდებას მიიღო.

პრუსიის სამხედრო აკადემიის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის დროს კაულ ფონ ჰინდენბურგი მონაწილეობდა პრუსიის არმიის რეორგანიზაციაში. 1905 წელს კაულ ფონ ჰინდენბურგი პრუსიის იმპერატორის პირველი მარშალის წოდებას მიიღო.

მამარჯვებამ აღმოსავლეთში

პირველ მსოფლიო ომში მერვე არმიის მეთაურად დაინიშნა. მისი პირველი დაჯილდოვების რეზიუმეში აღნიშნულია, რომ კაულ ფონ ჰინდენბურგი მონაწილეობდა პრუსიის არმიის რეორგანიზაციაში და მისი ლაშქრობის შედეგად პრუსიის არმია დაიწყო მისი მთავარი როლის დაკვირვება. კაულ ფონ ჰინდენბურგი მონაწილეობდა პრუსიის არმიის რეორგანიზაციაში და მისი ლაშქრობის შედეგად პრუსიის არმია დაიწყო მისი მთავარი როლის დაკვირვება. კაულ ფონ ჰინდენბურგი მონაწილეობდა პრუსიის არმიის რეორგანიზაციაში და მისი ლაშქრობის შედეგად პრუსიის არმია დაიწყო მისი მთავარი როლის დაკვირვება.

როგორც აღმოსავლეთპრუსიელმა, ჰინდენბურგმა კარგად იცოდა, როგორ გაუჭირდებოდათ რუსებს ჭაობითა და უსიერი ტყეებით დაფარული პრუსიის ტერიტორიაზე გადაადგილება. მართლაც გერმანელებმა უკან დაიხიეს და რუსები სოფელ ტანენბერგში შეიტყვეს.

ეს ოპერაცია სწორედ მაშინ ჩატარდა, როდესაც ე. წ. შლოფენის გეგმა ჩაყარდა ბელგიიდან ფრანგების გაძევებას რომ ისახავდა მიზნად. ჰინდენბურგს ქვეყნის გადამარჩენივი კი შეარქვეს.

როგორც უკვე აღმოსავლეთის ფრონტის მეთაურად იმპერატორის სტრატეგიაში გაემგზავრა ავსტრია-უნგრეთის ჯარის მისახმარებლად პოლონეთის ფრონტის წინა ხაზზე, რათა ნოემბერში ინდუსტრიულ სიღრმეზე რუსების თავდასხმა არ დაეშვა. ახალი ორმხრივი შეტევა 1915 წლის იანვარში დაიწყო. იენისისთვის რუსეთის არმია კოლასის პირას იყო.

დასავლეთის ფრონტი

1916 წლის ზაფხულში ჰინდენბურგი და ლუდენდორფი დასავლეთის ფრონტზე გადაისროლეს. მათ

ქრონოლოგია

- 1847 დაიბადა 2 ოქტომბერს პოზნანში.
- 1858 სწავლობდა კადეტთა სკოლაში.
- 1866 მონაწილეობდა ავსტრია-პრუსიის შვედეთის ომში.
- 1870-71 მონაწილეობდა საფრანგეთ-პრუსიის ომში.
- 1911 უკვე გენერალი გადადგა.
- 1914 სამხედრო სამსახურს დაუბრუნდა.
- 1916 დანიშნეს გენერალური შტაბის ხელმძღვანელად.
- 1819 მერვეჯერ გადადგა.
- 1825 გერმანიის რაიხსპრეზიდენტი გახდა.
- 1833 პიტლერი რაიხსკანცლერად დანიშნა.
- 1934 გარდაიცვალა 2 აგვისტოს ნოიდეკთან.



გერმანიის ხაზის შემოკლება და რეზერვის გამაგრება ჰქონდათ მიზნად. 1917 წლის მარტისთვის გერმანელებმა უკან დაიხიეს და ე.წ. ჰინდენბურგის ხაზისკენ მყარად დაიკავეს პოზიცია.


1918 წელს, როდესაც აშკარა გახდა, რომ ომი ნაგებული იყო, ჰინდენბურგმა კაიზერის გადაყენების შემდეგ ახალ რესპუბლიკურ მთავრობაში შესვლა გადაწყვიტა. ის ხელმძღვანელობდა საფრანგეთიდან და ბელგიიდან გერმანული ჯარების გამოსვლას, მასვე მოუხდა მემარცხენეთა ამბოხის ჩახშობა გერმანიაში.

1919 წელს ისევ გადადგა, მაგრამ 1925 წელს ისევ ერთადერთი იყო, რომელსაც ეკონომიკური დეპრესიისა და პოლიტიკური ძალადობის პერიოდში გერმანიის ერთ მუშადად შეეკრა შეეძლო. ჰინდენბურგი ვაიმარის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს.

1933 წლის 30 იანვარს, კონსტიტუციური კრიზისისას, მან ადოლფ ჰიტლერი კანცლერად დანიშნა. ჰინდენბურგი 1934 წლის 2 აგვისტოს ნოიდეკთან (ახ. პოლონეთი) ახლოს გარდაიცვალა, სანამ ნაცისტური რეჟიმის რეპრესიები დაიწყებოდა.

კარიერის მნიშვნელოვანი მომენტები

● 1914 წლის აგვისტოში აღმოსავლეთ პრუსიაში ორი რუსული არმია შეიჭრა, მაგრამ ერთმანეთთან შეერთება ვერ შეძლეს. 26-30 აგვისტოს გერმანელებმა მეორე არმიას ტანდენბურგთან შეუტყიეს. რუსები სასტიკად დამარცხდნენ — დაკარგეს 32000 ჯარისკაცი, 92000 ტყვედ ჩავარდა, ბრძოლის ველზე კი 400 ქვემეხი დატოვეს. პრუსიელების დანაკარგი კი 13000 მებრძოლს არ აღემატებოდა. ამის მერე ჰინდენბურგი 1-ლი



ჰინდენბურგი, კაიზერი და ლიუდენდორფი ოპერაციის დეტალებს განიხილივენ

არმიის გასანადგურებლად გაემურა. რუსებმა ორივე არმიიდან 250000 კაცი დაკარგეს, გერმანელებმა — 40000.

● 1918 წლის ნოემბერში ჰინდენბურგმა კაიზერს გადადგომის თხოვნით მიმართა. ლუდენდორფი კი უკვე გადაყენებული იყო, რადგან მოკავშირეები ხანმოკლე ზავზე ხელის მოწერას არ აპირებდნენ, თუკი იგი პოსტზე დარჩებოდა. სამაგიეროდ, ჰინდენბურგი იყო ის, ვისთანაც მოკავშირეებს მოლაპარაკება შეეძლო. სწორედ ჰინდენბურგი იყო ის ადამიანი, ვისზეც ფიქრობდნენ, რომ გერმანია დამარცხების უამს ერთ მუშტად შეკრა.


მოამზადა **ლევან ინასარიძემ**



შურნალთან ერთად
შეამროვა 2014 წლის
მსოფლიო ჩემპიონატის
ფაზორიტაბის
პოსტარები!

ყველა დროის საყვარელი სპორტული გაზაფხულის ყოველდღე
ყოველ შაბათს „ლალო“ შურნალის სახით!

იარმუკი



ომის მძიმე შედეგები ყველაზე მეტად დაუცველ ადამიანებზე ქალებსა და ბავშვებზე აისახება



2014 წლის 22 თებერვალს გაეროს უსაფრთხოების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია 2139, რითაც სირიაში მიმდინარე ჰუმანიტარულ ოპერაციებს მხარი დაუჭირა.

დოკუმენტი კონფლიქტის ყველა მხარეს სურსათ-მედიკამენტების მისაწოდებლად ჰიმსის ძველი ქალაქის რაიონიდან, ნიუბლის, ზაქარის, მადაინის, იარმუკის, აღმოსავლეთ გოუტისა და დასაიის დასახლებული რაიონებიდან ბლოკადის დაუყოვნებლივი მოხსნისკენ მოუწოდებს.

ჰუმანიტარული დახმარების საჭიროება იმ რაიონებისთვის, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს, ბოლო ხანს იმდენად მწვავედ დადგა, რომ 2014 წლის დასაწყისში ფენევამი სირიის ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეხვედრაზე განსახილველ საკითხთა შორის აღმოჩნდა.

რეზოლუციამ განსაკუთრებული ყურადღება ტერორიზმთან ბრძოლაზე გაამახვილა, თანაც, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, მისი წარმოება სავალდებულო არა მარტო სირიის ხელისუფლებისთვის, არამედ ოპოზიციის ძალებისთვისაც. ამით მსოფლიო საზოგადოებრიობამ ორივე მხარეს ტერორიზმთან ბრძოლისკენ ოფიციალურად მოუწოდა.

სამოქალაქო ომის საბრძოლო მოქმედებათა ერთი რაიონი ქვეყნის გულში მდებარეობს. „იარმუკი“ პალესტინელ დევნილთა ბანაკია დამასკის სამხრეთ გარეუბანში. კონფლიქტის დაწყებამდე მისი მოსახლეობა 160 ათას კაცს, ძირითადად, პალესტინელებსა და სირიელებს შეადგენდა, მაგრამ ომის დაწყებისთანავე „იარმუკისკენ“ ქვეყნის სხვა რაიონებიდან ათათასობით დევნილი დაიძრა.



დამასკოს სამხრეთ გარეუბანში მდებარე პალესტინელთა ბანაკი „იარმუკი“ მდინარე იორდანეს ყველაზე დიდი შენაკადის სახელს ატარებს. მდინარე იარმუკი ისრაელსა და იორდანიას შორის საზღვარს ქმნის უფრო მდინარე იორდანეს ველის კენ, ხოლო სირიასა და იორდანიას შორის ზემოთ შესართავს კენ.

636 წლის 20 ავისტოს ამ მდინარის ნაპირებზე იარმუკის ბრძოლა მოხდა, სადაც სირია-პალესტინისთვის ბრძოლაში მუსლიმანებმა ბიზანტიის ჯარები დაამარცხეს.

2012 წლის დეკემბერში ეგრეთ წოდებული „სირიის თავისუფალი არმიის“ მეტროპოლემბა პალესტინელთა ზოგიერთი დაჯგუფების ხელშეწყობით „იარმუკი“ დაიკავეს და თავის ბაზად აქციეს.

სამთავრობო ჯარებმა ბანაკის დებლოკირება სცადეს, მაგრამ შემდგომში აქტიურ მოქმედებათა ჩატარებაზე უარი თქვეს, რადგან ამის შედეგად „იარმუკის“ ათასობით მცხოვრები დაშავდებოდა.

2013 წლის ივლისიდან „იარმუკი“ ორმაგ ბლოკადაში — დარჩენილი მოსახლეობა აჯანყებულებს ალყაში ჰყავთ მოქცეული, რომლებიც, თავის მხრივ, სამთავრობო ჯარების მხრიდან ბლოკირებულები არიან.

დამასკოს სამხრეთ ნაწილზე კონტროლის დასაბრუნებლად ბანაკის გათავისუფლება სამთავრობო ჯარების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

„იარმუკი“ სიტუაციის დასარეგულირებელ ერთ-ერთ შეხვედრაზე პალესტინური დაჯგუფებებისა და ოპოზიციურ ფორმირებათა წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ ბოვიეკები და მოჯაჰედები მხოლოდ გარეუბან ჰაჯარ ალ-ასვადში მდებარე ბანაკს დატოვებდნენ სრულად.

13 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ ყველა ანტი-სამთავრობო შეიარაღებულმა რაზმმა „იარმუკი“ დატოვა. პროსირიულ პალესტინელთა ფორმირებებმა ბანაკის გარშემო პოზიციები ისეთნაირად დაიკავეს, რომ მოწინააღმდეგის ხელშეორედ შეღწევა (მომდევნო მოულოდნელობა ცხადყო, რომ შეცდომები იქნა დაშვებული) არ დევშათ. ამის შემდეგ სირიის სარდლობამ სამთავრობო ჯარს „იარმუკის“ დატოვება უბრძანა.

ერთწლიანმა დაპირისპირებამ ბანაკი შეცვალა — უსასტიკესი ბრძოლების გამო მისი ვიწრო ქუჩები ბარიკადებითა და სახლების ნანგრევებით იყო გადაკეტილი.

სირიელი მესანგრეები მაშინვე შეუდგნენ გზებთან და ობიექტების განაღმვასა და ნანგრევების განაწმენდას. ცხოვრების ნორმალურ რეჟიმში დაბრუნებისთვის ბანაკში ამოქმედდა ლოჯისტიკის ინფრასტრუქტურა, რომელიც პალესტინელ დევნილებს საკვებით, წყლით, ელექტროენერჯით, სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფდა.

იმავედროულად, „იარმუკი“ დატოვა 2874-მა კაცმა, რომლებსაც კონსპიტალიზაცია და მკურნალობა სჭირდებოდათ.


ცხრა დღის შემდეგ, თებერვლის ბოლოს მიღწეული შეთანხმებით, ბანაკში უსაფრთხოების შესანარჩუნებლად პოლიციის ერთობლივი ძალები შეიქმნა, სადაც პროსირიული და ოპოზიციური რაზმების 280 მეტროპოლი გაერთიანდა.

„იარმუკის“ თათბარზე დიალოგითა და კომპრომისებით მიღწეული წარმატება ბევრმა შეთვალყოფრემ აღნიშნა.


მაგრამ ქალაქ ჰიმსში მეთანხმარული ოპერაციისთვის მსგავსი შეთანხმება მხოლოდ ათი დღე შენარჩუნდა. ათი დღის შემდეგ ქი ძველი კვარტალების გარშემო საბრძოლო მოქმედებები განახლდა, რადგან აჯანყებულებმა სირიის სარდლობის შეთავაზებულ კაპიტულაციაზე უარი განაცხადეს.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც თავად „იარმუკის“ ბანაკში იყო ყველაფერი რიგზე. 2014 წლის მარტის დასაწყისში დაჯგუფება „ჯებჰაჰ ან-ნუსრას“ შეიარაღებულმა ექსტრემისტებმა შეაღწიეს მის ტერიტორიაზე და თალატინის რაიონში პოზიციები დაიკავეს. ვითარება ისევ ადიძაბა, მოსახლეობის ბანაკში დაბრუნების პროცესი შეჩერდა და დაპირისპირებამ შეიარაღებული ხასიათი მიიღო.

მოამზადა ჰიმსტორია პაზაგაჰშილმა



„იარმუკის“ ბანაკში ისევ ისვრიან და მშვიდობიანი მოსახლეობის დაბრუნების პროცესი შეჩერდა



რობონავთები

ათწლეულების წინ დაწერილი ფანტასტიკა ნელ-ნელა რეალობად გადაიქცა და რობოტები, რობოტიზებული ტექნიკა და მათი შექმნის ტექნოლოგიები თანამედროვე ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. რობოტებმა სამუშაო მრეწველობის მრავალ დარგში მოიძებნეს, ხოლო მსოფლიოს ბევრ ავტოქარხანაში ადამიანზე 3-4-ჯერ მეტი რობოტი საქმიანობს. ალბათ, შორს არ არის ის დროც, როცა რობოტები კოსმოსის ათვისებაშიც თავიანთ ადგილს დაიკავებენ.

ავტომატურ პლანეტაშორის სადგურებს ადამიანი 50 წელიწადზე მეტია იყენებს. კოსმოსური ტექნიკის ამ სახეობის პირველი წარმომადგენელი, საბჭოური *Лунა-1* ორბიტაზე 1959 წელს გაუშვეს. მსგავსი აპარატები დედამიწიდან მიღებული ბრძანებებით სხვადასხვა ცდას, ანალიზს, გაზომვებსა თუ ფოტოგადაღებას ასრულებენ.

სხვადასხვა პლანეტისა და მათი თანამგზავრებისკენ გაგზავნილი აპარატები კოსმოსის ათვისებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, მაგრამ პილოტირებად კოსმონავტიკასთან მათ კავშირი არა აქვთ. ორბიტაზე კოსმონავტებს დასახმარებლად სულ სხვა სახის რობოტიზებული ტექნიკა სჭირდებათ.

2011 წლის 24 თებერვალს აშშ-ში კანავერალის კონცხიდან შატლმა „დისკავერიმ“ მორიგი სტარტი

აიღო. ექვსკაციან ეკიპაჟთან ერთად, მის ბორტზე უცნაური მგზავრი — რობოტი *Robonaut 2* იყო.

NASA-სა და General Motors-ის ერთობლივი ქმნის პირველი საჯარო ჩვენება 2010 წელს შედგა. ის ამჟამადაც საერთაშორისო ორბიტულ სადგურზე იმყოფება და, ფაქტობრივად, ეკიპაჟის სრულყოფილი ნაწილია.

ტანის ფორმით ის ადამიანს ჰგავს. მართალია, რობოტია, მაგრამ რეაქციისა და ხელების მოძრაობით ადამიანს თითქმის არ ჩამოუვარდება. თითოეულ ხელსა და მტევანს 12 თავისუფლების ხარისხი აქვს, რის ხარჯზეც ერთნაირი ეფექტურობით მოიხმარს ჩაქუნსა და სანერ-კალამს. შეუძლია სენსორებიან მონყობლობაზე ტექსტური შეტყობინების აკრეფა. ადამიანის მსგავსად ხელებზე ხუთ-ხუთი თითი აქვს და გამაღილი მკლავით 9 კგ-მდე ტვირთის აწევა შეუძლია.

ორბიტაზე *Robonaut 2* ქვედა კიდურების გარეშე გაფრინდა და სპეციალურ პოსტამენტზე დაამაგრებული. მიუხედავად ამისა, ის მრავალ ფუნქციას შესანიშნავად ასრულებს. პირველივე მისიას ორბიტაზე ტესტირებისას სასწავლო მონყობლობათა დაფასთან ეკიპაჟის წევრებისგან მიღებული ბრძანებებით სხვადასხვა ღილაკს აწეებოდა.



რობონავტი გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიების როდენობა ყველანაირ ფარგლებს სცილდება. თუმცა სწორედ ამ ტექნოლოგიებმა განაპირობა Robonaut 2-ის ღირებულება, რომელიც 2,5 მლნ დოლარს აჭარბებს.

სივრცეში ორიენტაციისთვის რობოტის თავში, რომელიც მოტოციკლისტის ჩაფუტუს ჰგავს, 4 ვიდეო-და ერთ ინფრარითული კამერაა დამონტაჟებული, ხოლო მიღებულ გამოსახულებებს უკაბელო კავშირით სპეციალურ მონიტორებზე გადასცემს.

რობონავტის მუცელში ადგილი 38 პროცესორისგან შემდგარმა მძლავრმა კომპიუტერმა დაიკავა, მთელი ტანი კი 50 სენსორითა და დეტექტორით არის აღჭურვილი.

Robonaut 2 ელექტროენერგიაზე მუშაობს და ზურგჩანთაში მოთავსებული აკუმულატორებით იკვებება. საჭიროების შემთხვევაში მას ენერჯის მიღება ორბიტული სადგურის ქსელიდანაც შეუძლია. ის 150 კგ-ს იწონის, სიმაღლე — 1 მ, ხელების გაჯანი კი 2,44 მ აქვს. ორბიტაზე მსგავსი რობოტის გამოყენება ძალზე პრაქტიკულია. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ღია კოსმოსში გასასვლელად მას არც მომზადება და არც სკაფანდრის ჩაცმა სჭირდება. თუმცა ამჟამინდელ მდგომარეობაში რობონავტი მხოლოდ ორბიტული სადგურის შიგნით ფუნქციონირებაზეა გათვლილი.

NASA-ს აზრით, უნიკალური რობონავტი კოსმოსში ადამიანის სრულად ჩანაცვლებას ვერ შეძლებს, მაგრამ თანდათან კოსმონავტების მოვალეობის ნა-



რობოტების სფეროში იაპონიის პირველობა უდავოა. ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიების ამოძაველი მზის ქვეყნის სპეციალისტებმა საკუთარი რობონავტი შექმნეს. მართალია, ამერიკული ვირანტისგან ის შედარებით მცირე გაზომვებით გამოირჩევა, სამაგიეროდ, საუბრის უნარი აქვს. KIROBO (იაპონურად „იმიღი“) ორბიტაზე 2013 ლის 4 აგვისტოს იაპონურმა სატრანსპორტო ხომალდმა გაიყვანა. ტოკიოს უნივერსიტეტის ქმნილება მხოლოდ 980 გ-ს იწონის და სიმაღლით 34 სმ-ია. პროგრამული უზრუნველყოფა ადამიანის ტანის ფორმის მქონე „კირობოს“ უნონობაში დაუბრკოლებლად „ცურვის“ საშუალებას აძლევს. მესხიერებაში ჩადებული იაპონელი ასტრონავტ კოიჩი ვაკაცუს გამოსახულებით რობოტს მისი ამოცნობა და მასთან საუბარი შეუძლია

თანდათანობით, ორბიტულ სადგურზე რობონავტები, კოსმონავტების მოვალეობის ნაწილს შეითავსებენ





წილს შეითავსებს. მომავალში მისი კომპიუტერი და ორბიტული სადგურის გამოთვლელი სისტემები მუდმივ კავშირზე იქნებიან. დამოუკიდებლად თავისით ამოცანის ფორმულირება არ შეუძლია.

მსგავსი ტექნოლოგიები დიდი პერსპექტივების საწინდარია. რობონავტების გამოყენება მთვარის ან მარსის მისიებში თავისუფლად შეიძლება. ამჟამად ნასას სპეციალისტები ამ მიმართულებითაც მუშაობენ. ციურ სხეულზე დიდ მანძილზე გადაადგილებისთვის სპეციალურად შექმნილი ოთხთვლიანი პლატფორმა Centaur 2 ტვირთის გადატანასაც შეითავსებს.


რობონავტებზე ამერიკელები 1990-იანი წლებიდან მუშაობენ. NASA-სა და DARPA-ს (აჰმ-ის პერსპექტიული თავდაცვითი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების სააგენტო) ერთობლივი მუშაობით 1996 წელს პირველი რობონავტი R1A და R1B შეიქმნა. ორივე ტექნოლოგიების დემონსტრატორის როლს ასრულებდა და კოსმოსში არც ერთი არ გაივზავნა.

მიმდინარე წელს სპეციალისტები რობონავტის გაუმჯობესებულ მოდელს ქვედა კიდურებს დაუმატებენ. ამერიიდან ორბიტული სადგურის ყველა ნაკვეთურში ის გადაადგილებას დამოუკიდებლად შეძლებს. მოდიფიცირებული Robonaut 2-ის სიმაღლე 2,5 მ-მდე, წონა კი — 227 კგ-მდე იქნება. ამჟამად საერთაშორისო სადგურზე მყოფი რობონავტი ორბიტაზე სამუდამოდ დარჩება, ხოლო ქვედაკიდურებიანი ვარიანტი გამოცდის დასრულების შემდეგ კოსმოსში გაფრინდება.

ამერიკულ Robonaut 2-მდე საერთაშორისო ორბიტულ სადგურს კანადური რობოტი „დექსტერი“ დაემატა, რომლის მოვალეობაა ღია კოსმოსში ორბიტული სადგურის მომსახურება. როცა ვიკიპაი კოსმოსში გასვლას ვერ ახერხებს, მაშინ გარე სამუშაოებზე რობოტი ადამიანს ცვლის.

„დექსტერი“ დიდ უთავო სხეულს ჰგავს. აღჭურვილია ორი 3,35 მ სიგრძის ხელით და თითოეულს შვიდი სახსარი აქვს, რაც მტკ მოქნილობას ანიჭებს. ორბიტული სადგურის ნებისმიერ წერტილში რობოტი დიდი მანძილპლატფორმით გადაჰყავთ.

ალექსანდრა უაჰაძიკა



კანადური რობოტი „დექსტერი“
რომელსაც, ღია კოსმოსში
სამუშაოდ იყენებენ



სამხედრო უზრუნველყოფის ჭარბის სტატუსი

რიზარდ პაპუშინის შემოქმედებას უკვე იმერს პარტიული მითხვლი. კარძოვ, 2010 წელს გამოცემულმა „ინტელექტა“ მისი „პაინჰაი“, ხოლო გამოცემულმა „ვის ნამა“ კი „იპარია“ გამოსცა. მთელი ცხოვრება პაპუშინის მომხარობაში გაატარა. მას განსაკუთრებით დიდი დამახასიათებელი აქვს მსოფლიოს ცვალი ნარტილი-ვის (პურია, სახსრათი აპარია და ა.შ.) აღწერასა და ამ მოვლენების საზოგადოებისათვის მკაპრ-ტიული გაცნობაში. რაც შეეხება წინამდებარე ამონარიდებს, ის გაკეთებულია მისივე ინფორმაციის „რეპორტირის სპეციალური“.

ობიდან გამომდინარე, რეპორტიორი არაა დამკვირვებელი სადაც შორეული ტრიბუნადან, არამედ თავად არის ამ კონფლიქტის მსხვერპლი. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, მისთვის სრული დამოუკიდებლობა, ობიექტურობა გამორიცხებულია. ამ დროს საქმე უბრალოდ საკუთარ ტყავს ეხება. ასეთი ექსპლემტიკიდან ყოველ ჟურნალისტს არა მხოლოდ ინფორმაციით სხვის ჩანთა ჩამოაქვს, არამედ თავად ფიზიკურად შელახული, ქანცგაცლილი ჩამოდის. ის უკვე ფიზიკურად და ფსიქურად დაღლიებული, ნიაბრული. ის ახლა, უნდა თუ არა, მებრძოლია.

— ანუ ის ახლა არა მხოლოდ ჟურნალისტი, არამედ ჯარისკაცია?

— ძალზე ხშირად ეს ზუსტად ასეა. თუნდაც რომ თავად არ ესროლოს, რადგან მისთვის ამის გაკეთება არ შეიძლება. ის ეხმარება მათ, რომლებიც როგორც თავისი, ისე მისი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვიან. ხშირად სიტუაცია მეტად დრამატულ სახეს იღებს და ამ საკითხზე მსჯელობა მეტად რთულია. ომში მონაწილეობისას მრავალ პრობლემას ვხვდებით, რომლებიც დაუცველებელია სწრაფი რეაგირება და გამოსავლის მოძებნა, თანამხმარე საკუთარი სინდის-ნამუსისა, შიშის მიმართ საკუთარი ფსიქიკური გამძლეობის შესაბამისად, კულტურის, გემოვნების და ა. შ. საფუძველზე.

— ხშირად რეპორტიორი კონფლიქტის რომელიმე მხარის პოზიციას იჭერს, ემოციურად, თუნდაც იმ მხარეს თავისი ფიზიკური ყოფნითაც. თქვენ ამას როგორ შეაფასებდით?

— ხშირად, როდესაც კონფლიქტის ერთ მხარეს ხარ, ძნელია მეორე მხარეს გადასვლა, რადგან ეს შეიძლება დაუშვებლად ჩამოგართვან. როდესაც პასპორტში კონკრეტული ვიზა გაქვს ჩარტყმული, შეუძლებელია მეორე მხარის ვიზა გქონდეს. ამის არჩევას კი შენი ერთ-ერთი მხარის მიმართ მეტა სიმპათია რიდი განაპირობებს, აქ უფრო ტექნიკური გარემოებები თამაშობს მეტ როლს.

მაგალითად, ზოგჯერ მიდის იქ, სადაც იმ მომენტში ნასვლა შეიძლება. ვადანწყვეტილება არ უნდა გამომდინარეობდეს იდუიური ან ეთიკური წინა პირობებიდან. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ამგვარი არჩევანი ჟურნალისტის გაერევი კი მიიღება.

არ არსებობს აბსოლუტური ლიტერატურა, ვერასოდეს შეძლებ მოვლენის სრულად, მთელი სიღრმით ასახვას. მისი აღწერა მხოლოდ მიახლოებით შეიძლება. ლიტერატურის ღირებულება განიზომება აპროქსიმაციით, ანუ იმის უნარით, თუ რამდენად მიახლოებული აღწერა აღსანერ მოვლენისათვის, საგანთან. ხოლო ეს არის პროცესი, რომელიც არ შეიძლება დაგვიგვიდგინდეს სრული წარმეტებით. ამ მიახლოების დონით განისაზღვრება ტალანტის დონე. ვფიქრობ, ამ აზრით ლიტერატურაში შეიძლება მოიძებნოს მრავალი სცენა თუ ეპიზოდი, რომლებიც გვაახლოებენ ამ მოვლენაზე დიდებს. მაგრამ ყველამ, ვინც ომში იყო და მისი საშინელებები ინენია, იცის, რომ მისი სრულყოფილი აღწერა შეუძლებელია.

იდეალი, ცხადია, სრული თავისუფლებაა, მაგრამ ცხოვრება იდეალისაგან შორსაა. უზრუნველყოფის ზენოლას, იმის მოთხოვნას ვერ გაუქცევია, როგორც მისგან დამსაქმებელი მოითხოვს, ისე ზეროს. ჩვენი პროფესია განუწყვეტელი ბრძოლაა დამოუკიდებლობაზე ოცნებასა და რეალურ ვითარებას შორის, რომელიც გამომცემლის ინტერესების, შეხედულებებისა და მოლოდინებისადმი ანგარიშის განცხადებას ვაკეთებთ.

ქვეყნებში, სადაც ცენზურა არსებობს, სათქმელის რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოხატვისათვის იბრძვიან. იქ კი, სადაც სიტყვის თავისუფლება ბატონობს, უზრუნველყოფის ზღუდავს იმ გამომცემლის ინტერესი, რომლისთვისაც მუშაობს.

მრავალ შემთხვევაში ჟურნალისტი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, იძულებულია შორს მიმავალ კომპრომისზე წავიდეს, რადიკალური სტრატეგია აირჩიოს, რათა დამსაქმებელთან კონფორმიტაციას თავი აარიდოს. მაგრამ ეს ყოველთვის როდია შესაძლებელი და ამ მიზეზით ძალზე ხშირად ის იდევნება. დევნას კი ყოველთვის ახლავს — სამასხურიდან გათავისუფლება, საქმიანობის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა, ეკონომიკური სასექციების დანესება და ა. შ.

ზოგადად თუ ვიტყვი, ეს ის პიროფესიაა, რომელიც განუწყვეტელ ბრძოლასა და ყურადღებას მოითხოვს.

ძნელი სათქმელია, რომელიმე ქვეყანაში და მსხრე სხვათაზე შედარებით უკეთესი მდგომარეობა. ეს საქმე ძალზე ცვალებადია და ამ მხრე სიტუაცია მოკლე ხანში სრულად იცვლება. ყოველ შემთხვევაში, თავისუფლების ყოველი ნაბიჯის მოპოვებისთვის ბრძოლაა საჭირო.

ყოველ ჩვენგანს მრავალი წლის მუშაობისა და უმარავი მოგზაურობის შემდეგ თავის ცხოვრებაში ერთი შემთხვევა მაინც ჰქონია, როდესაც ხელისუფლება თუ პოლიცია დევნიდა, მისთვის ვიზაზე უარი უთქვამთ ან სხვა სასურველად მოუგონებიათ, რომ მისთვის ცხოვრება გაუძნელებინათ.

— ჟურნალისტი ყოველთვის დგას დილემის წინაშე: სად გადის საზღვარი მის მიმდინარე მოვლენებში მონაწილეობას, ჩართულობასა და მათ აღწერას შორის? როგორ შეიძლება ამ საკითხის გადაჭრა?

— სამხედრო რეპორტაჟს თავისი სპეციფიკა აქვს. ავტორის ჩართულობის დონე ამ შემთხვევაში ძალიან მაღალია. ომზე რომ წერო, თავად უნდა იყო საომარი სიტუაციების მონაწილე. ომი დამახასიათებელი, კონფლიქტური, საბრძოლო მდგომარეობაა. ამიტომ შექმნილი მდგომარე-

თარგმნა
ამბროსი გრეშიკაშვილი



სჭირდება თუ არა ოფიცერს ქიმიის სოდნა?

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ნამყვანი ქვეყნები ქიმიური იარაღის გავრცელებას, დამზადებას, შენახვასა და გამოყენებას დიდი ხანია ებრძვიან, აქაიქ ცხელ რეგიონებში ქიმიურ იარაღს მაინც იყენებენ. ცნობისთვის: ქიმიური იარაღი მასობრივი განადგურების საშუალებებს მიეკუთვნება და მისი მოქმედება ნივთიერების მოშანაღვ ან მხოთავ თვისებებს ემყარება.

ასეთი იარაღის დანიშნულება მონინალმდევის პირადი შემადგენლობის განადგურება, ბრძოლისუნარიანობის დაქვეითება (დასუსტება) ან მწყობრიდან გამოყვანაა.

ქიმიური იარაღის დამზადება ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჩვეულებრივი საბრძოლო საშუალებების, ამასთან, „სამხედრო სპეციალისტების მტკიცებით, უფრო ეფექტურია, საფრთხე არ ექმნება მეზობლს და მისი გამოყენებით, ჩვეულებრივ იარაღთან შედარებით, ბევრად მეტი სიცოცხლის მოსპობაა შესაძლებელი“ — ამგვარად განმარტავდა ქიმიური იარაღის უპირატესობას ერთი ბრიტანელი სამხედრო ექსპერტი და დასძინდა, რომ მისი გამოყენება „არაპუმანურია“.

საქართველოს სისხლით დაწერილ ისტორიას, საბედნიეროდ, ქიმიური იარაღის კვალი არ ახსოვს, თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები გვაძილებს, ეს საფრთხე უფრო ახლოს გავიცნოთ.

ქიმიკოს მერაბ ნადირაშვილის თქმით, ნლების გან-

მავლობაში თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ეს საგანი ისწავლებოდა და არსებობდა ლაბორატორიაც, რომელიც ბოლო წლებში გააუქმეს.

მერაბ ნადირაშვილი: — სხვადასხვა დროს მიღებული საერთაშორისო კონვენციებით ქიმიური იარაღის ომში გამოყენება აკრძალულია. თუმცა, ისიც ვიცით, რომ კონვენციები მაინც ირღვევა, რადგან ომში მიზნის მიღწევისთვის ყველაფერია მოსალოდნელი. ამის საუკეთესო მაგალითია სირიის სამოქალაქო ომი.

არანაკლები საფრთხის შემცველია ტექნოგენური კატასტროფები — ბოჰალი, ჩერნობილი, ფუკუსიმა და სხვ. არ შეიძლება იმ საფრთხეების მიმართ გულგრილი დავრჩეთ, რასაც ახლომდებარე სომხეთის ატომურმა ელექტროსადგურმა ან თუნდაც ირანის ბირთვულმა პროგრამამ შეიძლება შეგვიქმნას. ასე რომ, ქიმიური ომისგან თავდაცვის საკუთარი სისტემა ქიმიის გამოყენებით საუკეთესო გამოსავალია.

— რა ადგილი უნდა დაიკავოს ქიმიამ სამხედროების განათლებაში?

— იმ ფუნდამენტურ საბაზისო მეცნიერებათა შორის, რომელთა ცოდნა ოფიცრისთვის აუცილებელია, ქიმიას გამოირჩეული ადგილი უკავია. საშუალო და უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში ქიმიის სწავლების მიზანია სამხედრო-ქიმიური კომპეტენტურობის ჩამოყალიბება, რაც იმას ნიშნავს, რომ ოფიცერს არასტანდარტულ სიტუაციაში სწრაფად და ვითარების შესაბამისად მოქმედება შეუძლია.



სასურველია, რომ რიგითმა სამხედრომაც იცოდეს ქიმიის ელემენტები, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც საუბრია ოფიცრების მომზადებაზე. დღემდე ვაგაშროს ომი, მაგრამ შეუძლებელია სამხედროს მომზადება სრულყოფილი იყოს და მან თავისი საქმე პროფესიონალურად შეასრულოს, თუ არ ეცოდინება თუნდაც ქიმიის საფუძვლები.

მშვიდობიან დროს კი, თუნდაც ახალი გზის გაყვანისას, კუსტარულად დამზადებული ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენებასაც ქიმიის ელემენტარული ცოდნა ესაჭიროება. ამაში გორის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში მუშაობის პრაქტიკამაც დამაზრდუნა — რიგითი თუ ოფიცრები მეკითხებოდნენ, როგორ გავაგეოთთ კვამლის ფარდა, ამისთვის არ უნდა გამოვიყენოთ.

სამხედრო ქიმიური კომპეტენტურობის ორი ტიპი არსებობს, — პროფესიონალურობამდელი და პროფესიონალური, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისი კვალიფიკაციის სამხედრო სასწავლებლებში ინვარიანტულ და ვარიანტულ ბლოკებად არის დაყოფილი.

ვარიანტული ბლოკის კონკრეტულ სწავლება ქიმიამი შემდეგი შინაარსის მოდელეებს მოიცავს: მასობრივი განადგურების ქიმიური და ბირთვული იარაღის ტიპები, რადიოქიმიური დაზეერვისა და ქიმიური დაცვის საშუალებები; ფეთქებადი ნივთიერებები და საბრძოლო მასალები; ცეცხლგამქნი ნარევები; სანვაგ-საპოხი მასალები; სამხედრო ტექნიკაში გამოყენებული ქიმიური მასალები: მარტივი ნივთიერებები, მონომერები, პოლიმერები, შენადნობები, ბოჭკოები; მეცნიერ-ქიმიკოსების როლი სამხედრო კვლევებში; ქიმიის მეცნიერების მიღწევათა გამოყენება სხვადასხვა პერიოდის სამხედრო კონფლიქტებში.

დღით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორ **ზურაბ ბაშაძის** თქმით, სასწავლებელმა ქიმიამ ცალკე სახად არასდროს ისწავლებოდა, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ აკადემიის კურსგაღლის მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვა არ შეუძლია.

— **ბატონო ზურაბ, ცნობილია, რომ ჟენევის 1925 წლისა და სხვა კონვენციებით სამხედრო მოქმედებებში ქიმიური იარაღის გამოყენება აკრძალულია და ამის მიუხედავად, მაინც იყენებენ... რეალობის**

ვათვლისწინებით, რამდენად არსებობს ქართველ სამხედროებისთვის, განსაკუთრებით ოფიცრებისთვის, ქიმიის შესწავლის საჭიროება და რამდენად თვის ისინი მზად იმისთვის, რომ ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში პირადი შემადგენლობა დიცვნან?..

— კითხვას, თუ რამდენად არიან ოფიცრები მზად იმისთვის, რომ ქიმიური იარაღისგან დაცვან თავი, ჩემი აზრით, თავდაცვის აკადემია არ უნდა სცემდეს პასუხს. ასევე არამართებულად მიმაჩნია ქართველ სამხედროებისთვის ოფიცრებისთვის ზოგადი ქიმიის სალექციო კურსის ნაკითხვისა და ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში მათი თავდაცვისუნარიანობის ერთმანეთთან დაკავშირება. შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს საგანი „მასობრივი დაზიანების იარაღისგან დაცვა“, რომელიც მოიცავს ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეთა თავდასაცავ ინდივიდუალურ და კოლექტიურ მოქმედებებს. თავდაცვის აღნიშნული ღონისძიებები უშუალოდ არის დამოკიდებული შესაბამისი ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებებთან, რითაც უნდა იქნეს დაკომპლექტებული შეიარაღებული ძალები.

— **არსებობდა თუ არა ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო ქიმიის საგანი და თუ კი, რამ განსაზღვრავს მისი ამოღება?**

— „სასწავლო ქიმიის“ საგანი ეროვნული თავდაცვის აკადემიაში არასოდეს იკითხებოდა. თუმცა, იმის დაშვების შემთხვევაშიც კი, რომ ქიმიის ან რომელიმე მომთხვევა სასწავლო კურსი საბაკალავრო სკოლაში დღეს არ იკითხება თითქოსდა იმიტომ, რომ „ამოღებულია“ (გავიმიერებ, რეალობა სხვაგვარია — სალექციო ბაღეში ეს კურსი არასოდეს ფიგურირებდა).

მოგახსენებ, რომ სასწავლო გეგმის შეცვლა არ წარმოადგენს თვითნებურ და უკონტროლო პროცესს — ნებისმიერი ცვლილება აისახება თვითშეფასების უწყისში, რომელიც რეგულარულად ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. სწორედ ეს უკანასკნელი იღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ სასწავლო პროგრამის ვალიდურობისა და, შესაბამისად, პერიორამაში განერილი თითოეული სალექციო კურსის პროგრამულ მიზნებთან თავსებადობის შესახებ.



„ლიგა“
სამკურნალო ბაიოტიანება

სამსოკათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მილოდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე

მის: თბილისი **მისი** №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39

www.league.ge



ყოფილიყო, თითქოს ვიღაც უთავდავლებდა და საჭირო დროს ახდენდა აფეთქებას.

დიდი ხნის დეტალური გამოძიების შემდეგ გესტაპომ დაადგინა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოულოდნელი აფეთქებები საათის მექანიზმით კი არა, არამედ რამდენიმე ასეული კმ-დან გაგზავნილი რადიოსიგნალებით ხდებოდა. რაც ხსნიდა მთავარ საიდუმლოებას, თუ რატომ იღუპებოდა უამრავი გერმანელი სამხედრო.


ჰიტლერის ბრძანებით გერმანიის სპეცსამსახურები ომის ბოლომდე ცდილობდნენ დაედგინათ, თუ ვინ იღვა საბჭოთა დისტანციურად მოქმედი ასაფეთქებელი მონაწილეობების უკან, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა — საბჭოთა ზესაიდუმლო რადიომართვადი ბომბების შემქმნელი ჯერ კიდევ 1938 წელს დახვეწილი ქართული ინჟინერ-გამომგონებელი ვლადიმერ ბექაური იყო.

სწორედ მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა და საბჭოთა არმიის შეიარაღებაში შევიდა დისტანციურად მართვადი რადიოფუგასები, სახელწოდებით „ბემი“.

მისი მოქმედების პრინციპი შემდეგომ მდგომარეობდა: მენალემები ტელეტელოვი მნიშვნელობის ობიექტზე, რომელიც, სავარაუდოდ, შეიძლება დაეკავებინა მონინალმდევს, წინასწარ ჩაანწყობდნენ რამდენიმე ასეულ კვ ტროტლის, საგულდაგულოდ შეინიღბავდნენ და მასზე ამონტაჟებდნენ რადიოტალღების მიმღებ ხელსაწყოს, რომლის ანტენაც ასევე შენიღბულად მონტაჟდებოდა შენობაზე. მას შემდეგ, რაც გერმანული სამხედრო ხელმძღვანელობა დაიკავებდა ოკუპირებულ ქალაქში ყველაზე კეთილმოწყობილ სახლს და იქ შტაბს განათავსებდა, ქალაქში დარჩენილი საბჭოთა მზევრავები იწყებდნენ სახლის თვალთვალს. როდესაც დაადგენდნენ, რომ ამ შენობაში იმართება შტაბის თათბირი ან ბერლინიდან მაღალჩინოსნები ტელეპრობენ, ისინი მოსკოვში სმერსს მოიხლოური რადიოსადგურიდან დამიფრულ შეტყობინებას გაუგზავნიდნენ. ამის შემდეგ გადნაცვტილებას მოსკოვში იღებდნენ და იქიდან მძლავრი სტაციონარული რადიოსადგურიდან გამოგზავნილი რადიოსიგნალებით აამოქმედებდნენ კონკრეტულ შენობაში ჩადებულ ასაფეთქებელ მონაწილეობას, რომელიც, როგორც წესი, შენობას მთლიანად ანგრევდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა მენალემები კიდევ დიდხანს იღებდნენ მათი წინამორბედების მიერ ჩადებულ „ბემებს“ მოსკოვისა და ლენინგრადის სტრატეგიული ობიექტებიდან, ასე რომ, ჰიტლერი ტყუილად როდი უფრთხოდა ლენინგრადის დაკავებას — იქ გერმანელებს მართლაც ეცლიათ ბექაურის დისტანციურად მართვადი მძლავრი რადიოფუგასები.

P.S. ერთ-ერთი ინფორმაციის თანახმად, ბექაურის კონსტრუქციის რადიოფუგასები ჩანსობილი და შენიღბული იყო საქართველოს სამხედრო გზაზეც იმ შემთხვევისთვის, თუკი გერმანელები არმია დაიპყრობდა ჩრდილო კავკასიას და ლარსის გავლით შეეცდებოდა ჯერ საქართველოში გადმოსვლას, ხოლო შემდგომ ბაქოში ნავთოსაბადოების დაპყრობას.



ჩხინი ღოსია: ვლადიმერ ბექაური 1882 წელს დაიბადა თბილისის გუბერნიაში და 1905 წელს დაამთავრა სარკინიგზო ტექნიკური სასწავლებელი. 1907 წლიდან ცხოვრობდა სანქტ-პეტერბურში, სადაც 1920 წელს გაიცნო ლენინი და მას ფოლადის სეიფების ელექტრონული სიგნალიზაციის დაცვის შესაძლებლობა შესთავაზა. მაშინ ბოლშევიკების ლიდერები საიდუმლო მასალებს სწორედ სეიფებში ინახავდნენ და დიდ ყურადღებას უთმობდნენ სეიფების უსაფრთხოების დაცვას.

ფაქტობრივად, ბექაური ლენინის პროტექტედ იქცა და ქართველ ინჟინერ-გამომგონებელს საკუთარი ინსტიტუტის — „ოსტეხნიუროს“ (იმიფრეოდა როგორც „სპეციალური დანიშნულების სამხედრო გამოგონებების განსაკუთრებული ტექნიკური ბიურო“) შექმნაშიც დაეხმარა.

ბექაურის „ოსტეხნიურო“ 30-იანი წლების დასაწყისში გიგანტურ დაწესებულებად იქცა, რომელიც მუშაობდა შორსმფრენი ბომბდამშენების, უპილოტო თვითმფრინავებისა და რადიომართვადი ფუგასებისა და ტროპელოების, ავტონომიური მინი-წყალქვეშა ნაგების, მოსასმეი აპარატურისა და სხვა სამხედრო და ორმაგი დანიშნულების სტენიკის საცდელი ნიმუშების შესაქმნელად.





ბექაურის უშუალო განკარგულებაში იყო ასობით თვითმფრინავი და რამდენიმე ათეული სამხედრო ზომალდი, რომელიც სიძლიერე პულგარეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შესაძლებლობებსაც კი აღემატებოდა.

მეცხედრად დიდი დაფინანსებისა (იყო წლები, როდესაც ბექაურის წლიური ჯამაგირი და პრემიები მილიონ მანეთსაც ასცდენია), „ოსტეხნიუროს“ მიერ შექმნილი ტექნიკის ნიმუშების დიდი ნაწილი საბჭოთა არმიაში შეიარაღებაში არ მიუღია, რასაც ობიექტური და, ალბათ, სუბიექტური მიზეზებიც ჰქონდა. ნელ-ნელა ვლადიმერ ბექაური კრემლისთვის არასასურველ პირად იქცა და 1937 წელს დააპატიმრეს გერმანიის სასარგებლოდ შპიონაჟის ბრალდებით, ხოლო 1938 წლის 8 თებერვალს დახვრიტეს. 1956 წელს ის რეაბილიტირებულ იქნა.

ირაკლი ალადაშვილი



ერსანსლვტრდი

1	2	3	4		5	6	7	
8							9	
10							11	
				12	13	14		
15							16	
				17				
				18	19			
			5				4	
20	21	22				23	24	25
				26				27
28								29
		30						31
32				18				33

თარაზული: 1. XVIII-XIX სს-ში სამზრ. იტალიაში შექმნილი ბანდიტების საიდუმლო ორგანიზაცია; 5. ბელგიური სისტე- მის რევოლუცი; 8. დიდი, მეტისმეტად კაშკაშა მეტეორი; 9. მდინარე ქვემო ნაფარაში; 10. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი ფრედრიჰ ...; 11. ნახაზი, გეგმა; 12. დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ...; 15. ქვეყანა დასავლეთ აზიაში; 16. საგანგებო დავალება; 17. კარგი საუფლოში ცხენი — ბუდუარი; 18. XVIII-XIX სს-ში ფრანგი სახელმწი- ფო-სამხედრო მოღვაწე, მარშალი; 20. მრავალჯერადი გამოყენების სატრანსპორტო კოსმოსური ხომალდი; 23. ერთგვარი სისტემის რევოლუცი; 26. თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა; 28. რაიმე პარტიის ან მოძრაობის ხელმძღვანელი; 29. ძველ დროში კედლების დასაანგრევი სააღყო იარაღი; 30. აშშ-ის კოსმოსური პროგრამა; 31. ჩრდილოე- თი ანუ ...; 32. მფრინავი; 33. რაიმე მანქანის დაზიანება.

შპული: 2. საზღვაო ბრძოლის ძველებური ხერხი; 3. ძვ. ბერძნული ეპოსის „ილიადასა“ და „ოდისეის“ გმირი, კუნძულ ითაკის მეფე; 4. ღვთაებრივი ხარი; 5. ტბა აფრიკაში, იგივე მალავის ტბა; 6. უმაღლეს სამეთაურო სამხედრო ნოდება; 7. ქალაქი იაპონიაში, სადაც 1945 წლის 9 აგვისტოს ჩამოგდებულ იქნა ბირთვული ბომბი სახელად „მსუქანი კაცი“; 12. ლაინერ „ტიტანიკის“ უმცროსი „და“; 13. დესაანი; 14. ამერიკის მკვიდრი მოსახლეობა; 19. ქრისტეს გამყიდველი; 21. იარაღისა და საჭურვლის საწყობი; 22. კავშირი, გვერთიანება; 24. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს მთავარს, უფროსს; 25. ტვირთის გადაზიდვა შუალედურ პუნქტებში გადატვირთვის გარეშე; 26. პლანეტა ნეპტუნის ერთ-ერთი თა- ნამგზავრი; 27. 1904-07 წლებში ინგლისს, საფრანგეთსა და მეფის რუსეთს შორის შექმნილი სამხედრო კავშირი.

წინა ნომერი გამომქვეყნებული კოსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბერტა; 5. პიეტრი; 8. კარატე; 9. ნაგანი; 10. მარინა; 11. იალტის; 12. გოლტეტი; 16. რაცია; 17. სირია; 18. ცდა; 19. ათი; 21. ომონი; 24. პოლი; 27. მილიცია; 29. სიკოკუ; 30. მაიორი; 31. რაკეტა; 32. ემისია; 33. პირატი; 34. იბერია.
 შვეულად: 2. ემანაცია; 3. ეტატიზმი; 4. არემარე; 5. პანკსი; 6. კავალარი; 7. ტანკისტი; 13. პალადარმი; 14. ლოგა; 15. ტრი- ბუნალი; 20. ლირი; 22. მაკიზარი; 23. ნატო; 25. ოპკი; 26. კვარციტი; 27. მიურატი; 28. არმიელი.





1140 CT68
5.56 MM. BLANK
CARTRONS
LOT TW-10-88

MUNITIONS RESIDUE
EXPENSES SOLDIERS
800-38

TO COMMANDER
1ST AIRBORNE DIVISION
CAMP NEW ISLAND, ALA 194

უნივერსალური ავტომატი სპეცრაზმისტვის

ამერიკული საიარალო კომპანიის უახლესი
ავტომატური შაშხანა შიძლება მსოფლიოს
ყველა სპეცრაზმისტვის სასურველი გახდეს



2014 წლის დასაწყისში აშშ-ში გამართულ ტრადიციულ საიარალო გამოვენა SHOTSHOW-ზე ამერიკულმა საიარალო კომპანია Desert Tech LLC-მ (რომელსაც ცოტა ხნის წინ Desert Tactical Arms-ი ეწოდებოდა) წარმოადგინა უახლესი ავტომატური შაშხანა MDR-ი, რომელიც პრაქტიკულობითა და უნივერსალურობით შეიძლება ერთ-ერთი პოპულარული იარაღი გახდეს მსოფლიოს სპეცრაზმებსა და საპოლიციო დანაყოფებში.

MDR-ი, რომლის სერიულად წარმოებას 2015 წლიდან გეგმვენ, მძლავრ კონსტრუქციისაა და საშუალებას იძლევა, სწრაფად შეიცვალოს მისი ლულები, შესაბამისად, კალიბრიც.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ MDR-ის საბაზო ვარიანტი შაშხანა 7,62X51 NATO ტიპის მძლავრ ვაზნას იყენებს, რაც ამ ავტომატურ შაშხანას, იმავე ავტომატს, გამოარჩევს ანალოგიური კლასის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისგან.

დღეს მსოფლიოში ავტომატური შაშხანებისა და ავტომატების ყველაზე გავრცელებული კალიბრი 5,56X45NATO (M4, G36, Tavor TAR-21, Steyr AUG, L85A2 და სხვა) და 5,45X39 მმ-ია (AK-74, AKC-74Y), რომლებიც ძირითადად თანამედროვე საბრძოლო მოქმედებებში გამოიყენება.

საბჭოთა AKM-ის ტიპის ავტომატისთვის განკუთვნილი იყო 7,62X39 მმ კალიბრის ვაზნები, რომლებსაც შუალედურს უწოდებდნენ, რადგან მათი სიძლიავერე პისტოლეტისა და შაშხანის ვაზნების



7,62X51NATO-ს ტიპის
ვაზნაზე გათვლილი
ავტომატური
შაშხანა MDR

ანალოგიური მაჩვენებლების შუალედში იმყოფებოდა.

პირველი შუალედური 7,92X33 მმ (7.92mm Kurz) ვაზნის დამზადება მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში გერმანელებს იმიტომ დასჭირდათ, რომ მათი პირველი ავტომატური საიერიშო შაშხანა MP43-ის ავტომატური ჯერით სროლისას უკუცემის ძალა ნაკლები ყოფილიყო, ვიდრე შაშხანის მძლავრი ვაზნის გამოყენებისას და შესაბამისად, გაზრდილიყო სროლის სიზუსტე.

70 წლის შემდეგ ამერიკელმა მეიარაღებმა უარი





5,56X45NATO-ს
კალიბრის MDR-ს

თქვეს შუალედურ ვაზნაზე და ისევ დაუბრუნდნენ შაშხანის მძლავრ ვაზნა 7,62X51 NATO-ს, რომელიც საბჭოთა წარმოების შაშხანის ვაზნა 7,62X54R-ის თითქმის ანალოგიურია.

7,62X51NATO ტიპის ვაზნა გასული საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ნევრი ქვეყნების შეიარაღებაში მიიღეს. ამ ვაზნის ერთ-ერთი მოდიფიკაციის — M80ball-ის ნაწევტებულიანი ტყვიის მასა 9,5 გრამია, ტყვიის სანყისი სიჩქარე 850 მ/წმ-ს აღწევს, ხოლო სანყისი ენერჯია 3380 ჯოულს უტოლდება.

ულტრაათანამედროვე MDR-ში ასეთი მძლავრი ვაზნის გამოყენებისას წარმოქმნილი უკუცემის ძალას როგორ აკომპენსირებენ კონსტრუქტორები, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, მისმა შემქმნელებმა ერთგვარად თავი დაიხვედნენ, როდესაც იგი მოდულური პრინციპით შექმნეს — ორიოდე წუთში თავად მებრძოლს შეუძლია ეს ავტომატური შაშხანა 7,62 მმ კალიბრიდან 5,56 მმ-იანზე გადაიყვანოს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს უკუცემის ძალას (5,56X45NATO ტიპის M885 ვაზნის 4,15 გრამი მასის ტყვიის სანყისი სიჩქარე M4 ტიპის ავტომატური კარაბინიდან გასროლის 880 მ/წმ-ია, ხოლო სანყისი ენერჯია მხოლოდ 1600 ჯოული, ანუ ორჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე 7,62X51NATO ტიპის ვაზნის გამოყენებისას).

MDR-ის მეორე საინტერესო მხარე ის არის, რომ ის „ბულაპაის“ სქემითაა დამზადებული. მართალია,

ჩვენი ღოსი: ავტომატური შაშხანა MDR-ი მოდულური კონსტრუქციისაა და შეიძლება ტრანსფორმირებული იყოს სხვადასხვა კალიბრის — 7,62X51NATO; 5,56X45NATO; 6,8X43 Rem SPC, ასევე საბჭოთა 7,62X39M43 ტიპის ვაზნების გამოყენებაზე. ავტომატის მთლიანი სიგრძე 702 მმ-ია, ლულის სიგრძე 267 მმ-დან 406 მმ-მდე იცვლება; იარაღის მასა 3,2-3,4 კგ-ია; მჭიდში 5,56 მმ კალიბრის 30 ან 7,62 მმ კალიბრის 20 ვაზნა ჩადის.

დღეს „ბულაპაით“ (როდესაც სასხლეტი მჭიდის წინაა განთავსებული) ველარავის ვააკვირვებ, მაგრამ MDR-ის კომფორტულად სროლა ცაციებსაც შეუძლიათ, რაც ამ სქემის სხვა ავტომატებისთვის წარმოდგენე-ლია, რადგან მარჯვნივ ექსტრაქტორებული მასრები ცაციებს სახეში ხედებათ.

MDR-ის შემქმნელებმა საინტერესო კონსტრუქციულ გადაწყვეტილებას მიაგნეს — მასრების გამომ-გდები ფანჯარა აღჭურვილია დასაკეცი სახურავითა და წინ მიმართული მილით, რომლის საშუალებითაც გასროლილი ვაზნის მასრა გამოისროლება მარჯვნივ და უკან კი არა, არამედ მარჯვნივ და წინ!

ულტრაათანამედროვე MDR-ს დიდი პერსპექტივა აქვს, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული ავტომატური საიერიშო შაშხანა გახდეს.

ირაკლი ალადაშვილი



Desert Tech MDR



F 1557
2014

